

სამოქალაქო კულტურის  
საერთაშორისო ცენტრი

# საქართველოს პოლიტიკური პარტიები

ცნობარი 1999

ცნობარის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) ფინანსური მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ მონოდებული სახსრებით.

დიდი მადლობა ყველას, ვინც დაგვეხმარა ცნობარის მომზადებაში.

ცნობარი მოამზადეს: კოსტანტინე კანდელაკმა, დავით ყიფიანმა, ლელა ხომერიკმა,  
სალომე ცისკარიშვილმა, ნინო ჩუბინიძემ და კობა კიკნაძემ  
ყდის გაფორმება: თამაზ ვარჯარიძე  
დაკაბადონება: დავით ყიფიანი

ISBN 99928-52-41-0

© სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, 1999

დაბეჭდილია საქართველოში

სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი  
მისამართი: თბილისი, ბაქოს ქ. 20ა  
ტელეფონი: 953-873  
ელექტრონული ფოსტა: ICC@ip.osgf.ge

## წინათქმა

წინამდებარე ცნობარი შეიქმნა 1999 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების წინ საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა სპექტრის სრულად წარმოჩენის მიზნით. ამიტომ გადაწყდა, ცნობარში შესულიყო არა მხოლოდ ის პარტიები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ არჩევნებში, არამედ ყველა რეგისტრირებული პარტია.

1999 წლის 1 სექტემბერს იუსტიციის სამინისტროდან მიღებული მონაცემებით, საქართველოში 124 რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიაა. ცნობარისათვის საჭირო მასალის შესაკრებად სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრმა ყველა ამ პარტიას დაუგზავნა სპეციალური კითხვარი. ცნობარში შევიდა ინფორმაცია 93 პარტიის შესახებ, 31 პარტიამ კითხვარი უკან არ დააბრუნა. ზოგმა პარტიამ კითხვარის შეუვსებლობის მიზეზად მოუცვლელობა დაასახელა, ზოგმა უარი განაცხადა კითხვარის შევსებაზე, ზოგი პარტია კი ვერ მოიძებნა იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრირებულ მისამართზე და არც საგაზეთო განცხადებას გამოეხმაურა. ცნობარში შესული ინფორმაცია მონოდებულია თვით პოლიტიკური პარტიების მიერ და შეძლებისდაგვარად დაცულია სტილი.

ცნობარი შედგება სამი ნაწილისაგან. **პირველ ნაწილში** მოცემულია ინფორმაცია იმ 32 პარტიისა და ბლოკის შესახებ, რომლებიც 1999 წლის 31 ოქტომბერს მონაწილეობას იღებენ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში. ცნობარის ამ ნაწილში პარტიები დალაგებულია იმ თანმიმდევრობით, რომლითაც ისინი შეტანილნი არიან საარჩევნო ბიულეტენში. **მეორე ნაწილში** მოცემულია ინფორმაცია ყველა დანარჩენი რეგისტრირებული პარტიის შესახებ, რომლებიც არ მონაწილეობენ პარლამენტის არჩევნებში. ამ ნაწილში პარტიები დალაგებულია სახელწოდებების მიხედვით ანბანურ რიგზე. **მესამე ნაწილში** მოცემულია ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების შესახებ, რომლებიც არჩეულ იქნენ 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში. ამ ნაწილში შესულია მონაცემები 125 (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, რუსთავი, 60 რაიონისა და 60 ქალაქისა და დაბის) საკრებულოს შესახებ.

## 1. საპარტიოპოლიტიკური პარტიები (სპპ)

დეფინი: სტაბილურობიდან კეთილდღეობისაკენ  
პოლიტიკური მიმართულება: მემარცხენე-ცენტრისტული.  
საპროგრამო პრიორიტეტები

ეკონომიკა: კერძო ინიციატივის პრინციპებზე დაფუძნებული, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განმტკიცება. გადასახადების მაქსიმალურად მობილიზების ხელშეწყობა სახელმწიფო ბიუჯეტში, მკაცრი ფისკალური პოლიტიკის გატარება. წარმოების განვითარების ხელშეწყობა, საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაციისა და შემოსავლების ზრდის ხარჯზე. საბაჟო და საგადასახადო სისტემების რეფორმირება, კორუფციის მასშტაბების მაქსიმალური შემცირება. იმპორტისა და ექსპორტის შესაბამისობის ოპტიმიზაცია. სოციალური ადვანსის მექანიზმების შექმნა. ძირეული გარდაქმნების განხორციელება საენსიო უზრუნველყოფის სფეროში. კერძო საენსიო ფონდების ჩამოყალიბების უზრუნველყოფა, უცხოური და ადგილობრივი კაპიტალის მონაწილეობით. ახალი, მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნა. განხორციელებულ ეკონომიკურ რეფორმათა შეუქცევადობის უზრუნველყოფა.

საგარეო პოლიტიკა: ევროპისა და მსოფლიოს ავტორიტეტულ სტრუქტურებში ინტეგრირება. კეთილმოქმედური და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან, ურთიერთპატივისცემისა და ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძველზე. უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შექმნა რეგიონალური პროექტების განხორციელებისა და თანამშრომლობის მეშვეობით. საქართველოს მუდამდამცველ პარტნიორული და ურთიერთმოგებიანი კავშირების უზრუნველყოფა. აქტიური მონაწილეობის მიღება NATO-ს პროგრამის "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში. საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა და ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავება, შემდგომი ინტეგრირების თვალსაზრისით.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: სამხარეო (ავტონომიების უფლებების გაფართოება, ცენტრსა და რეგიონებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა და უფლებების მაქსიმალური დელეგირება, ძლიერი თვითმმართველობის ორგანიზების ფორმირება, სკ-ს მიზანია ძლიერი რეგიონები - ძლიერი ცენტრი).

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო (საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად)

1996 წლიდან პარტია დამკვირვებლის სტატუსით გაერთიანებულია სოციალისტურ ინტერნაციონალში.

პარტია დაარსდა 1993 წ., პირველი რეგისტრაცია - 1994 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: ორგანიზაციები - "ერთობა და კეთილდღეობა", "მწვანეთა მოძრაობა" და "საზოგადოება თბილისელი".

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) - მთავარი საბჭო (ირჩევა 2 წლით - 33 წევრი: მ. მაჭავარიანი - გენერალური მდივანი, ომარ გოგიაშვილი - სათათბიროს სპიკერი) - თავმჯდომარე - ედუარდ შვეარდნაძე (ფარული კენჭისყრით ირჩევა ყრილობა 2 წლით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).

წევრთა რაოდენობა 112000, აქედან აქტიური - 35000-მდე.

11 რეგიონული და რაიონული ორგანიზაციები ყველა რაიონში.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირი (სმკვ). დაარსდა 12.02. 1994 წ., გაერთიანებულია 12000 წევრი, არის იურიდიული პირი. ლიდერი - დავით ტყეშელაშვილი. მისამართი: თბილისი, ლერმონტოვის ქ., 8, ტელ.: 93 38 46, 92 11 73, 92 11 74, ფაქსი: 93 38 46.

ბჭქდვითი ორგანო: გაზეთი "მოქალაქე" გამოდის 1996 წლიდან. პერიოდულობა, ტირაჟი და ფასი ცვალებადია.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 23,71%, პარლამენტში ჰყავდა 106 წარმომადგენელი (91 - პარტიული სიით და 15 - მაჟორიტარი).

1995 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: სახელმწიფო აღმშენებლობისა და რეფორმების წარმართვისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, მინისა და სანარმოთა პრივატიზება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, კორუფციასთან ბრძოლა, ადამიანის უფლებათა დაცვა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. 1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ე. შევარდნაძეს.

პარტია მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია რეგისტრირებულია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, საფუძველი: 106 პარლამენტის წევრი, რწმუნებული - კობა ამირხანაშვილი. პარტიის წარმომადგენლები აღმასრულებელ ხელისუფლებაში: ვაჟა ლორთქიფანიძე - სახელმწიფო მინისტრი, ალექსანდრე კარტოზია - განათლების მინისტრი, ივანე ჩხარტიშვილი - სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, თედო ისაკაძე - სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, ივანე ზოდელავა - თბილისის მერი, ავთანდილ ჯორბენაძე - ჯანდაცვის მინისტრი, ვლადიმერ პაპავა - ეკონომიკის მინისტრი, ლევან მამალაძე - ქვემო ქართლის რწმუნებული, ირაკლი ბიჭორიძე - შიდა ქართლის რწმუნებული, გია არსენიშვილი - კახეთის რწმუნებული, დავით ონოფრიშვილი - ფინანსთა მინისტრი, გია დარჯანია - ფოთის მერი და სხვ.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: 1. ძირეული გარდაქმნები საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში, რაც მკვეთრად გაზრდის საპენსიო ანაზღაურების დონეს და მთლიანად მოხსნის პენსიების გაუცემლობის პრობლემას. 2. ჩამოყალიბდება ეფექტური ფისკალური სისტემა, რაც ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრის საბიუჯეტო დეფიციტის პრობლემას. შემოსავლების ზრდის ხარჯზე შესაძლებელი გახდება საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს მენარმეობის განვითარებას. 3. გაგრძელდება საბაჟო რეფორმა. საბაჟო პოლიტიკის უმთავრეს სტრატეგიად კვლავ რჩება ევროპული ორიენტაცია და ევროკავშირისაგან სწრაფვა. 4. გაგრძელდება სრულფასოვანი სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბება. გაფართოვდება კერძო სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის არეალი. მოხდება მოსახლეობის ფართო ფენების ჩართვა სამედიცინო დაზღვევის პროგრამებში, რაც უზრუნველყოფს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის ზრდას. 5. მაქსიმალური ხელშეწყობის რეჟიმი შეექმნება წერილ და საშუალო ბიზნესს. გათვალისწინებულია შესაბამისი საბიუჯეტო ხარჯების ყოველწლიური მატება. 6. მაქსიმალურად შეწყობა ხელი იმ დარგებს, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ საქართველოს როლი მსოფლიო ბაზარზე (სოფლის



**პარტიის ლიდერი  
ელშარდ  
შევარდნაძე**

დაიბადა 1928 წ. ლანჩხუთის რ-ნის სოფ. მამათში, ისტორიკოსი, ბოსტონის, ჰარვარდის, ატლანტის, ლოს-ანჯელესის, პროვიდენსის (აშშ), ტრიესტის (იტალია) უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი. დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1946 წლიდან - სხვადასხვა კომპარტიულ და პარტიულ სამუშაოზე. 1957 წლიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. 1961-1962 წწ. - კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი. 1963-1964 წწ. - კომპარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი. 1964-1965 წწ. - საქართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე. 1965-1972 წწ. - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. 1972 წლიდან ჯერ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. 1985-1990 წწ. - სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი. 1992 წ. მარტიდან - საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე. 1992 წ. ოქტომბრიდან - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე - სახელმწიფოს მეთაური, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. 1993 წელს აირჩიეს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარედ. 1995 წ. 14 ნოემბრიდან - საქართველოს პრეზიდენტი. ჰყავს მეუღლე, ნახული შევარდნაძე და 2 შვილი.

1995

მეურნეობა, კვების მრეწველობა, ენერგეტიკა, საშენი მასალები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, მაღალი ტექნოლოგიები, ტურიზმი. 7. მოხდება საბიუჯეტო დანახარჯების ოპტიმალური და ეფექტური სისტემის ფორმირება. საჯარო და გამჭვირვალე გახდება ხარჯვის სტრუქტურა და ტენდოლოგია. 8. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა მყარი, ძლიერი და საიმედო საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას. 9. გაგრძელდება საკრედიტო კავშირებისა და სხვა მცირე საფინანსო დაწესებულებების ჩამოყალიბება. 10. უახლოეს ოთხწლიურში უზრუნველყოფილი იქნება: 24 საათიანი ელექტროენერგია მთელი საქართველოს მასშტაბით; საყოველთაო უფასო საშუალო განათლება; უფასო სამედიცინო მომსახურება 65 წლის ასაკს ზევით მოხუცებისათვის და 14 წლამდე მოზარდებისათვის, აგრეთვე უფასო ჯანდაცვა 500 000 სოციალურად დაუცველი ადამიანისათვის; ქალაქების განიფიცაცია მთელ საქართველოში; საგზაო კომუნიკაციების ეროვნული პროგრამის განხორციელება; უხარისხო პროდუქციის აღმოფხვრა საქართველოს ბაზრიდან; საშუალო ხელფასი 200-230 ლარის ფარგლებში.

მისამართი თბილისი, მარშალ გელოვანის ქ., 14ა,

ტელ.: 95 98 23; 95 82 35; 95 83 25. ფაქსი: 95 83 25; 95 91 46,

E-mail: [cug@access.sanet.ge](mailto:cug@access.sanet.ge)

საკონტაქტო პირი: ლელა თურმანაული - გენერალური მდივნის თანამშემუნე.

## 2. გლოქი “საქართველოს ალოკინება”

*დემოკრატიული ალორძინების კავშირი*

*საქართველოს სოციალისტური პარტია (სსპ)*

*ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი (ქტკ)*

*კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება (კგს)*

*საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის მოძრაობა “ჭყონდიდელი”  
(მოძრაობა “ჭყონდიდელი”)*

*სხნის მოძრაობა “ერის ძახილი” – ინფორმაცია არ მოგვანოდა*

## დემოკრატიული ალოკინების კავშირი – ინფორმაცია პირ მოგვანოდა

თავჯდომარე-ლიდერი: ასლან აბაშიძე

მისამართი: ბათუმი, ნინიშვილის ქ. 5

ტელ.: (8 88222) 7 65 00 7 65 02 ფაქსი: (8 88222) 7 65 05

## საქართველოს სოციალისტური პარტია (სსპ)

პოლიტიკური მიმართულება მემარცხენე-ცენტრისტული.

საპროგრამო პრიორიტეტები

ეკონომიკა: ზომიერი პროტექციონიზმი, საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება ნეოკეისიანობის ჩარჩოებში, მენარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა. მინაშე კერძო საკუთრება იპოთეკური სტრუქტურების განვითარებასთან ერთად; მინის ფონდზე სახელმწიფო კონტროლი მისი მიზნობრივად გამოყენებისათვის.

საგარეო პოლიტიკა: მემოზულ სახელმწიფოებთან ურთიერთობა, ევროსტრუქტურებში გაერთიანება, კავკასიური ინტეგრაცია.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: მხარეების გაუქმება, ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება, ავტონომიების შენარჩუნება.

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: ფრანგული მოდელი ძლიერი პრეზიდენტი - პარლამენტთან ანგარიშვალდებული ძლიერი პრემიერი.

1997 წლიდან პარტია არის შვეიზლვისპირეთის ქვეყნების მემარცხენე ცენტრისტული ირგანიზაციების ასამბლეის წევრი.

პარტია დაარსდა 1995 წ., პირველი რეგისტრაცია - 1995 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 1998 წ.

დაარსების ინიციატორი: ვ. რჩეულიშვილი.

ორგანიზაციული სტრუქტურა: კონგრესი (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - მთავარი კომიტეტი (ირჩევა 4 წლით) - სამდივნო (ი. ჩხრაძე, თ. ჯგუშია, მ. დევდარიანი, ი. მინდელი, გ. მჭედლიშვილი, გ. ხაჭაპურიძე, გ. გურგენიძე, ქ. ჟორდანიანი, ნ. ნავაძე, გ. ლორთქიფანიძე, დ. დავითაშვილი, ე. გრიგალაშვილი, ი. პაპაია, ზ. ქუცნაშვილი) - თავმჯდომარე (კონგრესი ირჩევს 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1995 წ.).

წევრთა რაოდენობა: 70000-მდე, აქტიური - 10000-ზე მეტი.

10 რეგიონალური (+თბილისის), 59 რაიონული და 6 საქალაქო ორგანიზაცია.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: საქართველოს ახალგაზრდა სოციალისტთა კავშირი. გაერთიანებულია 7.000-მდე წევრი. ლიდერი - ზაქრო ქუცნაშვილი.

1995 წ. არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმათა 3,84%. პარლამენტში ჰყავდა 6 მაჟორიტარი წარმომადგენელი.

1995 წ. წინასარჩევნო პროგრამა: დემოკრატიული სოციალიზმი; სოციალურ-საბაზრო ეკონომიკა, მენარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა, საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, საშუალო კლასის შექმნა.

1998 წ. პარტია მონაწილეობდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში.


1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს უჭერდა ედუარდ შევარდნაძეს.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ., 41,

ტელ.: 98 33 67; 92 31 85, ფაქსი: 93 27 09; 98 33 67,

E-mail: spg@access.sanet.ge



**პარტიის ლიდერი**  
**პვახტანაშ**  
**რჩეულიშვილი**

დაიბადა 1954 წ., თბილისში, ფიზიკოსი.  
1977 წ. დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი. 1979-1982 წ.წ. - ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის ვიცე-პრეზიდენტი. 1982-1984 წ.წ. - კოკვაჭავაძის ცკ-ს ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი, ხოლო 1982-1985 წ.წ. - უცხოეთის განყოფილების ინსტრუქტორი. 1985-1987 წ.წ. მეცნიერებათა აკადემიის საინფორმაციო ცენტრი, მეცნიერ-თანამშრომელი. 1987-1992 წ.წ. საქართველოს რესპუბლიკის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. იყო საქტელერადიო კომიტეტის პოლიტიკური მიმომხილველი. 1992-1995 წ.წ. საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე. არის შვიზღვისპირეთის ქვეყნების მემარცხენე-ცენტრისტული ორგანიზაციების ასამბლეის და საქართველოს ეკონომიკური ფორუმის თავმჯდომარე. მისამართი: ბოკვაძის ქ. 14, ტელ.: 93 91 29

### ქართულ ტრადიციონალისტთა კავშირი (ქტკ)

დევიზი: "საქართველო უწინარეს ყოვლისა"  
პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე-ცენტრისტული  
საპროგრამო პრიორიტეტები:

1. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრება
2. კერძო საკუთრება
3. წვრილი და საშუალო ბიზნესისათვის ხელის შეწყობა
4. თანაბარი სასტარტო პირობების უზრუნველყოფა კერძო ბიზნესისათვის
5. ინვესტიციების მოზიდვა
6. საერთაშორისო ეკონომიკურ და ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობის განმტკიცება
7. საგადასახადო სისტემის უნიფიცირება, გადასახადთა შემცირება და ამოღების უზრუნველყოფა
8. ამ მიზნით - საგადასახადო სისტემის სტრატეგიული ცვლილება.

საგარეო პოლიტიკა: 1. მეგობრული ურთიერთობა ყველა მფობელ ქვეყანასთან (მათთან შესაბამის ხელშეკრულებათა გაფორმება) 2. ევრო-ატლანტიკურ კავშირთან ურთიერთობა 3. ჩრდილოეთ ატლანტიკურ სამხედრო ბლოკთან განსაკუთრებული ურთიერთობების დამ-

წინააღმდეგობა

ყარება 4. ურთიერთობა ევროკავშირთან და მასში განევრანებისათვის ყველა პირობის დაცვაყოფილება 5. ახალ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში საკუთარი ადგილის გამოძებნა საქართველოს ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: სამხარეო (მიგვაჩნია, რომ დღეს შექმნილი ვითარების გამო ქვეყნის სამხარეო მოწყობას ალტერნატივა არ გააჩნია. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ კი შეიძლება ვილაპარაკოთ ტერიტორიული მოწყობის ასიმეტრიულ პრინციპზე (ასიმეტრიულ ფედერალიზმზე))

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: ჩვენი მზანია საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან კონსტიტუციურ მონარქიაზე გეგმაზომიერი, თანდათანობითი და მოფიქრებული გადასვლა.



**პარტიის ლიდერი  
აპაჩი ასათიანი**

დაიბადა 1953 წ., თბილისში, ფილოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე. 1977 წ. დაათავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: მოსკო თოიძის სახ. საშხატგრო სასწავლებელი, მასწავლებელი. საქინფორმი, მთარგმნელი. 1990 წლიდან არის ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე. 1990 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი და ბლოკის "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1991-1992 წ.წ. იყო ფრაქცია "მრგვალი მაგიდას" წევრი, 1990-1991 წ.წ. - პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, 1991-1992 წ.წ. - პარლამენტის თავმჯდომარე. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1992-1995 წ.წ. იყო ფრაქცია "ტრადიციონალისტის" თავმჯდომარე. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე, ორინე აბულაძე და 2 შვილი. მისამართი: თბილისი, არსენას ქ., 10, ტელ.: 99 03 19.

1990 წ. საპარლამენტო არჩევნებში თავისუფალი საქართველო, მიიღო მომადგენელი - პარტიული სიით, 7 - მაჟორიტარი.

1990 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს დამოუკიდებლობა. საბჭოთა მმართველობის სისტემის ევოლუციური შეცვლა.

1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 6%, პარლამენტში ჰყავდა 7 წარმომადგენელი - პარტიული სიით, 1 - მაჟორიტარი.

1992 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება. ეროვ-

პარტია დაარსდა: 1990 წ., პირველი რეგისტრაცია - 1990 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი დაარსდა 1942 წ. ემიგრაციაში. დაარსების ინიციატორები - ცნობილი ქართველი პოლიტიკური ემიგრანტები: სპ. კეღია, ზ. ავალიშვილი, გრ. რობაქიძე და სხვ. 1990 წ. კავშირის აღდგენის ინიციატორები: ავ. ასათიანი, გ. კორძაძე, ლ. ახმეტელი და სხვ.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 2 წელიწადში ერთხელ) - პოლიტიკური საბჭო (ირჩევა 2 წლით - 100 წევრი) - სამდივნო (ირჩევა 2 წლით - 7 წევრი: ავაჩი ასათიანი - თავმჯდომარე, გუბაშ სანიკიძე - თავმჯდომარის მოადგილე, გაიორ კორძაძე - გენერალური მდივანი, გურამ ხომერიკი - აღმასრულებელი მდივანი, ნიკოლოზ სანებლიძე - პოლიტიკური მდივანი, ალექსანდრე შალამბერიძე - საარჩევნო შტაბის უფროსის მოადგილე, ბეჟან ხურციძე - იმერეთის საარჩევნო კამპანიის მეთაური) - თავმჯდომარე (ირჩევენ 2 წლით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.) - .

წევრთა რაოდენობა: რამდენიმე ათასი, აქტიური - 2000-მდე.

3 რეგიონალური და 30-ზე მეტი რაიონული ორგანიზაცია.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: ახალგაზრდა ტრადიციონალისტთა კავშირი. დაარსდა 1995 წ., არის იურიდიული პირი. ლიდერი - გიორგი შარაბიძე. მისამართი: თბილისი, ვირსალაძის ქ., 10, ტელ.: 98 39 99.

ბეჭდვითი ორგანო: "ქართველი ერი", დაარსდა 1990 წ., გამოდის თვეში 3-ჯერ, ტირაჟი - 500.

პარტია მონაწილეობდა ბლოკში "მრგვალი მაგიდა - ხმების 62%, პარლამენტში პარტიიდან ჰყავდა 15 წარ-



წელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ეკონომიკური რეფორმა. ეროვნული ვალუტის შემოღება.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, პარლამენტში ჰყავდა 4 მაჟორიტარი წარმომადგენელი.

1995 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: 1. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა 2. ქვეყნის ტერიტორიული მონყობის ჩამოყალიბება 3. ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპის დაწყება და დამთავრება.

1998 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად.

1991 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს უჭერდა ზვიად გამსახურდიას.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს არავის უჭერდა.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს შემდეგი მიზეზებით: 1. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უზრუნველყოფა 2. ეკონომიკური რეფორმის შეჩერება 3. ტერიტორიული მონყობის გაურკვევლობა 4. არათანმიმდევრული საგარეო პოლიტიკა.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი – გერმანე ფაცაცია.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: ა) ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა. აფხაზეთის პრობლემის მოგვარება აფხაზურ მხარესთან უშუალო მოლაპარაკების გზით ურთიერთდადამოუბრუნებელი საფუძველზე, საერთაშორისო ორგანიზაციების გარანტიებით. რუსეთის სამშვიდობო ჯარების გაყვანა. რუსეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია. ცხინვალის პრობლემის მოგვარება მოლაპარაკების გზით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტირებით. ბ) 1. მინის რეფორმა: მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწების უსასყიდლოდ გადაცემა (ყველა მოქალაქის საკუთრებაში უნდა გადავიდეს სასოფლო-სამეურნეო მიწების ნახევარი მაინც. შემდგომ ეტაპზე უნდა მოხდეს მინის მეორადი ბაზრის შექმნა. მინის მესაკუთრე შეიძლება იყოს აგრეთვე საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი. ეს დაინტერესებს უცხოურ კაპიტალს და ხელს შეუწყობს სახსრების მოზიდვას, განავითარებს სასოფლო-საგრიდო სისტემას. 2. საგადასახადო რეფორმა. გულისხმობს გადასახადის განაკვეთების შემცირებას. მიგვაჩნია, რომ გადასახადების განაკვეთების შემცირება ეკონომიკის სწრაფი განვითარების უმთავრესი პირობაა. ჩვენ არ ვართ პროტექციონიზმის მომხრე. საბაჟო გადასახადიდან ამოღებული სახსრები უნდა მოხმარდეს ადგილობრივი წარმოების განვითარებას. უნდა შეიქმნას ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი აპრეფი და მაკონტროლებელი ორგანოები, ცენტრალური ხაზინა და საგადასახადო ინსპექცია. საბიუჯეტო შემოსავლების დაახლოებით 1/4 უნდა მოხვდეს ადგილობრივ ბიუჯეტში. სხვა გადასახადები (საკუთრების, მინის და სხვ.) მთლიანად ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა მოხვდეს. სოციალურ სფეროში აუცილებელია სამუშაო საკონტრაქტო ბაზის შექმნა. უნდა ჩამოყალიბდეს ორი ტიპის – მუდმივი და დროებითი საკონტრაქტო ბაზა, პრიორიტეტი პირველს უნდა მიენიჭოს. უნდა გათვალისწინებულ იქნეს სოციალური დაზღვევა, რომელიც დამქირავებელმა თავის თავზე უნდა აიღოს. უნდა გატარდეს საპენსიო რეფორმა, რომლის შედეგად მოქალაქე თვითონ შეიქმნის საპენსიო ფონდს და თავად განსაზღვრავს პენსიის ოდენობას. გ) ქვეყნის ტერიტორიული მონყოფა უნდა ემყარებოდეს სამხარეო პრინციპს. აფხაზეთის პრობლემის მოგვარების შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ ფედერალიზმზეც (თუნდაც ასიმეტრიულზე).

მისამართი: თბილისი, ვირსალაძის ქ., 10,

ტელ.: 98 39 55, ფაქსი: 98 79 59.

საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ სანებლიძე – პოლიტიკური მდივანი.

### ქონსტანტინე გავსახარაძის საზოგადოება (კპს)

დევიზი: "სხვას ძირს არ დასცემ, თვით ამაღლებდი. არავის მოწვი და არც იმონებ"  
პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე  
საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა. საქართველოს ინტეგრირება მსოფლიოს მალაღმადონიარებულ სისტემაში. მალაღმადონიარებულ, მეცნიერებატევადი სამეურნეო სისტემის ფორმირება. ქვეყნის განვითარება ახალ ინდუსტრიულ საფუძველზე. ახალ საკუთრებით ურთიერთობათა დამკვიდრება დემოკრატიულ საფუძველზე.



**პარტიის ლიდერი  
გავსახარაძე  
ქონსტანტინე**

ექიმი. 1951 წ. დამათავრა ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის სანიტარულ-ჰიგიენური ფაკულტეტი. 1969 წლიდან არის ნიუ იორკის სამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრი. 1968 წლიდან - რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. სამუშაო გამოცდილება: 1951-1952 წ.წ. - ჩიქნეტის მე-3 მედ.გაერთიანება, განყოფილების გამგე. 1952-1954 წ.წ. - სამხედრო ნაწილი 9906, ექიმი. 1954-1956 წ.წ. - 85-ე სამხედრო-საზღვაო შოსპიტალი, ორდინატორი. 1956-1969 წ.წ. - საბჭოთა კავშირის სამხედრო-სამედიცინო აკადემია, უფროსი ორდინატორი, დოცენტი, მედ.მეცნ. დოქტორი. 1969 წლიდან დღემდე - ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი, კათედრის გამგე. 1970-1973 წ.წ. - საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი. 1952-1989 წ.წ. - სკკპ წევრი. 1996 წ. აირჩიეს კონსტანტინე გამსახარაძის საზოგადოების პრეზიდენტად. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე, ლიდა ბოჭორიშვილი და 2 შვილი. მისამართი: თბილისი, ენჭურის ქ., 3, ბინა 44. ტელ.: 98 85 75.

საგარეო პოლიტიკა: საქართველოს ინტეგრირება დასავლეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სისტემაში.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული (უნიტარული სახელმწიფო არ გამოირცხავს ცალკეულ ავტონომიურ ერთეულებს. ასეთებად ჩვენ ვთვლით აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებს) სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საარეზიდენტო პარტია დაარსდა: 1992 წ., პირველი რეგისტრაცია - 1992 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 1998 წ. დაარსების ინიციატორები: მ. მაჭავარიანი, ელ. ჯაველიძე, ენ. ნიუარაძე, თ. ვაშაძე, ა. აბრალავა, ვ. ბოჭორიშვილი, ს. სიგუა.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 4 წელიწადში ერთხელ) - პრეზიდიუმი (ირჩევა 4 წლით - 32 წევრი: ვახტანგ ბოჭორიშვილი - პრეზიდენტი, ელიზბარ ჯაველიძე - ვიცე-პრეზიდენტი, სოსო სიგუა - ვიცე-პრეზიდენტი, ანზორ აბრალავა - ვიცე-პრეზიდენტი, ირაკლი კენჭოშვილი - საგარეო კომისიის თავმჯდომარე) - პრეზიდენტი (ფარული კენჭისყრით 4 წლით ირჩევა ყრილობა, ბოლოს აირჩიეს 1996 წ.). წევრთა რაოდენობა: 19000, აქტიური - 3000.

70 რაიონული ორგანიზაცია. ბეჭდვითი ორგანო: "კოლხური კოში", "გრაალი", "XXI საუკუნე+". გამოდის კვირაში ერთხელ. 1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა.

1995 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს დემოკრატია, დამოუკიდებლობა, თავისუფლება, ორიენტაცია დასავლეთის ღირებულებებზე.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს უჭერდა ჯუმბერ პატიაშვილს.

ინტერვიუ

დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს პარტია მხარს არ უჭერს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების დამხობის, სამოქალაქო ომის განაღების, სამეგრელოს ანოკების, ტერიტორიების დაკარგვის, ეკონომიკის განაწინებისა და მითვისების, ხალხის გალატავებისა და პოლიტიკური ოპონენტების დევნის გამო.

პარტია არის რეგისტრირებული ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რწმუნებული: სოსო მელაძე.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: ხელისუფლების ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკური კურსის შეცვლა. სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკისა და დემოკრატიის დამკვიდ-

რება. დასავლური პოლიტიკური ორიენტაციის რეალიზება. ხელისუფლება უნდა არსებობდეს ხალხისათვის და არა ხალხი – ხელისუფლებისათვის. პრევენციის, საგარეო სესხების, ეროვნული შემოსავლის გამოყენების საფარობა. სახელფასო და საპენსიო ფონდებზე კონტროლის დანერგვა. ჯანდაცვისა და განათლების სისტემაში სოციალურად დაუცველ ფენებზე განსაკუთრებული ზრუნვა. საქართველოდან რუსეთის ბანკების გაყვანა. საკადრო პოლიტიკაში არა პარტიულობის, არამედ პროფესიული და ზნეობრივი პრინციპების პრიორიტეტი.

მისამართი: თბილისი, ყაზბეგის ქ., 16,  
ტელ.: 37 12 96.

### საქართველოს თავისუფლებისა და აკრძალვის მოქალაქე “ჭყონდიდელი” (მოქალაქე “ჭყონდიდელი”)

დევიზი: ზვიად გამსახურდიას სიტყვები: “ჭყონდიდელის” ძალისხმევა გადაარჩენს საქართველოს”

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: თავისუფალი მენარმეობის წახალისება შესაბამისი საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, პიროვნული ინიციატივის მაქსიმალური ხელშეწყობა, ბაზრის ჩამოყალიბება, კონკურენტული გარემოს შექმნა-განვითარება.

საგარეო პოლიტიკა: კავკასიურ სახლთან ერთად დასავლეთის სტრუქტურებში გაერთიანება.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო

პარტია დაარსდა: 1992 წ., პირველი რეგისტრაცია – 1997 წ., ხელახალი რეგისტრაცია – 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: დევნილი კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა 400 კაციანი ჯგუფი, რომელიც 1992 წ. იმყოფებოდა აფხაზეთში. საინიციატივო ჯგუფს ხელმძღვანელობდა ვ.გაბელია.

პარტია არის სრულიად საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა “ჭყონდიდელის” სამართალმემკვიდრე.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 2 წელიწადში ერთხელ) – პოლიტიკური საბჭო (ირჩევა 2 წლით) – დარბაზი (მოინვევა წელიწადში ორჯერ – შედგება: პოლიტიკური საბჭოს, საკონტროლო კომისიის, რეგიონალური გამგეობების წევრებისა და რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეებისაგან; ამჟამად 62 წევრი: მურმან ზაქარაია, გიორგი შვეციძე, ზურაბ ფარესიშვილი - თავმჯდომარის მოადგილეები, მანგული ხუბუა - საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე, თენგიზ კუბლაშვილი, ლელა ფანცქალაშვილი, პეტრე ნაჭყებია, უნა ოქროპირიძე, დემურ კუბლაშვილი, მამუკა გვაძაბია, ალექსი მუზერისვილი, კარლო ჯანაშია, ომარ გოჩელაშვილი) – თავმჯდომარე – ჯემალ გამახარია (პოლიტიკური საბჭო ირჩევს 2 წლით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).

**პარტიის ლიდერი**  
**ჯემალ გამახარია**

დაიბადა 1949 წ. გალის რ-ის სოფ. განახლებაში, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1976 წ. დაამთავრა მოსკოვის საისტორიო-საარქივო ინსტიტუტის ისტორია-არქივმცოდნეობის ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1977-1980 წ.წ. – კუიბინევის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მასწავლებელი. 1980-1983 წ.წ. – აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მასწავლებელი. 1983 წლიდან დღემდე – საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, დოცენტი. 1991 წლიდან - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტეტი. იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრი. 1993 წლიდან - მოძრაობა “ჭყონდიდელის” პოლიტიკური საბჭოს წევრი. 1997 წლიდან - პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე. ჰყავს მეუღლე, რუსუდან ხარებავა და 2 შვილი.

მისამართი: თბილისი, რამაზ დავითაშვილის ქ., 16.



წევრთა რაოდენობა: 25000, აქტიური - 10000.

3 რეგიონალური და 61 რაიონული ორგანიზაცია.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის მოძრაობა "ჭყონდიდელის" ახალგაზრდული ორგანიზაცია. დაარსდა 1997 წ., არ არის იურიდიული პირი. ლიდერი – ლაშა გვასალია. მისამართი: თბილისი, ტაშვენტის ქ., ბინა 1, ტელ.: 38 03 11.

ბეჭდვითი ორგანო: გაზეთი "ჭყონდიდელი". დაარსდა 1993 წ., გამოდის კვირაში ერთხელ, ტირაჟი – 1500, ფასი 40 თეთრი.

1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია არ მონაწილეობდა – გამოაცხადა ბოიკოტი.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს არავის უჭერდა.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდამჭერთა ხელმოწერები.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: დემოკრატიული არჩევნების გზით პარლამენტში უმრავლესობის შექმნა, რათა უზრუნველყოთ: 1. ერის სულიერ ღირებულებათა დაცვა და ამაღლება 2. ეროვნული შერჩევების საფუძველზე ქართული სახელმწიფოებრივი ცნობიერების გამთლიანება 3. დემოკრატიული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა 4. ფართო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირების დამყარება და განმტკიცება მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან 5. ევროპულ და მსოფლიო სტრუქტურებში ინტეგრაცია 6. მეურნეობის ყველა დარგის აღდგენა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადაყვანა 7. სოციალური პრობლემების გადაწყვეტა და მოსახლეობის ყველა ფენისათვის გარანტირებული საარსებო მინიმუმის შექმნა.

მისამართი: თბილისი, ტაშვენტის ქ., 25, ბინა 1.

ტელ.: 38 03 11.

საკონტაქტო პირი: მანგული ხუბუა – პოლიტიკური საბჭოს წევრი.

### 3. საქართველოს ლეიპოკისტული (შრომის) პარტია (სლ: ლეიპოკისტაჰი)

პოლიტიკური მიმართულება: მემარცხენე-ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: დინამიკური და დაბალანსებული ეკონომიკა, რომელიც პირველ რიგში ხალხის და შესაბამისად – სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება. სტრატეგიულ სფეროებში სახელმწიფო პროტექციონიზმის ინსტიტუტების რეალიზაცია.

საგარეო პოლიტიკა: საქართველოს მშვიდობიანი სივრცის უზრუნველყოფა. მშვიდობიანი კურსი მსოფლიო ასპარეზზე. სრული სამხედრო ნეიტრალიტეტი.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: ფედერალური (პარტიას გააჩნია სპეციალური პროგრამა-პროექტი საკანონმდებლო ცვლილებებისა, რომელიც ცნობილია საზოგადოებრივ სათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით)

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო

პარტია დაარსდა: 1995 წ., პირველი რეგისტრაცია – 1995 წ., ხელახალი რეგისტრაცია – 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: შალვა ნათელაშვილი, თამაზ ობგაიძე, ცოტნე ალბუთაშვილი, მუხრან მდივანი, ვაჟა ხიდაშელი, თამაზ ძაგანია.

პარტია არის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი გაერთიანების სამართალმემკვიდრე.

ორგანიზაციული სტრუქტურა: კონფერენცია (მოინვევა 2 წელიწადში ერთხელ) – პოლიტიკური აღმასკომი (ირჩევა 2 წლით – 25 წევრი: მუხრან მდივანი – პოლიტაღმასკომის კანცლერი) – თავმჯდომარე - შალვა ნათელაშვილი (კონფერენცია ირჩევს 2 წლით).

წევრთა რაოდენობა: 90000, აქტიური - 15000.

რეგიონალური და რაიონული ორგანიზაციები – ყველა რეგიონში და ყველა რაიონში.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიის ახალგაზრდული ფრაქცია. დაარსდა 1997 წ., გაერთიანებულია 25000 წევრი, არ არის იურიდიული პირი. ლიდერი – ბორის კუპრეიშვილი.

ბეჭდვითი ორგანო: "ლეიბორისტი", გამოდის იშვიათად (თითქმის არა).

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, პარლამენტში ჰყავდა 8 მაჟორიტარი წარმომადგენელი.

1995 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: დინამიკური და დაბალანსებული ეკონომიკა, რომელიც პირველ რიგში ხალხის და შესაბამისად – სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება. სტრატეგიულ სფეროებში სახელმწიფო პროტექციონიზმის ინსტიტუტების რეალიზაცია. საქართველოს მშვიდობიანი სივრცის უზრუნველყოფა. მშვიდობიანი კურსი მსოფლიო ასპარეზზე. სრული სამხედრო ნეიტრალიტეტი. ფედერალური სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა. საპრეზიდენტო მმართველობა.

1998 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი – შალვა ნათელაშვილი, რწმუნებული – ბესო ბერძენიშვილი. პარტიის წევრი აღმასრულებელ ხელისუფლებაში – მუხრან მდივანი – თბილისის პრემიერის მოადგილე.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: დინამიკური და დაბალანსებული ეკონომიკა, რომელიც პირველ რიგში ხალხის და შესაბამისად – სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება. სტრატეგიულ სფეროებში სახელმწიფო პროტექციონიზმის ინსტიტუტების რეალიზაცია. მიწის არა გაყიდვა, არამედ სახელმწიფოს მიერ ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო შესყიდვა გლეხებისაგან. საქართველოს მშვიდობიანი სივრცის უზრუნველყოფა. მშვიდობიანი კურსი მსოფლიო ასპარეზზე. სრული სამხედრო ნეიტრალიტეტი. საქართველო წარმოგვიდგება როგორც დემოკრატიული და სოციალურად დაცული საზოგადოება, რომლის სიძლიერეც განისაზღვრება საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქის (მიუხედავად ეროვნებისა) მიმართ სამართლიანი და თანაბარი მიდგომით. უფასო საშუალო განათლება.

მისამართი: თბილისი, ვაჟაბშიშვილის ქ., 88,

ტელ.: 96 60 46, 99 93 79, ფაქსი: 99 62 13.

საკონტაქტო პირი: დათო ვერძეული.



**პარტიის ლიდერი  
შალვა  
ნათელაშვილი**

დაიბადა 1957 წ. ფსახაურში, იურისტი. 1993 წლიდან არის იურისტთა მსოფლიო ასოციაციის წევრი. 1998 წლიდან არის

საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი. დაამთავრა: 1981 წ. - თსუ იურიდიული ფაკულტეტი. 1989 წ. - საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა

სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის ასპირანტურა. სამუშაო გამოცდილება: 1984-1992 წ.წ. იყო საქართველოს პროკურატურის სტაჟიორი, გამომძიებელი, განყოფილების პროკურორი, უფროსი პროკურორი, პარტკომის მდივანი, საერთაშორისო

ურთიერთობათა განყოფილების უფროსი. 1992 წ. არჩევნებში იყრიდა კენჭს, გახდა პარლამენტის წევრი, 1992-1995 წ.წ. იყო იურიდიული კომისიის თავმჯდომარე. 1995 წ. არჩევნებში

იყრიდა კენჭს, გახდა პარლამენტის წევრი, 1995 წლიდან არის ფრაქცია "ლეიბორისტის" თავმჯდომარე და პარლამენტის ბიუროს წევრი. იყო

კოალიცია "ერთიანი საქართველო" თანათავმჯდომარე, პოლიტიკური ორგანიზაცია "სახელმწიფო სამართლებრივი გაერთიანების" თავმჯდომარე.

ჰყავს მეუღლე, ბელა ალანია და 2 შვილი.

მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის პლატო, მე-4 მ/რ, 10ბ კორპ., ბინა 76, ტელ.: 29 35 47

წაიკითხო

#### 4. გლოქი "ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსი - მისამი ზსა"

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედაპ)

საქართველოს რესპუბლიკური პარტია


ეროვნული მრეწველობისა და ეკონომიკური აღმავლობის პარტია (მრეწველთა პარტია)

#### ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედაპ)

დევიზი: "სიმაღლესი ყველგან და ყოველთვის!"

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე-ცენტრისტული

პარტიის საპროგრამო პრიორიტეტები:



**პარტიის ლიდერი  
ირინა  
სარიშვილი-  
ჭანტურიანი**

დაიბადა 1962 წ. თბილისში, ფილოლოგი. 1984 წ. დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. 1995 წლიდან არის მსოფლიოს ქრისტიან-დემოკრატიული ინტერნაციონალის პოლიტიკური ბიუროს წევრი. სამუშაო გამოცდილება: 1993წ. - მინისტრთა კაბინეტი, ვიცე-პრემიერი. 1988-1989 წ.წ იყო ედაპ-ს პრეს-მდივანი, 1996 წ.-მდე იყო მთავარი კომიტეტის წევრი პრეზიდენტი წევრი, 1996 წლიდან დღემდე არის პარტიის თავმჯდომარე და საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1992-1995 წ.წ. იყო ფრაქცია "ეროვნულ-დემოკრატიის" წევრი. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1996-1999 წ.წ. იყო ფრაქცია "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" თავმჯდომარე. ჰყავს 2 შვილი. მისამართი: ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ. 2. ტელ.: 98 35 36, 23 39 13 მობილური: (877) 40 32 34 ფაქსი: 93 19 78

ეკონომიკა: მცირე ბიზნესი და ადგილობრივი წარმოების განვითარება.

საგარეო პოლიტიკა: სახელმწიფო ნეიტრალიტეტის დაცვა და მშვიდობიანი და კვილიმეზობლური ურთიერთობა როგორც ახლო, ასევე შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებთან. ევროპისაკენ და ევროკავშირში გაერთიანებისაკენ სწრაფვა.

სახელმწიფო ტერიტორიული მონაცემი: უნიტარული - ასიმეტრიული რეგიონალიზმი

სახელმწიფო სისტემის მონაცემი: კონსტიტუციური მონარქია

პარტია 1993 წლიდან არის მსოფლიოს ქრისტიან-დემოკრატიული ინტერნაციონალის პოლიტიკური საბჭოს წევრი.

პარტია დაარსდა: 1917 წ., პირველი რეგისტრაცია - 1992 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: სპირიდონ კედია, რეზო გაბაშვილი, გიორგი გვაზავა, დათა ვანნაძე.

აღდგენის ინიციატორები (1981 წ.): გიორგი ჭანტურია, ირაკლი ქადაგიშვილი და სხვ.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოწვევა 2 წელიწადში ერთხელ) - მთავარი კომიტეტი (ირჩევა 2 წლით - 21 წევრი: ირინა სარიშვილი-ჭანტურია - თავმჯდომარე, გელა კვაჭანტირაძე - პოლიტიკური მდივანი, ირაკლი ქადაგიშვილი - საზოგადოებრივ ურთიერთობათა მდივანი, უტა ლიპარტია - აღმასრულებელი მდივანი, რეზო საყვარელიძე - თავმჯდომარის მოადგილე და სხვ.) - თავმჯდომარე (ყრილობა ირჩევს 2 წლით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.) - პრეზიდენტი (ირჩევა 2 წლით - 7 წევრი).

წევრთა რაოდენობა: 10000, აქტიური - 4500.

11 რეგიონალური და 64 რაიონული ორგანიზაცია.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატი (აედ), დაარსდა 1993 წ., გაერთიანებულია 3000 წევრი, არის იურიდიული პირი, ლიდერი: ჯაბა სამუშია. მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ., 21, ტელ.: 98 31 87, ფაქსი: 98 31 88, E-mail: yndgeorgia@hotmail.com

ბეჭდვითი ორგანო: გაზეთი "ქართული ქრონიკა", დაარსდა 1988 წ., გამოდის კვირაში ერთხელ, ტირაჟი - 500. ჟურნალი "მოამბე", 1987 წ., გამოდის კვარტალში ერთხელ, ტირაჟი - 500.

1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 22%. პარლამენტში ჰყავდა 14 წარმომადგენელი: 11 პარტიული სიით, 3 მაჟორიტარი.

1992 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: სვლა დემოკრატიისაკენ.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 7,97%. ჰყავდა 12 წარმომადგენელი პარლამენტში: 10 პარტიული სიით, 2 მაჟორიტარი.

1995 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: წარმოდგენილი ჰქონდა კომპლექსური წინასაარჩევნო პროგრამა.

1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობდა დამოუკიდებლად.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს არ უჭერდა არცერთ კანდიდატს.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს საშინაო პოლიტიკაში, ხოლო საგარეო პოლიტიკაში - ნაწილობრივ.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი - ირინა სარიშვილი-ჭანტურია, რწმუნებული - დავით შუკაკიძე.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: 1. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, მიწაზე კერძო საკუთრება. 2. დასავლური ორიენტაცია 3. უნიტარული ასიმეტრიული რეგიონალიზმი 4. კონსტიტუციური მონარქია 5. კულტურული ავტონომია.

მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ., 21,

ტელ.: 8 35 36, 98 88 12, 98 31 88, ფაქსი: 98 31 88, 93 19 78,

E-mail: ndpfc@parliament.ge

საკონტაქტო პირი: ირაკლი ქადაგიშვილი - საზოგადოებრივ ურთიერთობათა მდივანი.

### საპარლამენტო პოლიტიკური პარტია

დევიზი: "ვიყვეთ არავისი და ვმსახურებდეთ არავის, თვინიერ დამბადებლისა"

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე-ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: საგადასახადო სისტემის გამარტივება და გადასახადების შემცირება. კონკურენტუნარიანი, ძლიერი საბაზო სისტემის შექმნა. მწარმოებელთა შიდაგადასახადების კრედიტების გაცემა. ბიზნესში ფინანსური, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა.

საგარეო პოლიტიკა: ევროატლანტიკურ სივრცეში დროული ინტეგრირება.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: სამხარეო (ქართული ისტორიული და თანამედროვე ევროპული (მეტწილად ესპანური) გამოცდილების გათვალისწინებით "ასიმეტრიული რეგიონალიზმის" მოდელი უნდა განხორციელდეს. ზოგ მხარეს განსაკუთრებული სტატუსი სჭირდება)

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპარლამენტო (დასაშვებია შერეული, საპარლამენტო-საპრეზიდენტო მოდელიც (პოლუნური ტიპი))

პარტია დაარსდა: 1978 წ., პირველი რეგისტრაცია – 1990 წ., ხელახალი რეგისტრაცია – 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: ვახტანგ ძაბრიძე, ლევან ბერძენიშვილი, ვახტანგ შონია, დავით ბერძენიშვილი.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მონვევა არ არის შეზღუდული) – პოლიტსაბჭო (36 წევრი) – კომიტეტი (მონვევა არ არის შეზღუდული, ირჩევს ყრილობა – 7 წევრი) – თავმჯდომარე – ივლიანე ხაინდრავა (კომიტეტი ირჩევს მომდევნო ყრილობამდე, ბოლოს აირჩიეს 1996 წ.) -

წევრთა რაოდენობა: 1500, აქტიური - 800-მდე.

1 რეგიონალური და 30 რაიონული ორგანიზაცია.

1990 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "დემოკრატიული საქართველო"

საპარლამენტო პოლიტიკური პარტია





### პარტიაში მონაწილეობისა და პოლიტიკური აქტიურობის პარტია (მონაწილთა პარტია)

დევიზი: "ძლიერი მრეწველობა, ძლიერი ოჯახები"

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის შემცირება, ეროვნული წარმოების სტიმულირება, ჯანსაღი კონსერვანტული გარემოს შექმნა, გადასახადების სტრუქტურის გამართვა, საგადასახადო განაკვეთების ოპტიმიზაცია, ინვესტიციების ხელშეწყობა.

საგარეო პოლიტიკა: კეთილშობილობა, რეგიონული უსაფრთხოება, ევროპული ინტეგრაცია, ნატო-სთან დაახლოება.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო

პარტია დაარსდა: 08.04. 1999 წ., პირველი რეგისტრაცია – 30.04. 1999 წ.

დაარსების ინიციატორები: ბესიკ ჯუღელი, ომარ მახსვილი, ემირ ჯუღელი, მარიამ მჭავლიანი, ალექსანდრე ყარაღაბილი, ზურაბ დგებუაძე, ივანე ორჯონიკიძე, გიანა კაპანაძე, ზაურ ქართველიშვილი, ალექსანდრე სევასტოპოლო, ლაშა ხოფერიანი, მარიკა ჯაბაური, თამარ კაციტაძე, ზაურ მელქაძე, ოლეგ ასობაძე. ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 3 წელიწადში ერთხელ) – კომიტეტი (ირჩევა 3 წლით - 22 წევრი: ომარ მახსვილი - აღმასრულებელი მდივანი, ლაშა ხოფერიანი - პოლიტიკური მდივანი) – თავმჯდომარე - ბესიკ ჯუღელი (ირჩევენ 3 წლით).

წევრთა რაოდენობა: 11765, აქტიური - 580.


7 რეგიონალური და 44 რაიონული ორგანიზაცია.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: საქართველოს ახალგაზრდა მრეწველთა კავშირი. დაარსდა 1999 წ., გაერთიანებულია 280 წევრი, ჩამოყალიბების სტადიაშია. ლიდერი – ვაბა ზარდიაშვილი. მისამართი: თბილისი, ა. წერეთლის გამზ., 112, ტელ.: 25 18 56.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, რადგან დღეს სახელმწიფო ხალხისათვის კი არ არსებობს, არამედ იმ ჩინოვნიკისათვის, რომელიც ქრთამს იღებს.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: 1. მართვის სისტემის გამართვა 2. ბიუროკრატიული აპარატის შემცირება 3. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებების გაზრდა 4. ტერიტორიული მოწყობა – ასიმეტრიული რეგიონალიზმი – ძლიერი ცენტრი და ძლიერი რეგიონები 5. წარმოების ამუშავება, მწარმოებელთა შეღავათიანი კრედიტების გაცემა 6. ძლიერი საბანკო სისტემის შექმნა 7. საგადასახადო სისტემის გამართვა და გადასახადების შემცირება 8. საბაჟო გადასახადების სრულყოფა 9. ელექტროენერჯის წარმოება ადგილობრივი რესურსებით 10. მიწაზე კერძო საკუთრება (ყიდვა-გაყიდ-

**პარტიის ლიდერი**  
**ბესიკ ჯუღელი**  
დაიბადა 1943 წ.,  
თბილისში, ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. 1966 წ. დაამთავრა სპი, მეტალურგიული ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1966-1980 წ.წ. – კიბერნეტიკის ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. 1980-1985 წ.წ. – ტელევიზორების ქარხანა, ოსტატი, სააქროს უფროსი, წარმოების უფროსი, დირექტორის მოადგილე. 1985-1987 წ.წ. – თელავის "მიონი"-ს ქარხანა, დირექტორი. 1987-1992 წ.წ. – ქარხანა "ჰიდრომეტელსანკო", დირექტორი. 1992-1993 წ.წ. – მრეწველობის სამინისტრო, მინისტრი. 1993-1999 წ.წ. იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი. 1999 წ. აირჩიეს მრეწველთა პარტიის თავმჯდომარედ. 1990 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი და "დემოკრატიული საქართველოს" პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1995-1999 წ.წ. იყო ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. ჰყავს მეუღლე, მარიკა ბარნოვა და 2 შვილი. მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის ქ., 6, ტელ.: 22 04 24, მობილური: (877) 43 09 01, ფაქსი: 25 13 19



წევრი

17

ვის უფლებით) საქართველოს მოქალაქეებისათვის და სახელმწიფოში რეგისტრირებული იურიდიული პირებისათვის 11. სხვადასხვა შეღავათებით იმ საწარმოთა მხარდაჭერა, რომლებიც ახალ სამუშაო ადგილებს ქმნიან.

მისამართი: თბილისი, ა. ნურეთლის გამზ., 112,

ტელ.: 95 24 44, 25 18 56,

E-mail: Margheri@access.sanet.ge

საკონტაქტო პირი: მარიამ მკალავიშვილი – მთავარი კომიტეტის წევრი.

## 5. გლოქი “სახალხო პარტია - ღიღგორი”

სახალხო პარტია

საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობის პარტია “ღიღგორი” (“ღიღგორი”)

სახალხო კავშირი - ინფორმაცია არ მოგვანოდა

## სახალხო პარტია

დევიზი: “სახალხო პარტია - ხალხით და ხალხისათვის”

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე-ცენტრისტული



**პარტიის ლიდერი  
გამგუა (ივანე)  
გიორგიძე**

დაიბადა 1961 წ. თბილისში, პოლიტიკოსი. 1987 წ. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პიდროტექნიკა-სანტექნიკის ფაკულტეტი. 1993 წლიდან არის ქრისტიან-დემოკრატიული ინტერნაციონალის პოლიტიკური ბიუროს წევრი. 1990-1992 წ.წ. - ეროვნული კონგრესის წევრი. 1992 წ. - სახელმწიფო საბჭოს სამხედრო კომისიის თავმჯდომარე. 1981-1996 წ.წ. - ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მდივანი. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1992-1995 წ.წ. - ფრაქცია “ეროვნულ-დემოკრატიის” თავმჯდომარე. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1995-1996 წ.წ. იყო ფრაქცია “ეროვნულ-დემოკრატიის” თავმჯდომარე, ხოლო 1996-1999 წ.წ. - ფრაქცია “სახალხოს” თავმჯდომარე. ჰყავს მეუღლე, ნონა გიორგაძე და 3 შვილი. მისამართი: თბილისი, ნურეთლის გამზ., 48. ტელ.: 95 69 25, 35 11 04.

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: წერილი და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელის შეწყობა, მათზე გადასახადების შემცირების გზით. კონსერვანტული გარემოს შექმნა. სოციალური საბაზრო მეურნეობა. ლიბერალიზაცია. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაცია.

საგარეო პოლიტიკა: ევროატლანტიკური ინტეგრაცია. რეგიონალური თანამშრომლობის განმტკიცება. “აბრე-შუმის გზის” დიდი პროექტის რეალიზაციისათვის მატ-სიმაღური ხელის შეწყობა.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: სამხარეო (ეს-პანური ვარიანტის უნიტარული სახელმწიფო, ზოგიერთი მხარისათვის ავტონომიის მინიჭებით)

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპარლამენტო

1995 წლიდან პარტია არის ქრისტიან-დემოკრატიული ინტერნაციონალის მუდმივი წევრი და 1998 წლიდან - სახალხო პარტიათა პანევროპული ფორუმის დამფუძნებელი წევრი.

პარტია დაარსდა 1917 წ., პირველი რეგისტრაცია – 1992 წ., ხელახალი რეგისტრაცია – 1997წ.

დაარსების ინიციატორები: გიორგი ჭანტურია, მამუკა გიორგაძე.

პარტია არის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამართალმემკვიდრე. 1996 მაისში ირინა სარიშვილისა და პარტიის ერთი ჯგუფის მიერ წესდების დარღვევით მოხდა პარტიის გაყოფა. მეორე ჯგუფმა მამუკა გიორგაძის ხელმძღვანელობით არსებულ საქართველოს სახალხო პარტიასთან (თავმჯდომარე გ. სიხარულიძე) 1997 წ. შექმნა სახალხო პარტია.

ინფორმაცია

ორგანიზაციული სტრუქტურა: კონგრესი (მოინვევა 4 წელიწადში ერთხელ) – მთავარი კომიტეტი (ირჩევა 4 წლით - 21 წევრი) – მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმი (ირჩევა 4 წლით - 7 წევრი: მამუკა გიორგაძე – თავმჯდომარე, გიორგი კობახიძე - გენერალური მდივანი, ვანო ხუხუნიანიშვილი, გურამ ჩახვაძე, მიხეილ ჯიბუჭი, გიორგი გოგინაშვილი) – თავმჯდომარე (ფარული კენჭისყრით ყრილობა ირჩევს 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.). წევრთა რაოდენობა: 15000, აქტიური - 7000.

8 რეგიონალური და 75 რაიონული ორგანიზაცია.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: ახალგაზრდული სახალხო მოძრაობა. დაარსდა 1997 წ., გაერთიანებულია 5000. ლიდერი: თემურ კუპატაძე. მისამართი: თბილისი, უზნაძის ქ., 56, ტელ.: 96 14 50, ფაქსი: 93 57 98,

ბეჭდვითი ორგანო: “სახალხო პარტია” (ბიულეტენი), ტირაჟი - 5000.

1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: 23 პარლამენტის წევრი, რწმუნებული – გია მჭედლიძე.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: ქვეყანაში გამეფებული უკანონობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. პარტიის სამოქმედო პროგრამა მოსახლეობის პრობლემების მოგვარების პროგრამაა, რომლის რეალიზება შეცვლის ცხოვრებას უკეთესობისაკენ. სახალხო პარტიის გამარჯვება საქართველოს პარლამენტის არჩევნებში კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენი ქვეყნის ევროპულ პროცესებში მონაწილეობის პერსპექტივებს. ევროპულ სტრუქტურებთან ნაყოფიერი ურთიერთობის დამყარებას დიდად შეუწყო ხელი სახალხო პარტიის აქტიურმა პოლიტიკამ. პარტია იბრძობებს საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებისათვის.

მისამართი: თბილისი, უზნაძის ქ., 56,

ტელ.: 96 03 69, ფაქსი: 93 57 98,

E-mail: pppress@parliament.ge

საკონტაქტო პირი: ზურაბ ლონდაძე - პრეს-სამსახურის უფროსი.

### საპარამპელოს პარტიისა და დამოუკიდებლობის პარტია “დიღგორი” (“დიღგორი”)

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე-ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა.

სახელმწიფო ტერიტორიული მონყობა: სამხარეო

სახელმწიფო სისტემის მონყობა: საპარლამენტო

პარტია დაარსდა: 1999 წ. პირველი რეგისტრაცია – 1999 წ. ივლისი.

დაარსების ინიციატორები: ომარ გრიგალაშვილი, ზურაბ სანიციძე, ნიკო ხაჭაპურიძე.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 4 წელიწადში ერთხელ) – კომიტეტი (ირჩევა 4 წლით - 3 წევრი: ომარ გრიგალაშვილი, ზურაბ სანიციძე, ნიკო ხაჭაპურიძე) – თავმჯდომარე (გიორგი ოჩიაური).

### პარტიის ლიდერი გიორგი ოჩიაური

დაიბადა 1927 წ. დუშეთის რ-ნის სოფ. შუაფხოში, მხატვარი-მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი. 1953 წ. დაამთავრა სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: სისტემატურად მონაწილეობს საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ გამოვენებში. სამხატვრო აკადემიის პროფესორი, მხატვართა კავშირის მდივანი, მხატვართა კავშირის თავმჯდომარე. 1990 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი, გახდა პარლამენტის წევრი, იყო ფრაქცია “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს” წევრი, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის წევრი. ჰყავს მეუღლე, გულნაზი ლორთქიფანიძე და 2 შვილი. მისამართი: თბილისი, ნუგუბიძის ქ., 151, ტელ.: 32 21 95.

საქართველო

რეგიონალური და რაიონული ორგანიზაციები – ჩამოყალიბების სტადიაში.  
დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს პარტია მხარს არ უჭერს.  
ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდაჭერა ხელმოწერე-  
ბი.

მისამართი: მ. კოსტავას ქ., 17,  
ტელ: 99 77 55

## 6. გლოქი “სახალხო ფრონტი - ჭაჭაპაის საზოგადოება”

*საქართველოს სახალხო ფრონტი (“სფ”)  
ილია ჭაჭაპაის საზოგადოება*

### საქართველოს სახალხო ფრონტი (“სფ”)

დევიზი: “ეროვნული თავისუფლების გზით - პიროვნული თავისუფლებისაკენ, პიროვნული თავისუფლების გზით - ეროვნული თავისუფლებისაკენ”

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე-ცენტრისტული

პარტიის საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: თავისუფალი (საბაზრო) ეკონომიკა. სახელმწიფოს აქტიური (საგადასახადო, სა-  
ბაჟო და ინვესტიციური) პოლიტიკა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების სტი-  
მულირებისათვის. შინაგანი ბაზრის ზომიერი დაცვა წარმოების ინტერესებთან გამომდი-  
ნარე. შეურიგებლობა მაფიურ მონოპოლიზმთან.

საგარეო პოლიტიკა: ორიენტაცია დასავლეთზე სტრატეგიული (გეოპოლიტიკური, ეკონო-  
მიკური, კულტურული, მეცნიერული, სათავდაცვო) პარტნიორობის საფუძველზე. კავკასი-  
ის ხალხთა მკჷსიმაღური დამოუკიდებლობის ხელშეწყობა. ხისტი იურიდიული თავდაცვა  
რუსეთის შემოტყვისაგან, მასთან ურთიერთობის სწრაფი ნორმალიზაცია, დაუყოვნებლივ  
გამოსვლა სნგ-დან და რუსეთის საშედრო ბაზების დაუყოვნებლივ გაყვანა.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული პრინციპით მოწყობილი ტერიტორია  
ასიმეტრიის იმ ხარისხით, რომელსაც მოითხოვს ადგილობრივი ვითარება (აჭარა და აფხა-  
ზეთი ავტონომიურია).

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: პრეზიდენტის ყოლა დასაშვებია, მაგრამ სახელმწიფოს პო-  
ლიტიკის წარმმართველი მთავრობის მეთაური, რადგან იგი ყოველდღიურად დამოკიდე-  
ბულია პარლამენტზე.

პარტია დაარსდა – 21-25.06. 1989 წ., პირველი რეგისტრაცია - 17.08. 1989 წ., ხელახა-  
ლი რეგისტრაცია - 09.07. 1999 წ.

დაარსების ინიციატორები: ნოდარ ნათაძე, ტრისტან ბერიანიძე, რობერტ პეტრიაშვილი,  
ავთანდილ იმნაძე, გურამ ბერიშვილი, ამირან დოლიძე, შოთა ნადირაშვილი, სოლომონ ხუ-  
ციშვილი, რუსუდან დუნდუა, ზურაბ მამულაშვილი, გენო ჯიშკარიანი, დავით ბერძენიშ-  
ვილი, მერაბ კუტუბიძე, თემურ ქურდაძე, როინ თაქთაქიძე, შოთა ჯღამაძე, თემურ ნერ-  
გაძე, აბესალომ ტულუში, ანზორ სიჭინავა, გია ლობჯანიძე, შოთა გაფრინდაშვილი, პაატა  
კოლუაშვილი, მერაბ მამარდაშვილი, ელდარ შენგელაია, ალექსანდრე ჯავახიშვილი, გურამ  
ყორანაშვილი, ჯამბულ შეყილაძე, ლევან მესხი, გაიოზ როგავა, გურამ პეტრიაშვილი, სერ-  
გო ცხადაძე, ელგუჯა ჩხაიძე და სხვ.

პარტია არის გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის (რომელიც 1994 წ. ჩამოყალიბდა  
სახალხო ფრონტის, რესპუბლიკური პარტიისა და ქარტია-91 შერწყმით) სამართალმემკვიდ-  
რე. 1995 წელს ყოფილი რესპუბლიკური პარტიისა და ყოფილი ქარტია-91-ის წევრები გა-  
ვიდნენ პარტიიდან.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - ეროვნული  
კომიტეტი (ირჩევა 4 წლით - 11 (ამჟამად 10) წევრი: ნოდარ ნათაძე - თავმჯდომარე, შო-

თა ნადირაშვილი - პოლიტიკური მდივანი, გოგი სორდია - აღმასრულებელი მდივანი, ტრისტან ბერიანიძე - აპარატის ხელმძღვანელი, რუსუდან დუნდუა, ამირან დოლიძე, ზუ-რაბ მაშულაშვილი, ფრიდონ ასლანიკაშვილი, ელგუჯა ჩხაიძე, სერგო ცხადაძე) — თავმჯდომარე (2 წლითიჩრევეს ეროვნული კომიტეტი, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.) - დარბაზი (ირჩევა 4 წლით, ფორმირდება რეგიონების წარმომადგენლების და სხვა პარტიული თანამდებობებით).

წევრთა რაოდენობა 5000, აქტიური — 300-400.

42 რაიონული ორგანიზაცია.

ბეჭდვითი ორგანო: გაზეთი “საქართველო”, დაარსდა 1989 წ., გამოდის ცვალებადი პერიოდულობითა და ტირაჟით, ფასი - 50 თეთრი.

1990 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, ვერ გადალახა 5% ბარიერი. პარლამენტში ჰყავდა 12 მაჟორიტარი წარმომადგენელი.

1990 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს გამოყოფა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან და დამოუკიდებელი, სუვერენული, ძლიერი სახელმწიფოს აშენება დემოკრატიულ და სამართლებრივ პრინციპებზე დაყრდნობით.

1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში “II ოქტომბერი” (საქ. სახალხო ფრონტი, რესპუბლიკური პარტია, დასი, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი), პარლამენტში პარტიას ჰყავდა 16 წარმომადგენელი (პარტიული სიით).

1992 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიის დაცვა, დემოკრატიზაცია, თავისუფალი ეკონომიკა, რუსეთის გავლენის სფეროდან გამოსვლა, მისი ბზების გატანა საქართველოდან.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა, როგორც გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია, სახელწოდებით “რესპუბლიკელები”. მიიღო არჩევნებში ხმების 2%-ზე ნაკლები, ჰყავდა 1 მაჟორიტარი წარმომადგენელი პარლამენტში.

1995 წლის არჩევნებში პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა: აფხაზეთისა და ცხინვალის ზონაში იურისდიქციის აღდგენა, დსთ-დან გამოსვლა, რუსეთის ჯარების გაყვანა საქართველოდან, კორუფციის დათრგუნვა, დასავლური ორიენტაცია, თავისუფალი ეკონომიკა აქტიური საბაჟო და საგადასახადო რეგულირებითურთ.


1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში “საქართველო - მერაბ კოსტავას საზოგადოება” (საქ. სახალხო ფრონტი (გაერთ. რესპ. პარტია), ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, ინვალიდთა ასოციაცია, მერაბ კოსტავას საზოგადოება).

1991 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს უჭერდა ნოდარ ნათაძეს.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს უჭერდა აკაკი ბაქრაძეს.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, რადგან არ-

**პარტიის ლიდერი  
ნოდარ ნათაძე**



დაიბადა 1929 წ. თბილისში, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. 1952 წ. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1957-1963 წ.წ. — საქ. მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, მეცნიერ თანამშრომელი. 1963-1969 წ.წ. — საქ. მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტი, მეცნიერ თანამშრომელი. 1969 წლიდან დღემდე - საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი, განყოფილების გამგე. 1995 წლიდან არის საქართველოს ეროვნული სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე. 1990 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი, გახდა პარლამენტის წევრი, იყო ფრაქცია “დემოკრატიული ცენტრის” თავმჯდომარე. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, იყო ფრაქცია “რესპუბლიკელების” წევრი. 1992-1995 წ.წ. იყო თავდაცვისა და უშიშროების კომისიის თავმჯდომარე. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე, ნანა ნათაძე და 2 შვილი.

მისამართი: თბილისი, ფანასკერტელის ქ., მე-16 კორპ., ბინა 57.  
ტელ.: 98 16 32

წიგნი I

სებული კურსი მიგვანჩნა მოსკოვის იმპერიული ზრახვების მონურ მორჩილებად, საქართველოს მიზანდასახულ ეკონომიკურ, სტრატეგიულ და ფსიქოლოგიურ ნგრევად დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის დისკრედიტაციის მიზნით.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პარტია რეგისტრირებულია, რწმუნებული - ციციხოველი დათევიშვილი.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: დსთ-დან გამოსვლა. რუსეთის ბაზების გაყვანა, ხისტი იურიდიული დაცვა რუსეთის ყოველგვარი მცდელობისაგან საქართველოში პრივილეგირებული პოზიციების მოპოვებისა, ცხინვალის ზონაში საქართველოს იურისდიქციის უპირობო აღდგენა, აფხაზეთის სტატუსის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი ავტონომიის, და აფხაზეთის შიგნით ადგილობრივი ტერიტორიული უფლებების განაწილების ზუსტი განცხადება მსოფლიოს პოლიტოლოგიურ წრეებთან მჭიდრო კონსულტაციით, ამ ფორმულირებათა დაჯანსონება და შემდეგში პოლიტიური აქციის (თუ საჭირო გახდა) განხორციელება მხოლოდ როგორც ამ ფორმულირებათა რეალიზაციის, არძინბას ხროვის მოლაპარაკებათა მიზანწილედ ცნობის გარეშე. რუსეთის ყოველგვარ "საშვეილობო" მისიგბზე უარის თქმა. საქართველოს ყველა სხვა საგარეო სამხედრო ურთიერთობათა გამორიცხვა გარდა "ნატო"-სთან ურთიერთობისა. დღგ-ს შემცირება. სესხებისა და მათი გახარჯვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში არჩევითობის პრინციპის სრული განხორციელება (თბილისის და სხვა ქალაქების მერთა არჩევითობის ჩათვლით).

მისამართი: თბილისი, პუშკინის ქ., 5, ტელ.: 93 17 10, 93 15 89, 93 19 93.

საკონტაქტო პირი: გოგი სორდია - აღმასრულებელი მდივანი, ტრისტან ბერიანიძე - აპარატის ხელმძღვანელი.

### ილია ჭავჭავაძის საზოგადოება

დევიზი: "მამული, ენა, სარწმუნოება"

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე-ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: თავისუფალი მენარმეობა, გადასახადების შემცირება, მინაზე კერძო საკუთრება.

საგარეო პოლიტიკა: ყველა ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობები, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობას. ყველასთან, რუსეთთანაც და სხვა ქვეყნებთანაც უნდა ვიქცეოდეთ ისე, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას შეესაბამება.

სახელმწიფო ტერიტორიული მონყობა: უნიტარული

სახელმწიფო სისტემის მონყობა: საპარლამენტო (დღეს, როდესაც ქვეყანაში არ არსებობს დემოკრატიის ადეკვატური დამცავი მექანიზმები და მოქმედებს ბელადომანიის მენტალიტეტი, საპარლამენტო მმართველობა მეტ შესაძლებლობას ქმნის დემოკრატიის განვითარებისა და დაცვისთვის)

პარტია დაარსდა 1987 წ., პირველი რეგისტრაცია – 1990 წ., ხელახალი რეგისტრაცია – 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: გიორგი ჭანტურია, გურამ მამულია.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) – გამგეობა (არჩევის ვადას განსაზღვრავს დარბაზი - 2 წევრი) – დარბაზი (ირჩევა 2 წლით – 21 წევრი: თამარ ჩხეიძე, კახაბერ კახაძე) – თავმჯდომარე (დარბაზი ირჩევს 2 წლით).

წევრთა რაოდენობა: 2000, აქტიური - 200.

აქვს რაიონული ორგანიზაციები.

ბექდვითი ორგანო: "ივერია", დაარსდა 1989 წ. (შეწერებულია უსახსრობის გამო).

1990 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "დემოკრატიული საქართველო", მიიღო ხმების 2,3%, პარლამენტში ჰყავდა 1 მაჟორიტარი წარმომადგენელი პარტიიდან.

1990 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს დამოუკიდებლობა, აფხაზეთში მდგომარეობის ნორმალიზაცია, ანტიქართული მოვლენების და ქართველთა დისკრიმინაციის ბლოკირება. ეთნოკონფლიქტების გადავივისათვის ხელის შეშლა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ადამიანის უფლებების დაცვა.

1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 5%, პარლამენტში ჰყავდა 7 წარმომადგენელი პარტიული სიით.

1992 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, რუსეთის სამხედრო-ეკონომიკური სფეროდან საქართველოს გამოსვლა, რუსეთის სამხედრო ძალების გაყვანა საქართველოდან, თავისუფალი ეკონომიკა, ადამიანის უფლებების დაცვა, საპარლამენტო მმართველობა, უნიტარული სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობა.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 1%. პარლამენტში ჰყავდა 1 წარმომადგენელი.

1995 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, რუსეთის სამხედრო-ეკონომიკური სფეროდან საქართველოს გამოსვლა, რუსეთის სამხედრო ძალების გაყვანა საქართველოდან, თავისუფალი ეკონომიკა, ადამიანის უფლებების დაცვა, საპარლამენტო მმართველობა, უნიტარული სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობა.

1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "საქართველო - მერაბ კოსტავას საზოგადოება".

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს უჭერდა აკაკი ბაქრაძეს.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, რადგან ეს კურსი არ ეფუძნება ეროვნული სახელმწიფოებრივ ინტერესებს და მიუხედავად ოფიციალურად აღიარებული ლოზუნგებისა ეწინააღმდეგება ჩვენს მთავარ პრინციპებს: დამოუკიდებლობა, დემოკრატია, თავისუფალი ეკონომიკა.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი – ბ. კაკუბავა, რწმუნებული – ციციონ დათუკიშვილი.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რუსეთის სამხედრო-ეკონომიკური სფეროდან საქართველოს გამოსვლა, რუსეთის სამხედრო ძალების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანა, თავისუფალი ეკონომიკა, საპარლამენტო მმართველობა, უნიტარული სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობა, ადამიანის უფლებების დაცვა.

მისამართი: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ., 6,  
ტელ.: 99 61 96, 99 57 19, 37 07 36, ფაქსი: 99 61 96,  
E-mail: iliachav@access.sanet.ge

**პარტიის ლიდერი**  
**მთავარ ჩხამიძე**



დაიბადა 1960 წ. თბილისში, ისტორიკოსი. 1981 წ. დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1981-1985 წ.წ. – დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალი, უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი. 1985-1995 წ.წ. – სახელმწიფო არქივი, უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი. 1987 წ. – ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი. 1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში იყრიდა კენჭს, გახდა პარლამენტის წევრი, 1992-1995 წ.წ. - ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის წევრი. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. მისამართი: თბილისი, ლარსის ქ., 5, ბინა 3. ტელ.: 23 38 84.



## 7. გლოქი “მრენველობა გადაარჩენს საქართველოს” (“მგს”)

პოლიტიკური მოძრაობა “მრენველობა გადაარჩენს საქართველოს” (“მგს”)

მოძრაობა ქართული სახელმწიფოსათვის

რეფორმატორთა და აგრარკოსთა კავშირი

საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - ნაციონალური მოძრაობა  
“საქართველო უპირველეს ყოვლისა!”

პოლიტიკური გაერთიანება “სპორტული საქართველო”

## პოლიტიკური მოქარობა “მრენველობა გადაარჩენს საქართველოს” (“მგს”)

დევიზი: “გადავარჩინოთ მრენველობა – მრენველობა გადაარჩენს საქართველოს”

პოლიტიკური მიმართულება: ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: მრენველობის განვითარების ხელშეწყობა, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა და მისი დანეჭების ხელშეწყობი პირობების შექმნა. ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა. საგადასახადო ადმინისტრირების მაქსიმალური გამარტივება. ჩრდილოვანი ეკონომიკის აღმოფხვრა. ეფექტური საკრედიტო სისტემის დამკვიდრება.

საგარეო პოლიტიკა: საქართველომ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს კაცობრიობის წინაშე მდგარი გლობალური პრობლემების გადაჭრაში, აქტიურად იღვანოს, რომ ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლის ერთა თანამეგობრობაში. ამისათვის მზად ვართ ინტენსიურად ვითანამშრომლოთ საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანასწორუფლებიანობის პრინციპისა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით.


სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: ასიმეტრიული რეგიონალიზმის პრინციპი (ტერიტორიული მოწყობის ისეთი მოდელი შექმნა, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკურ და ისტორიულ-კულტურულ რეალობებს. არსებული ავტონომიების გათვალისწინება)

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: შერეული სისტემა (პრეზიდენტი ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას და საგარეო პოლიტიკას. პრემიერ მინისტრი და მთავრობა კონცენტრირებულია საშინაო პოლიტიკის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაზე)

პარტია დაარსდა 14.04. 1999 წ., პირველი რეგისტრაცია - 1999 წ. აპრილი

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 4 წელიწადში ერთხელ მანც) – კომიტეტი (ირჩევა 4 წლით - 21 წევრი: გიორგი თოფაძე - თავმჯდომარე, ზურაბ ტყემალაძე - თავმჯდომარის მოადგილე, თამაზ ბეჟინიშვილი - ორგანიზაციული მდივანი, გია ყორყოლიანი - საზოგადოებრივი მდივანი) – თავმჯდომარე (4 წლით ირჩევა ყრილობა, ბოლოს აირჩიეს 1999 წ.)

წევრთა რაოდენობა: 94000, აქტიური - 8900  
რეგიონალური და რაიონური ორგანიზაციები ყველა რეგიონში და რაიონში.  
ახალგაზრდული ორგანიზაცია: ჩამოყალიბების სტადიაშია.



**გიორგის ლიფიტი**  
**გიორგი თოფაძე**

დაიბადა 1940 წ. თბილისში, არის მეცნიერებათა კანდიდატი. დაამთავრა: 1967 წ. - სპი, კვებისა და ქიმიის ტექნოლოგიის ფაკულტეტი, მოსკოვის ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ასპირანტურა. სამუშაო გამოცდილება: 1970-1975 წ.წ. - თბილისის საპნის ქარხნის დირექტორი. 1975-1986 წ.წ. - ს/გ “თბილლუდი”, გენერალური დირექტორი. 1986 წლიდან არის ლილოს ლუდის ქარხნის დირექტორი, 1994 წლიდან - შპს “ყაზბეგის” გენერალური დირექტორი, 1999 წლიდან არის ამ ორი ქარხნის ბაზაზე დაარსებული შპს “ყაზბეგი-კასტელის” პრეზიდენტი. 1997 და 1999 წ.წ. აღიარებული იყო წლის საუკეთესო ბიზნესმენად. 1999 წლიდან არის პოლიტიკური მოძრაობა “მრენველობა გადაარჩენს საქართველოს” თავმჯდომარე. ჰყავს მეუღლე, მარინე ბეჟინიშვილი და 2 შვილი. მისამართი: თბილისი, მცხეთის ქ., 43, ტელ.: 29 00 01

ინტერვიუ



ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდაჭერა ხელმძღვანელები, რწმუნებული – თამაზ დიასამიძე.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. პრემიერ მინისტრის პოსტის შემოღება. პრეზიდენტი პასუხს უნდა აგებდეს ქვეყნის სტაბილურობაზე, მის ერთიანობაზე და უსაფრთხოებაზე, განვითარების საერთო კურსის დაცვაზე. მკვეთრად უნდა შემცირდეს ბიუროკრატიული აპარატი და ამავე დროს გაიზარდოს სახელმწიფო მოხელის ხელფასი. უნდა შეიცვალოს ბიუჯეტის ფორმირების, განხილვის და განხორციელების პრინციპები. უნდა განისაზღვროს საერთო საქვეყნო ინტერესები და რეგიონების ინტერესები. უნდა დამკვიდრდეს რეალური თვითმმართველობა. ქვეყანაში ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბება. საბაზრო ეკონომიკა – ცივილიზებული და არა ველური. უნდა შეიზღუდოს სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკის მიმდინარე ფუნქციონირებაში და ამავე დროს გაიზარდოს მისი როლი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შემუშავებაში. უნდა შეიქმნას ახალი საგადასახადო კოდექსი, დაწესდეს საგადასახადო შეღავათები ბიზნესის დაწყების გასაადვიებლად და სამამულო წარმოების პრიორიტეტული დარგების განსავითარებლად, განისაზღვროს მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ჯანდაცვის სპეციალური მხარდაჭერი და მასტიმულირებელი ზომები. უნდა წახალისდეს ეკონომიკური აქტივობა საქართველოს რეგიონებში, რომელთა ეკონომიკური აღორძინება გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. გადაისინჯოს საერთაშორისო კრედიტების და ვალუბის აღების სისტემა და გაკონტროლდეს ადრე აღებული ვალუბის და კრედიტების ბედი. მისამართი: თბილისი, ბარნოვის ქ., 69, ტელ.: 23 53 35, 29 49 11, 29 43 31

**მოქალაქე ქართული სახელმწიფოსათვის**

დევიზი: “ახალი ძალა - ახალი წესრიგი”  
პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე-ცენტრისტული  
საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბება.  
საგარეო პოლიტიკა: საერთაშორისო სამხედრო და პოლიტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია (ნატო, სუ-უამი).

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: სამხარეო სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო პარტია დაარსდა: 19.12. 1998 წ., პირველი რეგისტრაცია – 21.05. 1999 წ.

დაარსების ინიციატორები: ირაკლი ბათიაშვილი, ფიქრია ჩიხრაძე, კოტე ბაბუნაშვილი, გოგი ფრანგიშვილი, ნუგზარ ლელაძე, თემურ შენგელია, პაატა ჩხეიძე, თემურ ბასილია, მალხაზ გულაშვილი.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა - სათათბირო – საბჭო (30 წევრი: ირაკლი ბათიაშვილი – თავმჯდომარე, ფიქრია ჩიხრაძე, კოტე ბაბუნაშვილი, გოგი ფრანგიშვილი, ნუგზარ ლელაძე, თემურ შენგელია, პაატა ჩხეიძე, მალხაზ გულაშვილი და სხანი) – თავმჯდომარე (ბოლოს აირჩიეს 21.05. 1999 წ.).

აქვს რეგიონალური (გარდა აჭარისა) და რაიონული ორგანიზაციები (ყველგან).  
ახალგაზრდული ორგანიზაცია: ახალგაზრდული მოძრაობა ქართული სახელმწიფოსათვის. დაარსდა 1999



**პარტიის ლიდერი**  
**ირაკლი**  
**ბათიაშვილი**

დაიბადა 1961 წ., თბილისში, ფილოსოფოსი. 1983 წ. დაამთავრა თსუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. 1983 წლიდან - მეცნ. აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი. 1992-1994 წ.წ. საინფორმაციო-სადაზვერვო ბიუროს ხელმძღვანელი. 1999 წლიდან არის მოძრაობა ქართული სახელმწიფოსათვის მთავარი საბჭოს წევრი. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი, გახდა პარლამენტის წევრი, არის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრი. ჰყავს მეუღლე, მათა ფანშულიძე და 2 შვილი. მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ., 11

წევრი I

ნ. ივლისს, ჩამოყალიბების სტადიაშია. ლიდერი: ალექსანდრე (ლუკა) ხოჯავა. მისამართი: თბილისი, შარტავას ქ., 41, ტელ.: 92 32 04, 25 04 74.

დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს პარტია მხარს უჭერს ნაწილობრივ - საგარეო პოლიტიკურ კურსს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრები - ირაკლი ბათიაშვილი, ფიქრია ჩხრაძე, რწმუნებული - გია სალუქვაძე.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: ქვეყანაში ნორმალური საგადასახადო რეჟიმის ჩამოყალიბება და ეროვნული მენარმების აღორძინება, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად მიზანმიმართული პოლიტიკის გატარება.

მისამართი: თბილისი, შარტავას ქ., 41,

ტელ.: 92 34 04, 25 04 74.

საკონტაქტო პირი: კობა ხაბაზი - აპარატის უფროსი.

### რეფორმატორთა და აპარატივისთა კავშირი

დევიზი: "გონიერება, საქმე, ზნეობა"

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე-ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: ეკონომიკური პოლიტიკის ქვეყნისთვის დაკვირვებით მიიჩნევა მოქალაქეების უმთავრესი სოციალური გარანტიის - შრომის უფლების დაცვა. ინდივიდუალური, საოჯახო ბიზნესი, მცირე და საშუალო საწარმოები სოფლად და ქალაქად - დასაქმებისა და შემოსავლის ზრდის ძირითადი წყარო უნდა გახდეს. ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი საგადასახადო დატვირთვის შემცირება და ყველა გადასხდელისათვის თანასწორი პირობების შექმნა კანონთან მიმართებაში.

საგარეო პოლიტიკა: გეოსტრატეგიულ ინტერესთა გადაკვეთაში საქართველოს ადგილის დამკვიდრების პროცესის გაღრმავება. ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. საერთაშორისო ასპარეზზე, პირველ რიგში - კავკასიაში, საქართველოს ისტორიულ-კულტურული როლის აღდგენის მიზნით უნდა გაფართოვდეს ურთიერ-

ობები ევროპული ინტეგრაციის განმსაზღვრელ გაერთიანებებში. ევროსაბჭოდან სვლა ევროკავშირისაკენ უმთავრესი პრიორიტეტი.

სახელმწიფო ტერიტორიული მონაცობა: ფედერალური, სამხარეო (ყველა დონეზე დამატარებელი ხელისუფლების არჩევითობის დამკვიდრება მომავალ საპარლამენტო პერიოდში აუცილებელია)

სახელმწიფო სისტემის მონაცობა: საპრეზიდენტო პარტია დაარსდა 1993 წ., პირველი რეგისტრაცია - 07.10. 1993 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 27.02. 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: მოქალაქეთა ჯგუფი. კავშირი არის რეფორმატორთა კავშირის სამართალმემკვიდრე.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 2 წელიწადში ერთხელ) - საბჭო (ირჩევა 2 წლით - 80 წევრი) - პოლიტსაბჭო (ირჩევა 2 წლით - 15 წევრი) - თავმჯდომარე - ბაკურ გულუა (ყრილობა ირჩევა 2 წლით, ბოლოს აირჩიეს 1999 წ.) .

წევრთა რაოდენობა: 66547, აქტიური - 12000.



**პარტიის ლიდერი  
ბაკურ გულუა**

დაიბადა 1946 წ., ჩხოროწყუს რ-ნი, ინჟინერი, ეკონომისტი. დაამთავრა სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. იყო სკკპ წევრი, ფოთის ქალაქკომის პირველი მდივანი. 1993 წ. აირჩიეს რეფორმატორთა და აგარატივისთა კავშირის თავმჯდომარედ. 1990 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი, გახდა პარლამენტის წევრი. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი, გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე, ნანა გეგია და 2 შვილი. მისამართი: თბილისი, დ. წყნეთი, "ა" ზონა, ტელ.: 22 27 70

ინფორმაცია

56 რაიონული ორგანიზაცია.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: რეფორმატორთა და აგრარკოსთა ახალგაზრდული კავშირი. დაარსდა 1993 წ., გაერთიანებულია 7500 წევრი. არ არის იურიდიული პირი. ლდერი: ვასო ჯვარელი. მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ., 39ა. ტელ: 25 09 36, ფაქსი: 25 19 45.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში “რეფორმატორთა კავშირი – ეროვნული თანხმობა”, მიიღო ხმების 2,8%, პარლამენტში ჰყავდა 1 წარმომადგენელი ბლოკიდან.

1995 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. რეფორმების განხორციელება. ეროვნული თანხმობის მიღწევა.

1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობდა ბლოკში “ეროვნული თანხმობა”.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს უჭერდა ედუარდ შევარდნაძეს.

პარტია მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს.

პარტია არის რეგისტრირებული ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რწმუნებული – მამუკა შუბლაძე. პარტიის წევრი აღმასრულებელ ხელისუფლებაში: ბაკურ გულუა – სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: 1. ეროვნული ეკონომიკის აღორძინება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების გზით 2. მასობრივი უმუშევრობის დაძლევა, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის თვისობრივი გაუმჯობესება 3. კორუფციის დაძლევა და ეკონომიკის განთავისუფლება მაფიოზური კლანების დიქტატისაგან 4. რეალური, მზანმიმართული პოლიტიკის გატარება ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად 5. ეროვნული თანხმობის მიღწევა.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ., 39ა.

ტელ: 25 09 31, ფაქსი: 99 82 82, 25 19 45.

საკონტაქტო პირი: თეიმურაზ ლოლაძე – კავშირის ორგმდივანი.

## **საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური პარტიანება – ნაწიონალური მოქალაქე “საქართველო უპირველეს ყოვლისა!”**

დევიზი: “საქართველო უპირველეს ყოვლისა!”

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: ფაბრიკა-ქარხნების ამუშავება, მუშახელის დასაქმება. ტრადიციული სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის აღორძინება. მოძრაობა წინააღმდეგა უცხოური კაპიტალის მიერ საქართველოს დაკაბულებისა. ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების უზრუნველყოფა საგადასახადო სისტემის ქმედითუნარიანობით. წინააღმდეგა ხე-ტყის განადგურებისა და უცხო ქვეყნებში მისი გაყიდვისა.

საგარეო პოლიტიკა: მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან პოლიტიკური, კულტურული და სავაჭრო თანამშრომლობა თანასწორუფლებიანი სუბიექტის სტატუსით.. ყოველმხრივი თანამშრომლობა მსოფლიოს ყველა პროგრესულ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან (გაერო, ევროსაბჭო, ევროკავშირი)

სახელმწიფო ტერიტორიული მონყობა: უნიტარული

სახელმწიფო სისტემის მონყობა: საპრეზიდენტო

პარტია დაარსდა: 27.02. 1999 წ., პირველი რეგისტრაცია – 24.03. 1999 წ.

დაარსების ინიციატორები: გურამ შარაძე, რეზო მიშველაძე, მანუჩარ მანაიძე, იზა ცნობილაძე, რუსუდან კობახიძე, რუსუდან ნიშნიანიძე.



**პარტიის ლიდერი  
ზურაბ ჯურავა**

დაიბადა 1940 წ. ოზურგეთის რ-ნის სოფ. გურიანთაში, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 1963 წ. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1966-1967 წ.წ. — თსუ, მეცნიერ თანამშრომელი. 1967-1972 წ.წ. — საქ. მეცნ. აკად. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, მეცნიერ თანამშრომელი, 1973-1975 წ.წ. — სწავლელი მდივანი, ხოლო 1976 წლიდან დღემდე — განყოფილების ხელმძღვანელი. 1999 წ. აირჩიეს ნაციონალური მოძრაობა "საქართველო უპირველეს ყოვლისა!"-ს თავმჯდომარედ. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1995-1998 წ.წ. იყო ფრაქცია "აღორძინების" წევრი, 1995-1999 წ.წ. — მიგრაციის და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე. ჰყავს მეუღლე, სვეტილანა გახარია და 2 შვილი. მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ., 15. ტელ.: 23 26 15

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 2 წელიწადში ერთხელ) — საბჭო, კომიტეტი (ირჩევა 2 წლით - 15 წევრი: გურამ შარაძე — თავმჯდომარე, იზა ცნობილაძე — თავმჯდომარის მოადგილე, როსტომ ნალბანდიშვილი — აღმასრულებელი მდივანი, მეგი ყიფიანი — თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე) — თავმჯდომარე.

წევრთა რაოდენობა: 40000, აქტიური - 25000. 2 რეგიონალური და 26 რაიონული ორგანიზაცია. ახალგაზრდული ორგანიზაცია: ნაციონალური მოძრაობა "საქართველო უპირველეს ყოვლისა!"-ს ახალგაზრდული ლიგა. დაარსდა 15.07. 1999 წ., ჩამოყალიბების სტადიაშია. ხორციელდება კოლეგიალური მმართველობა. მისამართი: თბილისი, დიდი ხეივანის ქ., კრწანისის გამგეობის I სართული, ტელ.: 72 25 15.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი — გურამ შარაძე. 1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: მოძრაობა ქართველ ერს მიიჩნევს ძირითად მკვიდრ ერად და მომხრეა ქართული კულტურის ძირითადობისა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. მოძრაობა აღიარებს სიტყვის, სინდისისა და რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებას. საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების თვითმყოფადობის პატივისცემა. სახელმწიფო (ქართული) ენის ფლობა აუცილებელია ყველა მოქალაქისათვის. მოძრაობა იბრძოლებს 1991-92 წ.წ. მოვლენების შეფასებისა და კანონიერების აღდგენისათვის. ეროვნული მრწველობის, მეცნიერებისა და კულტურის დაცვა და მათი ახალ სიმაღლეზე აყვანა. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა, განათლების დონის ამაღლება (საყოველთაო-სავალდებულო დანეყბოთი განათლება).

იზრუნებს ისტორიული ძეგლების აღდგენასა და დაცვაზე, საეკლესიო სიმინდეების მოვლა-პატრონობაზე. მოძრაობა სცნობს საკუთრების ყველა — კერძო, სახელმწიფო, საეკლესიო და კოოპერატიულ ფორმებს.

მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ., 5, ტელ.: 95 45 70.

საკონტაქტო პირი: იზა ცნობილაძე.

**პოლიტიკური გაერთიანება "სოციალური საქართველო"**

დევიზი: "მრეწველობა გადაარჩინს საქართველოს"

სამედიაციო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: მარტივი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება დაბალი გადასახადებით.

საგარეო პოლიტიკა: სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცება-გაღრმავება.

სახელმწიფო ტერიტორიული მონყობა: ფედერალური

სახელმწიფო სისტემის მონყობა: საპარლამენტო

პარტია დაარსდა - 1998 წ. ივნისი, პირველი რეგისტრაცია — 1998 წ. ივლისი.

დაარსების ინიციატორები: რ. რურუა, გ. სალარაძე, კ. ასათიანი, თ. მდინარაძე, ზ. ახ-

15  
1998

მეტელი, დ. გობეჯიშვილი, თ. მაჭავარიანი, ა. აბესაძე, ზ. ბერიაშვილი, ვ. ბალავაძე, დ. ციმაკურიძე, მ. ცალქალაძანიძე, რ. ჩიმიშვიანი, ნ. ჯორჯიკია.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 4 წელიწადში ერთხელ) – საბჭო (ირჩევა 4 წლით - 25 წევრი: თამაზ მდინარაძე, თამაზ მაჭავარიანი - თავმჯდომარის მოადგილეები) – თავმჯდომარე (ირჩევენ 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.) – სათათბირო (ირჩევა 4 წლით).

წევრთა რაოდენობა: 15500, აქტიური - 12500.

1 რეგიონალური და 57 რაიონული ორგანიზაცია.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: პოლიტიკური გაერთიანება “საორტული საქართველოს” ახალგაზრდული ორგანიზაცია. დაარსდა 1998 წლის ოქტომბერში, გაერთიანებულია 750 წევრი. ლიდერი: ირაკლი დოლაბერიძე. მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ., 49, ფიზალზრდისა და სპორტის აკადემიის შენობა. მობილური: (899) 51 76 40.

1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად.

პარტია დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს მხარს უჭერს ნაწილობრივ - საგარეო პოლიტიკაში, ხოლო საშინაო პოლიტიკაში კატეგორიულად ვერ ეთანხმება.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პარტია რეგისტრირებულია, რწმუნებული - თამაზ მდინარაძე.


1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: ინტელექტუალური და მატერიალური რეზერვების მაქსიმალური მობილიზაცია. სოფლის აღორძინება. სოფელი უნდა მომარაგდეს თანამედროვე ტექნიკით, მათ შორის გადამამუშავებელი მინი-სანარმოებით უზრუნველყოფა. კრედიტების ყაირათიანი ხარჯვა. პიდროენერგორესურსების გამოყენება, მცირე და საშუალო ჰესების მასობრივი აღდგენა და მშენებლობა ბუნებისათვის მინიმალური ზიანის მიყენებით არის ეკონომიკური სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ზედმეტი ენერჯის ექსპორტირება. სპორტის, კულტურისა და ხელოვნების განვითარება და ამ გზით ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი თაობის აღზრდა.

მისამართი: თბილისი, ქსნის ქ., 14,

მობილური: (877) 41 74 94.

საკონტაქტო პირი: გიორგი მაქსარაშვილი

**პარტიის ლიდერი  
რიმან რურა**



(დაიბადა 1944 წ. მარტვილის რაიონში), ეკონომისტი. დაამთავრა მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: საორტული ნაწარმის ფაბრიკა “ლელო”. 1998 წელს აირჩიეს “საორტული საქართველოს” თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე და შვილი.  
მისამართი: მცხეთა.  
მობილური: (899) 51 26 21

**8. გლეჯი “  
პრტიანი ნაციონალური მოქაროვა”**

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა  
საქართველოს სპორტსმენთა კავშირი (სსკ)

**პრტიანი ნაციონალური მოქაროვა**

დევიზი: “მამულის მსახურებაშია ღირსება”

პოლიტიკური მიმართულება: ნაციონალისტური

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: სახელმწიფო კაპიტალიზმი.

საგარეო პოლიტიკა: რუსეთის გავლენის სფეროდან გამოსვლა და საკუთარი გეოპოლიტიკური სივრცის ჩამოყალიბება.



**პარტიის ლიდერი**  
**მირიან მირიანაშვილი**  
 დაიბადა 1961 წ. თბილისში, იურისტია.  
 1983 წ. დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, 1998 წ. – თსუ იურიდიული ფაკულტეტი. 1989-1990 წ.წ. იყო სახალხო ფრონტის გამგეობის წევრი, 1990-1992 წ.წ. – “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს” დამფუძნებელი და მუდმივი საბჭოს წევრი. 1996-1998 წ.წ. რეფორმატორთა კავშირის ორგანიზაციის შემდგომ პოლიტმდივანი. 1999 წ. აირჩიეს ერთიანი ნაციონალისტური მოძრაობის თავმჯდომარედ. 1990 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს” პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1990-1991 წ.წ. იყო ფრაქცია “რადიკალური კავშირის” თავმჯდომარე, 1990-1992 წ.წ. ეკონომიკური რეფორმების მუდმივი კომიტეტის წევრი, 1990-1992 წ.წ. პრევატნიზაციისა და ქონებათსარგებლობის კომისიის თავმჯდომარე. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე, ნინო არიშიძე და 1 შვილი. მისამართი: თბილისი, ატენის შესახვევი 18ა, ბინა 59.  
 ტელ.: 29 00 65,  
 მობილური:  
 (877) 40 50 16

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო (ძლიერი საპრეზიდენტო სახელმწიფო) პარტია დაარსდა 12.06. 1999 წ., პირველი რეგისტრაცია – 9.07. 1999 წ.  
 დაარსების ინიციატორები: მირიან მირიანაშვილი, მამუკა წურნუშია, ალექსანდრე ბერძენიშვილი, მამუკა ნამიჩიშვილი, ქართლოს ასათიანი, ზაზა ხოზბერიძე, ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი.  
 ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 4 წელიწადში ერთხელ) – პოლიტიკური საბჭო (ირჩევა 4 წლით - 15 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევენ 4 წლით, აირჩიეს 1999 წ.).  
 წევრთა რაოდენობა: 1400, აქტიური - 80.  
 26 რაიონული ორგანიზაცია.  
 პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს სახელმწიფოს სისუსტისა და ანტიეროვნული პოლიტიკის გამო.  
 ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდამჭერთა ხელმოწერები, რწმუნებულები – ქართლოს ასათიანი.  
 1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: სახელმწიფოში ქართული წესრიგის დამყარება. ეროვნული სიმდიდრის მართებული განაწილება და სოციალური სამართლიანობა ყველასათვის თანაბარი პირობები, უფლებები და მოვალეობები. ჩვენი მიზანია რწმენაზე, ნაციონალიზმზე, სამართლიანობაზე დაფუძნებული დიდი საქართველო.  
 მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ., 9, ტელ.: 93 23 45.

საკონტაქტო პირი: ზაზა ხოზბერიძე – იდეოლოგიური მდივანი.

**საპარტიო პოლიტიკური პარტია (სსპ)**

დევიზი: “ჯანსაღი ერი – ძლიერი სახელმწიფო”

პოლიტიკური მიმართულება: ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: ქვეყნის ეროვნული მეურნეობის კონკრეტული კონცეფციის შემუშავება გარდამავალ ეტაპზე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის გათვალისწინებით.  
 საგარეო პოლიტიკა: მეზობელ და სხვა ქვეყნებთან კეთილმეგობრული, პარტნიორული ურთიერთობანი, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვადასხვა საკითხებში.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: სამხარეო

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო

პარტია დაარსდა: 1994 წ., პირველი რეგისტრაცია – 1994 წ., ხელახალი რეგისტრაცია – 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: ვეტერანი სპორტსმენები.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 4 წელიწადში ერთხელ) – მთავარი კომიტეტი (ირჩევა 4 წლით - 31 წევრი: ედიშერ მაჩაიძე – თავმჯდომარე, მანუჩარ მაჩაიძე,

საქართველო

ლერი საბელოვი, თემო ყაზარაშვილი - თავმჯდომარის მოადგილეები, ვალერი გიორგობიანი - გენერალური მდივანი) - თავმჯდომარე (ყრილობა ირჩევს 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).

წევრთა რაოდენობა: 11200, აქტიური - 3050.

7 რეგიონალური და 41 რაიონული ორგანიზაცია.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: საქართველოს სპორტსმენთა ახალგაზრდული კავშირი. დაარსდა 1998 წ., გაერთიანებულია 1200 წევრი, არ არის იურიდიული პირი. ლიდერი - ნანა ყაზარაშვილი. მისამართი: თბილისი, კონსტიტუციის ქ., 6. ტელ.: 95 30 06, ფაქსი: 95 74 38.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "რეფორმატორთა კავშირი - ეროვნული თანხმობა" ("რეფორმატორთა კავშირი", პოლიტ.გაერთ. "კოლხეთი"), მიიღო ხმების 2,78%, პარლამენტში ჰყავდა 1 მაჟორიტარი წარმომადგენელი პარტიიდან. 1995 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: 1. ეკონომიკა 2. საგარეო პოლიტიკა 3. სახელმწიფო ტერიტორიალური მოწყობა 4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა 5. ეროვნებათშორისი ურთიერთობანი 6. ახალგაზრდა თაობის ჰარმონიული აღზრდა 7. ნაციონალური ღირსების აღდგენა 8. ნაციონალური სახელმწიფოებრივი პრიორიტეტი.

1998 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "ეროვნული თანხმობა" ("რეფორმატორთა კავშირი").

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს უჭერდა ედუარდ შევარდნაძეს.

პარტია დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს მხარს უჭერს ნაწილობრივ - საგარეო კურსი სავსებით მისაღებია, არ ეთანხმებიან სამინაო კურსს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრები - ვალერი გიორგობიანი, მანუჩარ მაჩაიძე. რწმუნებული - კობა ყაჭრიშვილი.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: 1. ქვეყნის ტერიტორიალური მთლიანობის აღდგენა 2. ერის კონსოლიდაცია 3. ერის გაჯანსაღება 4. დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი რეფორმების შემუშავება პოლიტიკის, ეკონომიკის, განათლების, ფიზიკური აღზრდის და სპორტის საქმეში, მათი ცხოვრებაში გატარება 5. ქვეყნის ეროვნული მეურნეობის კონკრეტული კონცეფციის შემუშავება, გარდამავალ ეტაპზე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თავისებურებების გათვალისწინებით. მიზანუ კერძო და სახელმწიფო საკუთრების შესამება ქვეყნის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად 6. კეთილმეგობრული, პარტნიორული ურთიერთობანი მეზობელ და სხვა ქვეყნებთან, მათთან ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობების განმტკიცება 7. ტერიტორიული ერთეულების ჩამოყალიბება ქვეყნის ეროვნული მეურნეობის, სოციალური და ეკონომიკური ნიშნების გათვალისწინებით 8. საპრეზიდენტო მმართველობა 9.



პარტიის ლიდერი  
გიორგი ლომიძე

დაიბადა 1956 წ. თბილისში, ინჟინერი, პედაგოგი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. დაამთავრა: 1979 წ. - სპი, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ფაკულტეტი, 1989 წ. - საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტი. 1988 წლიდან არის ჭიდაობის საერთაშორისო მსოფლიო სამოყვარულო ფედერაციის (FILA) მსაჯთა კოლეგიის წევრი. სამუშაო გამოცდილება: 1973-1980 წ.წ. - სპორტსაზოგადოება "დინამო", სპორტის ინსტრუქტორი. 1980-1984 წ.წ. - საქ. ფიზიკური კულტურის და სპორტის კომიტეტი, სახელმწიფო მწვრთნელი. 1984-1988 წ.წ. - ჭიდაობაში უმაღლესი დოსტატების სპეციალზებული სპორტული სკოლა, დირექტორი. 1988 წლიდან დღემდე - საქ. ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი, დირექტორი. 1994 წლიდან არის საქართველოს სპორტსმენთა კავშირის თავმჯდომარე. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა ბლოკის "რეფორმატორთა კავშირი - ეროვნული თანხმობა" პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე, თეა გვიმრაძე და 2 შვილი. მისამართი: თბილისი, შატბერაშვილის ქ., 2, კორპ. 8, ბინა 51. ტელ.: 29 03 29 მობილური: (877) 42 54 17

რწმენაზე, ნაციონალიზმზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული დიდი საქართველო, რომელმაც ღრსეული ადგილი უნდა დაიკვიდროს ახალ მსოფლიო წესრიგში.

მისამართი: თბილისი, კონსტიტუციის ქ., 6.

ტელ.: 96 98 79, ფაქსი: 95 74 38.

საკონტაქტო პირი: ტარიელ სხირტლაძე – აღმასრულებელი მდივანი.

### 9. საქართველოს მწვანეთა პარტია (სმპ)

დევიზი: "ეკოლოგია, დემოკრატია, არაძალადობა"

პოლიტიკური მიმართულება: მემარცხენე ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:



**პარტიის ლიდერი გიორგი ბარჩილაძე**

დაიბადა 1954 წ., თბილისში, ინჟინერ-მოდროლოგი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1976 წ. დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. 1991 წლიდან არის გეოქიმიისა და ეოსმოქიმიის საერთაშორისო ასოციაციის წევრი, 1991 წლიდან წყლების გაჭუჭყიანებისაგან დაცვის მუდმივმოქმედი საერთაშორისო კომისიის წევრი. სამუშაო გამოცდილება: 1976-1995 წწ. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიკრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის ინჟინერი, უმცროსი მეცნიერთანამშრომელი, უფროსი მეცნიერთანამშრომელი, ლაბორატორიის გამგე, განყოფილების გამგე. 1995 წლიდან არის საქართველოს მწვანეთა პარტიის თავმჯდომარე. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრდა პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1992-1995 წწ. - მწვანეთა ფრაქციის წევრი, გარემოს დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრდა "მოქალაქეთა კავშირის" პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1995-1998 წწ. - ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" წევრი, 1995 წლიდან დღემდე - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. ჰყავს მეუღლე, რუსულან ცაგარეიშვილი და 2 შვილი. მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის ქ., 96 ტელ.: 22 26 62, მობილური: (877) 41 22 43, E-mail: party@greens.org.ge

ეკონომიკა: მდგრადი განვითარების პრინციპებზე დამყარებული ეკოლოგიურად სუფთა წარმოება.  
საგარეო პოლიტიკა: ევროგაერთიანებაში ინტეგრაცია. სახელმწიფო ტერიტორიული მონაცემი: სამხარეო სახელმწიფო სისტემის მონაცემი: საპარლამენტო 1992 წლიდან პარტია არის ევროპის მწვანეთა პარტიების ფედერაციის წევრი.  
პარტია დაარსდა 1990 წ. პირველი რეგისტრაცია - 24.04. 1992 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 27.02. 1998 წ. დაარსების ინიციატორები: ზურაბ ჟვანია, რევაზ ხუნწარია, გიორგი ბარაძიძე, მალხაზ ბინაძე.  
ორგანიზაციული სტრუქტურა: კონგრესი (მოინვევა 3 წელიწადში ერთხელ) - პოლიტიკური კომიტეტი (ირჩევა 3 წლით - 7 წევრი: გიორგი გაჩეჩილაძე - თავმჯდომარე, გივი გიგინეიშვილი, სოსო ქარცივაძე, ნატო კირვალიძე, ზურაბ მგალობლიშვილი, ავთო გელაძე, ნინო ჩხობაძე) - დარბაზი (ირჩევა 3 წლით - 7 წევრი) - თავმჯდომარე (კონგრესი ირჩევს კენჭისყრით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.)  
წევრთა რაოდენობა: 2000, აქტიური - 500  
10 რეგიონალური და 52 რაიონური ორგანიზაცია.  
ახალგაზრდული ორგანიზაცია: ჩამოყალიბების სტადიაშია. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ., 182, ტელ.: 95 20 33, 35 45 51, ფაქსი: 35 19 74, E-mail: party@greens.org.ge  
ბეჭდვითი ორგანო: "დედამიწა", გამოცემა დროებით შეწყვეტილია.  
1990 წ. არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "თავისუფლება", პარლამენტში წარმომადგენელი არ ჰყავდა.  
1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 9%, პარლამენტში ჰყავდა 12 წარმომადგენელი: 11 პარტიული სიით, 1 - მაჟორიტარი.  
1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია არ მონაწილეობდა, რადგან დააფუძნა "მოქალაქეთა კავშირი". "მოქალაქეთა კავშირიდან" მწვანეთა 3 წარმომადგენელი

ინფორმაცია



ლი იყო პარლამენტში. პარტიის საპროგრამო პრიორიტეტი იყო გარემოს დაცვა და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად.

1991 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს არავის უჭერდა.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს უჭერდა ედუარდ შევარდნაძეს.

პარტია დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს მხარს უჭერს ნაწილობრივ. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრები – გიორგი გაჩეჩილაძე, გივი გიგინეიშვილი, ავთანდილ გელაძე, რწმუნებული – ზურაბ მგალობლიშვილი. წარმომადგენლები მთავრობაში – ნინო ჩხობაძე (გარემოს დაცვის მინისტრი), ზურაბ თავართქილაძე (მოადგილე).

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ., 182,

ტელ.: 95 20 33, 35 45 51, ფაქსი: 35 19 74,

E-mail: party@greens.org.ge

საკონტაქტო პირი: რუსუდან სიმონიძე - აღმასრულებელი მდივანი.

### 10. საპარტიო პოლიტიკური პარტია - ინფორმაცია არ მოგვანოდა

### 12. საპარტიო პოლიტიკური პარტია და სოციალური დაზარალებული პარტია (ისდა)

დევიზი: "სამართლიანობა და კანონიერება გადაარჩენს საქართველოს"

პოლიტიკური მიმართულება: ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: საშუალო ფენის აღდგენა, საკონომდებლო ბაზის შემუშავებით ბუნებრივი რესურსების ეფექტური გამოყენება, ინტელექტუალური მრეწველობის განვითარება.

საგარეო პოლიტიკა: მეზობელ ქვეყნებთან კონსტრუქციული, პარტნიორული დამოკიდებულება. ევროპულ ქვეყნებთან ინტეგრაცია. კეთილმეზობლური დამოკიდებულება და თანამშრომლობა.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: საქართველო უნდა იყოს ერთიანი და განუყოფელი. ამ სურვილში შეიძლება ადგილი დაეთმოს მხოლოდ სამხარეო მოწყობას.

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო

პარტია დაარსდა 12.05. 1999 წ., პირველი რეგისტრაცია – 11.06. 1999 წ.

დაარსების ინიციატორები: კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრთა უფლებების დაცვის ასოციაცია და მეანაბრეთა ინტერესების დაცვის საზოგადოება.

ორგანიზაციული სტრუქტურა: პარტიის კონფერენცია (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) – საბჭო (ირჩევა 4 წლით - 17 წევრი: მაღაზ ცისკარიშვილი – პოლტსაბჭოს თავმჯდომარე, ავთანდილ თოფურაძე –

**პარტიის ლიდერი**  
**მაღაზ ცისკარიშვილი**

დაიბადა 1954 წ., გურჯაანის რ-ნის სოფ. მუჭუნანში, ინჟინერი, ტენიკის მეცნიერებათა კანდიდატი. 1977 წ. დაამთავრა სპი ავტომექანიკური ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1978-1979 წ.წ. – ქუთაისის მცირე გაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა, ინჟინერ-კონსტრუქტორი. 1979-1980 წ.წ. – მე-3 მოძრავი მექანიზირებული კოლონის უფროსი. 1980-1992 წ.წ. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტი, ინჟინერი, ასპირანტი, უფროსი მეცნიერ მუშაკი. 1989-1991 წ.წ. – ტრანსპორტის სამინისტრო, ავტოტრანსპორტის განყოფილების უფროსი. იყო სკკპ წევრი. 1999 წ. აირჩიეს "ეკონომიკურად და სოციალურად დაზარალებული პარტია" თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე, მანანა შერვაშიაშვილი და 2 შვილი. მისამართი: თბილისი, კანდელაკის ქ., 65, ბინა 27. ტელ.: 38 13 40

წევრი I

თავმჯდომარის მოადგილე, ილია გომართელი - მდივანი) – პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე (კონფერენცია ირჩევს 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1999 წ.) – აღმასრულებელი სამდივნო (ირჩევა 4 წლით – 5 წევრი).

წევრთა რაოდენობა: 75000, აქტიური - 5000.

4 რეგიონალური და 35 რაიონული ორგანიზაცია.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, რადგან თვლის, რომ საქართველოში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა არასწორი პოლიტიკის შედეგია.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდამჭერთა ხელმოწერები, რწმუნებული – ბაქარ შარაზადიშვილი.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: სამართლიანობისა და კანონიერების გაძლიერება. დაკარგული ქონების დაბრუნება. საქართველოს გაერთიანება. საშუალო ფენის ჩამოყალიბება. მრეწველობის განვითარება. სოფლის მეურნეობის აღორძინება.

მისამართი: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ., 52.

ტელ.: 38 13 40, 93 68 33

საკონტაქტო პირი: ილია გომართელი – აღმასრულებელი მდივანი

### 13. პოლიტიკური პარტია „თანადგომა“

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე-ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება, რეფორმების დაჩქარება, კერძო საკუთრება მიწაზე.

საგარეო პოლიტიკა: საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებში.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: ფედერალური

**პარტიის ლიდერი**  
**ირაკლი შენგელია** დაიბადა 1955 წ., მათემატიკოსი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. 1976 წ. დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1993 წლიდან დღემდე – „საქქალაქაგროსერვისის“ გენერალური დირექტორი. 1997-1999 წ.წ. იყო პოლიტიკური კავშირის „თანადგომა“ მთავარი კომიტეტის წევრი. 1999 წ. აირჩიეს კავშირის თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე, დალი თოფურია და 3 შვილი.  
 მისამართი: თბილისი, გროზნოს ქ., 13.  
 ტელ.: 96 45 43, 96 72 87

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო პარტია დაარსდა: 1994 წ., პირველი რეგისტრაცია – 1995 წ., ხელახალი რეგისტრაცია – 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: თ. კალანდაძე, გ. ლომინაძე, ა. თავართქილაძე, გ. კალანდია, ჯ. წულაია.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) – მთავარი კომიტეტი (ირჩევა 4 წლით – 9 წევრი) – თავმჯდომარე – ირაკლი შენგელია (მთავარი კომიტეტი ირჩევს 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1999 წ.).

წევრთა რაოდენობა: 6000, აქტიური - 400.

4 რეგიონალური და 16 რაიონული ორგანიზაცია.

ბექდევითი ორგანო: გაზეთი „თანადგომა“. დაარსდა 1994 წ., გამოდის თვეში ერთხელ, ტირაჟი – 2000, ფასი – 30 თეთრი.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 2,16%, პარლამენტში ჰყავდა 3 მაჟორიტარი წარმომადგენელი.

1995 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება, გაერთიანება ევროპულ სტრუქტურებში.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს უჭერდა ედუარდ შევარდნაძეს.

პარტია მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრები – ოთარ ფაცაცია, მიხეილ ოსაძე. რწმუნებული – გია ქურდაძე.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საბაზ-

რო ეკონომიკაზე დაფუძნებული ეროვნული მეურნეობის განვითარება, დასავლური ორიენტაცია.

მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ., 44,

ტელ.: 95 24 06, 96 72 47.

საკონტაქტო პირი: გიორგი ქურდაძე – თანათავმჯდომარე.

## 14. სახელმწიფო დემოკრატიული პარტია (საქ)

დევიზი: “კეთილდღეობა ყველასათვის”

პოლიტიკური მიმართულება: მემარცხენე-ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: დემოკრატიული ეკონომიკა, წარმოების და მოხმარების ინტერესთა ჰარმონიული ერთიანობა, საკუთრების ყველა ფორმის და შინაარსის დაცვა კონსერვაციულ გარემოში, განათლების და სამედიცინო მომსახურების განხორციელება სადაზღვევო სისტემების საშუალებით, აგრეთვე მკურნალობა განვადებით, გარანტიით, გირაოს ქვეშ, აგრეთვე უფასო მომსახურების სახით.

საგარეო პოლიტიკა: ყველა მემოხელ სახელმწიფოსთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, მისი განუზრელი დაცვის და სახელმწიფოს ღირსების საფუძველზე. მსოფლიოს დიდ ქვეყნებთან ისეთი ურთიერთობის დამყარება, რომ მათი საშუალებით და დახმარებით უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს თავდაცვის უზარუნობის განუწყვეტელი ზრდა და განმტკიცება.

სახელმწიფო ტერიტორიული მონაცხობა: ერთიანი განუყოფელი საქართველო თავისი ავტონომიებით (შესაძლებლად მიგვაჩნია ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში საოლქო ადმინისტრაციების შემოღებაც)

სახელმწიფო სისტემის მონაცხობა: საპარლამენტო (შებლუდულ საპრეზიდენტო მმართველობასთან ერთად აღმასრულებელი სახელმწიფო საბჭოს შემქნა)

პარტია დაარსდა: 1996 წ., პირველი რეგისტრაცია – 03.09. 1996 წ., ხელახალი რეგისტრაცია – 26.12. 1997 წ.

დაარსების ინიციატორები: გურამ უსტიაშვილი, მანანა უსტიაშვილი, გიორგი უსტიაშვილი, დალი ჯღამაძე, მალხაზ ზარამიძე, რამინ ლომსაძე, მურმან თურნავა, ნინო ჯანაშია.

პარტიას თავდაპირველად ერქვა “თავისუფალ დემოკრატია კავშირი”.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 5 წელიწადში ერთხელ) - პოლიტიკური საბჭო (ირჩევა 4 წლით - 86 წევრი) - პოლიტიკური საბჭოს პრეზიდიუმი (ირჩევა 4 წლით - 17 წევრი: გურამ უსტიაშვილი - თავმჯდომარე, ნინო ჯანაშია, ნატო გიორგბერიძე, დალი მაძღარაშვილი, მერაბ მიქაუტაძე - თანათავმჯდომარეები, მურმან თურნავა - გენერალური მდივანი, ნაილი ახოზაძე - პოლიტიკური მდივანი, თამაზ ბაქრაძე, მალხაზ გელეიშვილი და სხვა - პრეზიდიუმის წევრები) - თავმჯდომარე (ფარული კენჭისყრით ყრილობა ირჩევს 5 წლით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).

წევრთა რაოდენობა: 48417, აქტიური - თითქმის ყველა.

**პარტიის ლიდერი**  
**გურამ უსტიაშვილი**

ეკონომისტ-ფინანსისტი.  
დაამთავრა თსუ ეკონომიკის (ფინანსები) ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: პასუხის გაცემა საჭიროდ არ მიაჩნია. 1992-1995 წ.წ. - დემოკრატიული პარტიის თანათავმჯდომარე. 1997 წ. აირჩიეს სახალხო დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ. 1990 წ. არჩევნებში კენჭს იყრდა როგორც მაჟორიტარი, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრდა დემოკრატიული პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1992-1994 წ.წ. იყო ფრაქცია “დემოკრატების” თავმჯდომარის მოადგილე, 1994-1995 წ.წ. - ამავე ფრაქციის თავმჯდომარე. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრდა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრდა დემოკრატიული პარტიის სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი.

1995

8 რეგიონალური და ყველა რაიონში, აჭარაში - რწმუნებული.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: სახალხო დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია. დაარსდა 1998 წ., გაერთიანებულია 9120 წევრი. არ არის იურიდიული პირი. ლიდერი: ზურაბ მუჩიაშვილი. მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის გამზ., 103, ტელ.: 95 97 14.

აქვს ბეჭდვითი ორგანო.

1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას არ იღებდა დისკრიმინაციული კანონის გამო.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, რადგან საქართველოს მმართველი ფენა ვერ გამოხატავს სახელმწიფოს ინტერესებს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი – მალხაზ ბარამიძე, რწმუნებული - ლია ხომერიკი.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: კეთილდღეობა ყველასათვის. დემოკრატიული ეკონომიკა. სახალხო ინტერნაციონალიზმი. სადაზღვევო სისტემების შექმნა. უმუშევრობის აღმოფხვრა. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა კომპლექსური მეთოდებით. ქალთა ემანსიპაციის აღმოფხვრა. მოსახლეობის მასობრივი ემიგრაციის აღმოფხვრა. ბიუროკრატიულ-კლანურ-ოჯახური დიქტატურების განეიტრალება. კორუფციის აღმოფხვრა. კრიმინალური წესით დაგროვილი ქონების გამოშვებულება და კონფისკაცია. რელიგიური თანაბრება. საქართველოს ეროვნული უშიშროების რეალური დაცვა. 1990 წლიდან დღემდე ჩატარებული ყველა არჩევნების ობიექტური შეფასება, გამყალბებელთა (გამოვლენის შემთხვევაში) უმჯაცრესი დასჯა, როგორც სახელმწიფო პოლიტიკური გადატრიალების მონაწილეთა და თანამონაწილეთა სახით.

მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის გამზ., 103.

ტელ.: 94 05 80.

საკონტაქტო პირი: მერაბ მიქაუტაძე.

#### 14. გლოქი "მკლაველი საქართველო - ღვთის ტაყარი"

*ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გაერთიანება "მკლაველი" - ინფორმაცია არ მოგვანოდა*

*საქართველოს რეალისტთა კავშირი (სრკ) - ინფორმაცია არ მოგვანოდა*

#### 17. საქართველოს პეტაანთა დაცვის პარტია

პოლიტიკური მიმართულება: ცენტრისტული

სამპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: დემოკრატიული და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს აშენების უმთავრესი წინაპირობაა თავისუფალ მენარმეობასა და საბაზრო ურთიერთობებზე დამყარებული სწორი ეკონომიკის შექმნა. საჭიროა სასწრაფოდ ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის ეფექტურად გამოყენება. ვეტერანთა სოციალური დაცვის ფონდის შექმნა.

საგარეო პოლიტიკა: საქართველო უნდა დაუბრუნდეს ევროპას, საქართველოს სახელმწიფოს აუცილებლად მიაჩნია, რომ კეთილშეზობლური ურთიერთობა ჰქონდეს ჩვენ მცნობელ სახელმწიფოებთან, მათ შეიარაღებულ და სამხედრო ძალებთან.

სახელმწიფო ტერიტორიული მონაცობა: სამხარეო

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპარლამენტო

პარტია დაარსდა: 1990 წ., პირველი რეგისტრაცია – 1990 წ. სექტემბერი, ხელახალი რეგისტრაცია - 1999 წ. აგვისტო.

დაარსების ინიციატორები: ნოდარ გიორგაძე, ავაკი გორგაძე, ჯემალ გორდელაძე, რევაზ მიქაძე, გია ჯაყელი, გია ციხისთავი.

1999 წ. აგვისტომდე პარტიას ეწოდებოდა სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავი-

სუფლებების (ავღანეთა) პარტია.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) – კომიტეტი (ირჩევა 2 წლით - 21 წევრი) – თავმჯდომარე - ნოდარ გიორგაძე (ყრილობა ირჩევს 2 წლით) - სარევიზიო კომისია (ირჩევა 2 წლით - 7 წევრი).

წევრთა რაოდენობა: 27000.

10 რეგიონალური და 65 რაიონული ორგანიზაცია.

ბეჭდვითი ორგანო: გაზეთი “ვეტერანი”, დაარსდა 1999 წ., გამოდის თვეში ორჯერ, ტირაჟი - 5000.

1990 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში, პარლამენტში ჰყავდა წარმომადგენლები.

1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში “ერთობა”, მიიღო სმების 11%, პარლამენტში ჰყავდა 6 წარმომადგენელი პარტიიდან.


1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო სმების 2,8%, პარლამენტში წარმომადგენელი არ ჰყავდა.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს უჭერდა ედუარდ შევარდნაძეს.

პარტია მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი - გია ციხისთავი, რწმუნებული: რევაზ მიქაძე.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: 1. ვეტერანთა ღირსებისა და მათი სოციალური დაცვის უზრუნველყოფის საკანონმდებლო აქტების მომზადება და პარლამენტზე დამტკიცება. 2. ვეტერანთა სოციალური დაცვის ფონდის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ვეტერანთა მიერ ბანკებში შეტანილი და შემდეგ “გაყინული” თანხების ნაწილობრივ კომპენსაციას, ფონდის მიერ გაცემული აქციების ეფექტიანად და მიზნობრივად გამოყენების გზით სანარმოების, დანესებულებების ამოქმედებას. 3. ახალგაზრდების დასაქმებისათვის ხელის შეწყობა. დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა ვეტერანთა სოციალური დაცვის ფონდის სპეციალური პროგრამის საფუძველზე. 4. შრომის ვეტერანთა კანონის პროექტის მომზადება და მისი წინასწარი განხილვის ორგანიზაცია. 5. წინადადებების მომზადება ომის ვეტერანთა შესახებ კანონში იმ შესაძლო ცვლილებების შესატანად, რომ-



**პარტიის ლიდერი  
ნოდარ გიორგაძე**

დაბადა 1952 წ. თბილისში, ინჟინერი, იურისტი. დაამთავრა: 1975 წ. - სპი საინჟინრო ფიზიკის ფაკულტეტი, აგრეთვე თსუ იურიდიული ფაკულტეტი. 1996 წლიდან არის გაეროს ომების ვეტერანთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენელი, ხოლო 1998 წლიდან - ომების მსხვერპლთა მსოფლიოს ორგანიზაციის პრეზიდენტი. სამუშაო გამოცდილება: 1975-1981 წ.წ. - საქართველოს ალკვ ცკ, ინსტრუქტორი, სექტორის გამგე, განყოფილების გამგე. 1981-1983 წ.წ. - საბურთალოს რაიონის კომიტეტი, მრეწველობის განყოფილების გამგე, 1984-1987 წ.წ. - საბურთალოს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილება, უფროსი. 1989-1990 წ.წ. - საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის ინსტრუქტორი, კონსულტანტი, ინსპექტორი. 1991-1993 წ.წ. - საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე. 1990 წ. აირჩიეს სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების (ავღანეთა) პარტიის (შემდგომში - საქართველოს ვეტერანთა დაცვის პარტიის) თავმჯდომარედ. 1990 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტიული სიით (ბლოკი “თანხმობა, მშვიდობა, ალორძინება”), ვერ გახდა პარლამენტის წევრი. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტიული სიით (ბლოკი “ერთობა”), გახდა პარლამენტის წევრი. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე, ახა მიქაძე და 2 შვილი. მისამართი: თბილისი, კრწანისის მე-2 შესახვევი, 3. ტელ.: 23 41 43

ლებიც უზრუნველყოფს მათზე დამატებითი შეღავათების გაცრცელებას. 6. საკითხების მომზადებისა და განხილვის უზრუნველყოფა ქვეყნის სამინისტროებისა და უწყებების მიერ ვეტერანთა სოციალური დაცვისა და მათზე გავრცელებული შეღავათების შესრულებისათვის განეული მუშაობის მიმდინარეობის შესახებ. 7. წინადადების მომზადება არსებულ კანონპროექტში ცვლილებების შესატანად ომის ვეტერანთა დეპარტამენტის ბაზაზე ომისა და შრომის ვეტერანთა დეპარტამენტის ან სამინისტროს შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ.

წინააღმდეგობა

8. წინადადების მომზადება ვეტერანთა სოციალური დაცვის გაუმჯობესების მიზნით სპეციალური სამეწარმეო გადასახადის შემოღების შესახებ საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შესატანად.  
მისამართი: თბილისი, ზედაზენის ქ., 4,  
ტელ.: 69 94 00, 69 91 09.

### 18. საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტია

დევიზი: "ეროვნული იდეოლოგიის აღდგენა თავის კანონიერ უფლებებში"

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: ეროვნული წარმოების განვითარება სამართლიანობისა და თანასწორობის დაცვით. კერძო საკუთრებაზე დამყარებული სახალხო დემოკრატიული ეკონომიკა ეროვნული თვითმყოფადობის პრიორიტეტით.

საგარეო პოლიტიკა: ეროვნული პრინციპების გათვალისწინებით თანასწორუფლებიანი და



**პარტიის ლიდერი  
ზურაბ ბაგინძე**

დაიბადა 1955 წ., თბილისში, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი. დაამთავრა: 1979 წ. - თსუ ფილოსოფიის ფაკულტეტი. 1977 წ. - თსუ ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი. 1983 წ. - თსუ ასპირანტურა. სამუშაო გამოცდილება: 1981-1984 წ.წ. - თსუ, ლექტორი. 1984-1985 წ.წ. - სპი, უფროსი მასწავლებელი. 1986 წ. დღემდე - უცხო ენების ინსტიტუტი, დოცენტი. 1990-1991 წ.წ. იყო ჰელსინკის კავშირის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის მთავარი კონსულტანტი. 1991 წ. აირჩიეს საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის თავმჯდომარედ.  
მისამართი: თბილისი, აბაშელის ქ., 4,  
ტელ.: 29 36 92

კეთილმეზობლური ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, განსაკუთრებით მეზობელ ქვეყნებთან. პარალელურად - ზრუნვა ეროვნული საზღვრების და უსაფრთხოების განმტკიცებისათვის.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული (რაიონული დაყოფა).

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: ეროვნული სახალხო თვითმმართველობა (პრინციპით ქვევიდან ზევით).

პარტია დაარსდა - 12.09. 1991 წ., პირველი რეგისტრაცია - 15.01. 1993 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 20.02. 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: ზურაბ გაგინძე, მამუკა გელაშვილი

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 4 წელიწადში ერთხელ) - კომიტეტი (ირჩევა 4 წლით - 15 წევრი: ზურაბ გაგინძე, ზესიკ ჩხეიძე, მამუკა გელაშვილი, ზურაბ ამირიძე, ჯემალ დიასამიძე, ალექსი არაშვილი) - თავმჯდომარე - ზურაბ გაგინძე (ირჩევა 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.) - სარევიზიო კომისია (მოინვევა 2 წლით - 5 წევრი).

წევრთა რაოდენობა: 5000, აქტიური - 1500.

16 რაიონული ორგანიზაცია.

1992 და 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტია არ მონაწილეობდა, გამოაცხადა ბოიკოტი.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია არავის უჭერდა მხარს.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს მისი ანტიეროვნულობისა და ანტიხალხურობის გამო.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდამჭერთა ხელმოწერები. რწმუნებული - ზურაბ გაგინძე.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს გადარჩენა, მისი ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დამკვიდრება, ეროვნული იდეოლოგიის აღდგენა და სახელმწიფო იდეოლოგიად გამოცხადება. კოსმოპოლიტიზმისა და მასონრმის ლიკვიდაცია. ეროვნული თვითმმართველობის დამკვიდრება. სახალხო მმართველობის დამყარება.

ინტერვიუ

პოლიტიკტიმრების განთავისუფლება. საერთოდ ციხეების ლიკვიდაცია და მსჯავრდებულების დასაქმება ისტორიული ძეგლების აღსადგენად. ყველა პიროვნების ყოველგვარი უფლებების დაცვა. ძალოვანი სტრუქტურების დაფუძნება ეროვნულ იდეოლოგიაზე. მოსახლეობის დევნისა და შევიწროვების დასასრული და ეროვნული საზღვრების განმტკიცება (სოციალური და სამხედრო-პოლიციური ასპექტები). პარლამენტის შემცირება 100 დეპუტატამდე. სულ უნდა იყოს პროპორციული. ბიუროკრატიული აპარატის შეკვეცა, პარტიების შემცირება. ხელფასებისა და პენსიების დროული დარიცხვა. სახელმწიფო ბიუჯეტის გაზრდა და გამდიდრება. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ., 82

საკონტაქტო პირი: ზურაბ გაგინძე – თავმჯდომარე.

## 20. საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი (ქკპ)

დევიზი: “თავისუფლება, თანადგომა, თანაბარუფლებიანობა”

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე-ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: კერძო საკუთრების პრიორიტეტი, კონკურენციის ხელშეწყობა, სახელმწიფოს ჩაურევლობის მიღწევა ეკონომიკაში, მინაშე კერძო საკუთრების (ყიდვა-გაყიდვის) უზრუნველყოფა, საბაჟო და საერთოდ გადასახადების შემცირება, უდფიცითო ბიუჯეტის მიღება, ინფლაციის ნულამდე დაყვანა, სტაბილური სავალუტო და საფინანსო სისტემის ჩამოყალიბება, წვრილი და საშუალო ფირმების მხარდაჭერა, ექსპორტის წახალისება.

საგარეო პოლიტიკა: საქართველომ აქტიურად უნდა ითანამშრომლოს “ნატოსთან”, აშშ-სთან და ევროკავშირთან. ჩვენი მიზანია ევროკავშირისა და “ნატოში” გაერთიანება. მხოლოდ ასე შესაძლებელია საქართველოს უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: ფედერალური (საქართველოს მხარეები უნდა აღიჭურვონ ავტონომიების თანაბარი უფლებებით (მათ შორის თბილისიც). უნდა მოხდეს ყველა თანამდებობის არჩევითობის უზრუნველყოფა. ცენტრის ხელში უნდა დარჩეს ისეთი ფუნდამენტური საქმეები, როგორცაა: თავდაცვა, უშიშროება, საგარეო პოლიტიკა, საბაჟო, პროკურატურა და ა.შ.)

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო

1993 წლიდან კავშირი არის მსოფლიო ქრისტიანულ-დემოკრატიული ინტერნაციონალის ნამდვილი წევრი.

პარტია დაარსდა: 1989 წ., პირველი რეგისტრაცია – 1990 წ., ხელახალი რეგისტრაცია – 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: ირაკლი კვაბაძე, ბაჩუკი ვასაძე, პაატა თანდილაშვილი, გოგა კალანდაძე, მამუკა ორჯონიკიძე, ამირან ძონენიძე, გია ცეცხვაშვილი, მერაბ ბარათაშვილი, გია ბურჯანაძე, ჭაბუა ამირჯვინი, ნანა ჯორჯაძე, ზურაბ კინაძე, ნათია ამირჯვინი.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) – კომიტეტი (ირჩევა 2 წლით - 7 წევრი: ბადრი მაჭავარიანი – თავმჯდომარე, მამუკა ორჯონიკიძე - გენერალური მდივანი, პაატა თანდილაშვილი, ზვიად დოლიძე, ამირან ძონენიძე - თავმჯდომარის მოადგილეები, დავით ძიძარია – გენერალური მდივნის მოადგილე, ბესარიონ გაბუნია – ხაზინადარი, თორნიკე ფიფია – საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი) – თავმჯდომარე (ყრილობა კენჭისყრით ირჩევს 2 წლით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.) – ფედერალური კომიტეტი (ირჩევა 2 წლით - 17 წევრი (ცვალებადია)).

წევრთა რაოდენობა: 18739, აქტიური - 1000-მდე.

7 რეგიონალური და 37 რაიონული ორგანიზაცია.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიან-დემოკრატიული ასოციაცია. დაარსდა 1988 წ., გაერთიანებულია 600 წევრი, არის იურიდიული პირი. ლი-

დერი – პაატა შემელიძე. მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ., 68, ტელ.: 36 38 28; 33 58 40; 64 64 11; 64 12 09; ფაქსი: 33 58 40.

ბექდვითი ორგანო: ჟურნალი “ქრისტიანული დემოკრატია”, დაარსდა 1999 წ., გამოდის თვეში ერთხელ, ტირაჟი – 450, უფასო.

1990 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში “თავისუფლება”, მიიღო ხმების 3,2%, პარლამენტში წარმომადგენელი არ ჰყავდა.

1990 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: თავისუფალი დემოკრატიული საქართველო, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება, “დასავლეთთან” მჭიდრო თანამშრომლობა. ქვეყნის ფედერალური მოწყობა და თვითმმართველობის არჩევითობის უზრუნველყოფა. სიკვდილით დასჯის გაუქმება.

1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში “11 ოქტომბერი”, მიიღო ხმების 12%, პარლამენტში პარტიიდან ჰყავდა 3 წარმომადგენელი (პარტიული სიით).

1992 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება: პრივატიზაცია, მიწაზე კერძო საკუთრების (მისი ყიდვა-გაყიდვის უფლებით) შემოღება, ეროვნული ვალუტის შემოღება, ქვეყნის ფედერალური მოწყობა. სიკვდილით დასჯის გაუქმება. თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება. “დასავლეთზე” ორიენტირება.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში “ქრისტიანული დემოკრატია – ევროპული არჩევანი”, მიიღო ხმების 0,4%, პარლამენტში ჰყავდა 2 მაჟორიტარი წარმომადგენელი.

1995 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: “დასავლეთთან” მჭიდრო თანამშრომლობა, “ნატოს”, ევროპის საბჭოსა და ევროკავშირში შესვლისაგან სწრაფვა, კონკურენციისა და კერძო საკუთრების დაცვა, ბიუროკრატიული აპარატის შემცირება, ვალუტის სტაბილურობის მიღწევა, სიკვდილით დასჯის გაუქმება, ქვეყნის ფედერალური მოწყობა.

1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტია არ მონაწილეობდა იმის გამო, რომ არჩევნების კანონი იყო დისკრიმინაციული – საქირო იყო მისი ჩატარება არა პროპორციული სიებით, არამედ მხოლოდ მაჟორიტარული წესით.

1991 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს უჭერდა ირაკლი შენგელაიას.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს უჭერდა ედუარდ შევარდნაძეს.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, რადგან მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, ხელისუფლებამ ვერ შესძლო: 1. ეკონომიკური რეფორმის გატარება 2. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა 3. რუსეთის ჯარის საქართველოდან გაყვანა 4. ბიუროკრატიული აპარატის შემცირება 5. ქართული ჯარის შექმნა 6. კორუფციასთან ბრძოლა და ა.შ.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი – თორნიკე ფიფია, რწმუნებული – ავთო კობახიძე.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: 1. ბიუროკრატიული აპარატის შემცირება 2. სასამართლო რეფორმის დასრულება და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაცია 3. არმიის დაფინანსების ზრდა და მისი პროფესიონალურ რელეკუმზე გადაყვანა 4. აშშ-თან, ევროკავშირთან, ნატოსთან და სხვა რეგიონალურ ორგანიზაციებთან კონტაქტების გაღრმავება 5. რუსეთის ჯარების გაყვანა 6. მოქმედების გააქტიურება ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად 7. კერძო საკუთრება მიწაზე, კონკურენცია, სახელმწიფოს ხელში არსებული საწარმოების სრული პრივატიზაცია 8. გადასახადებისა და ბიუჯეტის გასაჯლის შემცირება 9. ვალუტის სტაბილურობის მიღწევა 10. განსაკუთრებული მხარდაჭერა მცირე და საშუალო ბიზნესს 11. არჩევნების მოწყობა ყველა დონეზე 12. ფართო უფლებების მიცემა საქართველოს მხარეებისათვის, გუბერნატორების არჩევითობა 13. ადამიანის უფლებები და თავისუფლება უნდა გახდეს ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღების საგანი.

მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ., 63,



ტელ.: 36 38 28; 33 58 40, ფაქსი: 33 58 40.

საკონტაქტო პირი: ზვიად გელაშვილი – პარტიული კომისიის თავმჯდომარე.

## 22. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “საქართველოს ლეიტორთა კავშირი” (“სლკ”)

დევიზი: “ღმერთო, შეაყვარე ქართველს საქართველო!”

პოლიტიკური მიმართულება: ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: ლექტორთა კორპუსი იმიტომ გაერთიანდა პოლიტიკურ ძალად, რომ საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების მეცნიერული ანალიზი და შესაბამისი მოდელების, პარადიგმების აგება; ეროვნული მსოფლმხედველობის პრინციპების შემუშავება. პროგრამით გათვალისწინებული მიმართულებათა შორის უპირველესს ამოცანას სწორედ ეკონომიკური აღმავლობის პრობლემები შეადგენენ, სადაც ერთ-ერთი მთავარია ქართული ეროვნული მრეწველობის განვითარება.

საგარეო პოლიტიკა: საქართველოს აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვან საერთაშორისო პროექტებში, “აბრეშუმის გზის”, “ტრასკას” თუ “ზისკის” სისტემებში არის ქვეყნის მომავალი კეთილდღეობის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი. “საქართველოს ლექტორთა კავშირი” ყოველმხრივ მხარდაჭერას აღმოუჩენს ყველა ამ პროექტის ხორცშესხმით დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: ფედერალური სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო პარტია დაარსდა - 1995 წ., პირველი რეგისტრაცია - 28.05. 1999 წ.

დაარსების ინიციატორები: საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახ. საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებო კავშირის საზოგადოება “ცოდნის” ლექტორები და თანამშრომლები: ნუგზარ წერეთელი, სერგო ყურაშვილი, დავით გეგეშიძე, თენგიზ ბერიძე, კონსტანტინე ბუთაიელი, გარი ჩაფიძე, ნოდარ ბაქრაძე, ალექსანდრე ქეთარაძე, გიორგი შათირიშვილი, გიორგი მჭედლიშვილი, ვახტანგ თევზაძე, მერი პატარაია, თეა ქარელი, მიმონა ჭითანავა.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 4 წელიწადში ერთხელ) - საბჭო (ირჩევა 4 წლით - 45 წევრი: ნუგზარ წერეთელი - კავშირის თავმჯდომარე, სერგო ყურაშვილი - პირველი მოადგილე, აღმასრულებელი მდივანი, დავით გეგეშიძე - მოადგილე, თენგიზ ბერიძე, კონსტანტინე ბუთაიელი, გარი ჩაფიძე) - თავმჯდომარე (ყრილობა კენჭისყრით ირჩევს 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1999 წ.) - ცენტრალური საბჭოს ბიურო (ირჩევა 4 წლით - 13 წევრი).

პარტიის წევრთა რაოდენობა: 7000, აქტიური - 650. 16 რაიონული ორგანიზაცია.



პარტიის ლიდერი  
**ნუგზარ წერეთელი**

დაიბადა 1935 წ., თბილისში, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი. 1957 წ. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1993 წლიდან არის საერთაშორისო ორგანიზაცია “ზნანიუს” ვიცე-პრეზიდენტი, 1994 წლიდან არის ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი. სამუშაო გამოცდილება: 1974-1986 წ.წ. - საქართველოს საავტორო უფლებების სახელმწიფო სააგენტო, უფროსი. 1986-1990 წ.წ. - საქართველოს რესპუბლიკის საზოგადოება “ცოდნა”, თავმჯდომარის პირველი მოადგილე. 1990-1998 წ.წ. - საქართველოს ი. ჭავჭავაძის სახ. საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებო საზოგადოება “ცოდნა”, თავმჯდომარე. 1998 წლიდან დღემდე - საქართველოს ი. ჭავჭავაძის სახ. საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებო კავშირი “საზოგადოება ცოდნა”, კავშირის თავმჯდომარე. 1964-1990 წ.წ. იყო სკკპ წევრი. 1999 წ. - აირჩიეს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების “საქართველოს ლექტორთა კავშირი” თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე, ანა ანთელავა და 2 შვილი. მისამართი: თბილისი, ი. ნიკოლაძის ქ., 7, ბინა 49. ტელ.: 22 58 54, მობილური: (877) 41 44 64, ფაქსი: 93 66 03.

საქართველო

ახალგაზრდული ორგანიზაცია: ჩამოყალიბების სტადიაშია.

პარტია მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს დაგროვილი გამოცდილების გამო, რომელიც შესძლებს ქვეყნის წინსვლას და განვითარებას.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი - ანზორ წონონავა, რწმუნებული - ავთანდილ ნოდია.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: კავშირის რიგებში გაერთიანებული ასობით ცნობილი და მალაქვალიფიციური ლექტორის უპირველესი ამოცანაა ცოცხალი სიტყვის საშუალებით ხალხისათვის სიმართლის თქმა, მწვავე ცხოვრებისეულ კითხვებზე პასუხის გაცემა, წარმოქმნილი ინფორმაციული ვაკუუმის შევსება. უშეღავათო ბრძოლა ლექტორების, ინტელიგენციის სოციალური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის, მათი სამართლებრივი და მოქალაქეობრივი უფლებების დაცვა. ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ეკოლოგიური ვითარების გამოსასწორებლად გადამტყრელი ზომების მიღების უზრუნველყოფა. მოსახლეობის დასაქმების ოპტიმალური სისტემის ჩამოყალიბება. ეროვნული მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარების, მენარმეობის თავისუფლებისა და საკუთრების ფორმების მრავალფეროვნების დამკვიდრებისათვის ყოველდღიური საქმიანობა. ქვეყნის ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლა. სახელმწიფო პოლიტიკური სისტემისა და იდეოლოგიის მოდელის სრულყოფილი შექმნისათვის კაცობრიობის გამოცდილების შემოქმედებითი გამოყენება ტრადიციების, წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით.

მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ., 47,

ტელ.: 99 00 35; 99 65 65; 99 94 46; ფაქსი: 93 66 03.

სავსტაქტო პირი: ნუგზარ წერეთელი - კავშირის თავმჯდომარე, სერგო ყურაშვილი - თავმჯდომარის მოადგილე.

### 23. სრულიად საქართველოს მინათოქმედთა კავშირი

დევიზი: "ბედნიერია ის, ვისაც მამულისთვის უძგერს გული"

პოლიტიკური მიმართულება: ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

|  |  |
|--|--|
| <p><b>პარტიის თანათავმჯდომარეები</b><br/> <b>იუზა ჩაკვატაძე</b><br/> <b>თიანურ ლიპარტიანი</b><br/> <b>ჯივალ მიქაძე</b></p> <p>იცვლებიან როტაციის პრინციპით 4-4 თვის შემდეგ. სამივეს პყავს მე-ულლე და შვილები. 1990 წ. და 1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში სამივე მონაწილეობდა როგორც მაჟორიტარი და პარტიული სიით, არ გახდნენ პარლამენტის წევრები.</p> <p>მისამართები:<br/>         იუზა ჩაკვატაძე – თბილისი, კავსადის ქ., 7, ტელ.: 23 00 67.<br/>         თიანურ ლიპარტიანი – მცხეთის რ-ნი, სოფ. დილომი.<br/>         ჯემალ მიქელაძე – თბილისი, სასტუმრო "აჭარა", ოთახი 1414.</p> | <p>ეკონომიკა: კონვერგენციის გზით ეკონომიკის განვითარება.</p> <p>საგარეო პოლიტიკა: აქტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკა.</p> <p>სახელმწიფო ტერიტორიული მონყობა: უნიტარული სახელმწიფო სისტემის მონყობა: კონსტიტუციური მონარქია</p> <p>პარტია დაარსდა: 26.04. 1987 წ., პირველი რეგისტრაცია – 1989,92 წ.წ., ხელახალი რეგისტრაცია – 1999 წ. დაარსების ინიციატორები: როინ ლიპარტიანი, ბიძინა მელაძე, ჯემალ მიქელაძე, იუზა ჩაკვატაძე, მურთაზ ჩაკვატაძე, ანზორ ნემსინვერიძე.</p> <p>ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 4 წელიწადში ერთხელ) – დარბაზი (ირჩევა 4 წლით – 11 წევრი: იუზა ჩაკვატაძე, თემურ ლიპარტიანი, ჯემალ მიქელაძე - თანათავმჯდომარეები) – თანათავმჯდომარეები (ყრილობა ირჩევს 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1999 წ.).</p> <p>წევრთა რაოდენობა: 35000, აქტიური - 25000.</p> |
|--|--|

პარტიას აქვს რეგიონალური და რაიონული ორგანიზაციები.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: ახალგაზრდა მინათმოქმედთა კავშირი. დააარსდა 1990. გაერთიანებულია 1000 წევრი. ლიდერი - მირიან გველესიანი.

1990 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 2,8%.

1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 7%.

1991 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს უჭერდა როინ ლიპარტელიანს.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს უჭერდა როინ ლიპარტელიანს.

პარტია უჭერს მხარს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდამჭერთა ხელმოწერები, რწმუნებული - ვახტანგ ბერიძე.

მისამართი: ბარნოვის ქ., 70.

საკონტაქტო პირი: ჯემალ მიქელაძე, თემურ ლიპარტელიანი.

## 24. მერაბ კოსტავას საზოგადოება

დევიზი: "ამბალებელი ხალხისა თვით ამბალებდა ცათამდე"

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება. საქართველოს სატრანზიტო ქვეყნად ჩამოყალიბება. პრივატიზების პროცესის სამართლიანად წარმართვა. საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

საგარეო პოლიტიკა: მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და კულტურული კავშირის დამყარება აშშ-თან, ნატო-ს წევრ ქვეყნებთან და კეთილშემობლური ურთიერთობა მოსაზღვრე სახელმწიფოებთან.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული (საკუთრივ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე - უნიტარული. მისაღებია ფედერაციული პრინციპი ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებთან და კონფედერაციის კავკასიის სხვა სახელმწიფოებთან).

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო.

პარტია დაარსდა - 1990 წ, პირველი რეგისტრაცია - 1990 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: ვაჟა ადამია, გურამ ბერუაშვილი, შ.სიამაშვილი, ჯუმბერ ტაბულაშვილი, თორღვა ბუღაშვილი.

პარტია არის სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების სამართალმემკვიდრე.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 3 წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 3 წლით - 7 წევრი: ვაჟა ადამია - თავმჯდომარე, გიორგი გიორგობიანი - კადრების კომისია, დავით რამიშვილი - პრეს-სამსახური, დავით კუპრიშვილი - იურიდიული კომისია, გოჩა ქობლანიძე - სოციალ-ეკონომიკური კომისია, მალხაზ ხუციშვილი - კოორდინაციისა და კონტროლის კომისია, ნუგზარ ბახტაძე - ეთიკის კომისია) - თავმჯდომარე (ყრილობა ირჩევს 3 წლით, ბოლოს აირჩიეს 1995 წ.) - რაიონთაშორისი კომიტეტი (ირჩევა 3 წლით - 3 წევრი თითოეულ რაიონულ კომიტეტში).

წევრთა რაოდენობა: დაახლოებით 2700, აქტიური - 1200.

7 რეგიონალური და 53 რაიონული ორგანიზაცია.

ბეჭდვითი ორგანო: "სარანგი", "Gudness Guard", დაარსდა 1990 წ., გამოდის წელიწადში რამდენიმეჯერ, ტირაჟი - 2000, ფასი - 30 თეთრი.

1990 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" (ჰელსინკის კავშირი, წმ. ილია მართლის საზოგადოება, ტრა-



**პარტიის ლიდერი  
ვაჟა ადამია**

დაიბადა 1950 წ., თბილისში, ექიმი-სტომატოლოგი. 1981 წ. დაამთავრა ქ. ჩიტის (რსფსრ) სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1969-1976 წ.წ. — თბილისის მე-9 სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, კბილის ტექნიკოსი. 1982-1983 წ.წ. — დღუშეთის საავადმყოფო, ექიმი; მე-9 სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, სტომატოლოგი. 1983-1985 წ.წ. — მე-3 სამედიცინო სასწავლებელი, მასწავლებელი; მე-10 სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, განყოფილების გამგე. 1985-1990 წ.წ. — მე-2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, ექიმი-ორთოპედი; რკინიგზის საავადმყოფოს თბილისის განყოფილება, ექიმი-სტომატოლოგი. 1990-1991 და 1992-1995 წ.წ. — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარე. 1981-1987 წ.წ. — სკკპ წევრი, პარტიორგანიზაციის თავმჯდომარე. 1987-1990 წ.წ. — წმინდა ილია მართალის საზოგადოების წევრი, გამგეობის წევრი. 1990 — 1991 წ.წ. — მერაბ კოსტავას საზოგადოების გამგეობის წევრი. 1991 წლიდან არის მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარე. 1990 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი ბლოკიდან "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო", ცხინვალის რაიონში, გახდა პარლამენტის წევრი. 1990-1991 წ.წ. — თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომიტეტის თავმჯდომარე. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი. 1992-1995 წ.წ. — მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე, ნატო ადამია და 1 შვილი. მისამართი თბილისი, ზანდუკელის ქ. 1. ტელ.: 99 79 52; ფაქსი: 98 39 14.

დციონალისტთა კავშირი), ბლოკმა მიიღო ხმების 66%. პარლამენტში პარტიას ჰყავდა 24 წარმომადგენელი: 17 პარტიული სიით, 7 მაჟორიტარი. 1990 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს სსრკ-ს შემაღეწელობიდან გამოყოფა. ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნა. უკანონო ავტონომიების გაუქმება. მინის რეფორმის გატარება. პრივატიზაცია. დეკუპაცია. დასავლეთზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება. 1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 3,3%. პარლამენტში პარტიას ჰყავდა 7 წარმომადგენელი, აქედან 5 პარტიული სიით, 2 მაჟორიტარი. 1992 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: ეროვნული ერთიანობის პრინციპების დამკვიდრება. პროდასავლური, პროამერიკული საგარეო პოლიტიკის გატარების აუცილებლობა. ხელისუფლების ლეგიტიმურობა. 1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 2,34%, ჰყავდა 1 მაჟორიტარი წარმომადგენელი პარლამენტში. 1995 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს გამოსვლა დსთ-დან, საქართველოს სრული და უპირობო დეკუპაცია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიის გაუქმება. დიდი ნავთობის ტრანზიტის მხარდაჭერა. 1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "საქართველო - მერაბ კოსტავას საზოგადოება" (ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია, საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი). 1991 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს არავის უჭერდა. 1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს არავის უჭერდა. პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს ანტიდასავლური და რუსოფილური საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარების, საქართველოს დსთ-ში - რუსეთის გავლენის სფეროში შეყვანის, აფხაზეთისა და შიდა ქართლის მთიანეთის პრობლემების ხელოვნური გაჭიანურების, კორუფციის სახელმწიფო რანგში აყვანისა და მემარცხენეებთან იდეოლოგიური შეუთავსებლობის გამო. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პარტიის რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი - ჯემალ საჯავია, რწმუნებული - მავა გოგოხია. 1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს დსთ-დან გამოყვანა, მისი სრული და უპირობო დეკუპირება. რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალების საერთაშორ.

1  
2  
3  
4  
5  
6  
7  
8  
9  
10  
11  
12  
13  
14  
15  
16  
17  
18  
19  
20  
21  
22  
23  
24  
25  
26  
27  
28  
29  
30  
31  
32  
33  
34  
35  
36  
37  
38  
39  
40  
41  
42  
43  
44  
45  
46  
47  
48  
49  
50  
51  
52  
53  
54  
55  
56  
57  
58  
59  
60  
61  
62  
63  
64  
65  
66  
67  
68  
69  
70  
71  
72  
73  
74  
75  
76  
77  
78  
79  
80  
81  
82  
83  
84  
85  
86  
87  
88  
89  
90  
91  
92  
93  
94  
95  
96  
97  
98  
99  
100

რისო სამშვიდობო კონტინგენტით ჩანაცვლება. მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და კულტურული კავშირის დამყარება აშშ-თან, ნატოს წევრ ქვეყნებთან და კეთილშინდობრივი ურთიერთობა მოსაზრებულ სახელმწიფოებთან. დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად წარმოებულ ბრძოლაში აქტიური პოლიტიკური და მორალური მხარდაჭერის განევა ჩრდილოეთ კავკასიის მოძვე ერთათვის. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდენა. აფხაზეთიდან და ცხინვლიდან იძულებით გადაადგილებულთა საკუთარ სახლებში უსაფრთხო დაბრუნების გარანტიების შექმნა, ამ რეგიონების სწრაფი რეაბილიტირების განხორციელება. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიების გაუქმებისათვის მშვიდობიანი ძალისხმევა. საქართველოს სატრანზიტო ქვეყნად ჩამოყალიბება. სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, კანონის უზენაესობის დამკვიდრება. სახელმწიფოს მართვის სტრუქტურებიდან კორუფციის აღმოფხვრა. მრეწველობის ამოქმედებისა და აგრარული სექტორის განვითარებისათვის ღწვა, რათა საქართველო აქტიურად ჩაება მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში. მეცნიერებისა და განათლებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის ზრუნვა. საქართველოს ყოველი მოქალაქისათვის თანაბარი უფლებებით სარგებლობის პირობების შექმნა.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის ქ., 17, ტელ.: 98 39 01; 98 39 13; ფაქსი: 98 39 14.  
საკონტაქტო პირი: გიორგი გიორგობიანი - კადრების კომისიის თავმჯდომარე.

**26. საქართველოს სოციალური სამართლიანობის პარტია (სსპ)**

დევიზი: "სამართალი"  
პოლიტიკური მიმართულება: მემარცხენე საპროგრამო პრიორიტეტები:  
ეკონომიკა: ანტიხალხური, დანაშაულებრივი პრივატიზაციის შედეგების აღმოფხვრა. სახელმწიფო საკუთრების პრიორიტეტის აღდგენა ეკონომიკაში.  
საგარეო პოლიტიკა: მუზობელ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი, მეგობრული თანაარსებობა. ნეიტრალური სახელმწიფოს დამკვიდრება.  
სახელმწიფო ტერიტორიული მონყობა: ფედერალური (ფედერალური მონყობა როგორც საფესური გარკვეულ ისტორიულ პერიოდში); საბოლოოდ უნიტარული სახელმწიფოს ჩამოყალიბება)  
სახელმწიფო სისტემის მონყობა: საპარლამენტო პარტია დაარსდა: 1990 წ., პირველი რეგისტრაცია - 1992 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 27.02. 1998 წ.



**პარტიის ლიდერი არჩილ იოსელიანი**

დაიბადა 1951 წ. თბილისში, მათემატიკოსი, მოქანდაკე. დაამთავრა: 1973 წ. - თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, 1985 წ. - თსუ საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი. 1977-1980 წ.წ. - მოსკოვის სსრკ ჰიდრომეტეცენტრის ასპირანტურა. სამუშაო გამოცდილება: 1973-1977 წ.წ. და 1980-1983 წ.წ. - ა/კ ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, მეცნიერ თანამშრომელი. 1983-1985 წ.წ. - ჩრდილოეთ კავკასიის ნავთობის კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. 1985-1995 წ.წ. - სპი, ქიმიის ფაკულტეტი, ლაბორატორიის უფროსი. 1989-1990 წ.წ. იყო საქ. სახალხო ფრონტის სამუშაო განყოფილების უფროსი. 1993-1994 წ.წ. იბრძოდა აფხაზეთში, იყო ბატალიონ "გორდას" და 51-ე ბატალიონის მეთაური. 1990 წ. აირჩიეს საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირის თავმჯდომარედ. 1990 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი და ბლოკის "დემოკრატიული საართველო" პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი და საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირის პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1992-1995 წ.წ. იყო საგარეო საქმეთა კომიტეტის წევრი და სოფლის მეურნეობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. 1993-1994 წ.წ. - ფრაქცია "პროგრესის" თავმჯდომარე, 1995 წ. - ფრაქცია "ბორჯღალოს" თავმჯდომარის მოადგილე. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი და პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე, ნათელა იოსელიანი (ახალაქე) და 4 შვილი.  
მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ., 2/2, ბინა 39, ტელ.: 22 41 16.

1999

დაარსების ინიციატორები: არჩილ იოსელიანი, დარეჯან იოსელიანი, ალექსანდრე ელბაქიძე, ოთარ ეგაძე, გიგა ლორთქიფანიძე, გივი იორამაშვილი.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) – საბჭო (ირჩევა 2 წლით - 9 წევრი: გიორგი ლეკიაშვილი, ნიკოლოზ გიუნაშვილი, ვაჟა ყოჩიაშვილი, ლელი თორიქია, ირაკლი ბრეგვაძე და სხვ.) – თავმჯდომარე – არჩილ იოსელიანი (ირჩევა 2 წლით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.) – რეგიონალური და რაიონული საბჭოები (ირჩევა 2 წლით, წევრთა რაოდენობა ცვალებადია, რაიონების მიხედვით – თითო-თითო).

წევრთა რაოდენობა: 1500, აქტიური - 500.

აქვს რაიონული ორგანიზაციები.

ბეჭდვითი ორგანო: გაზეთი "არსი". დაარსდა 1997 წ., გამოდის თვეში ერთხელ, ტირაჟი - 2000, ფასი - 50 თეთრი.

1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 1,86%, პარლამენტში ჰყავდა 2 წარმომადგენელი.

1992 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: დემოკრატიული საფუძვლების გამყარება. სახელმწიფო საკუთრების როლის შენარჩუნება და საბაზრო ურთიერთობების საფუძვლების ჩამოყალიბება.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 1,05%, პარლამენტში არ ჰყავდა წარმომადგენელი.

1995 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: დანაშაულებრივი პრივატიზაციის შედეგების აღმოფხვრა. სახელმწიფო საკუთრების პროორიტეტის აღდგენა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში. სახელმწიფო საკუთრება მინაზე.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს უჭერდა ჯუმბერ პატიაშვილს.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს კურსის არქონისა და სრული უსუსურობის გამო.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი – ნოდარ ფალავა, რწმუნებული – ირაკლი ბრეგვაძე.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: დანაშაულებრივი პრივატიზაციის შედეგების აღმოფხვრა. სახელმწიფო საკუთრების პროორიტეტის აღდგენა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში. სახელმწიფო საკუთრება მინაზე. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინტერესების წინ წამოწევა. მშვიდობა მეზობელ ქვეყნებთან. უნიტარული სახელმწიფო ტერიტორიული მონყობა ავტონომიის გათვალისწინებით.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ., 2/2, ბინა 39,

ტელ.: 22 41 16.

საკონტაქტო პირი: ირაკლი ბრეგვაძე – პოლიტიკური მდივანი.

## 29. გლოქი

### პრტიანი კოპონისტური პარტია (სტალინური) და მპროპელთა საბჭოები

*საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია (სეკპ)*

*მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს მშრომელთა საბჭო"*

## საქართველოს ერთიანი კოპონისტური პარტია (სეკპ)

დევიზი: "პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"

პოლიტიკური მიმართულება: მემარცხენე

პარტიის საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მცდარი კურსიდან სოციალისტურ გეგმიურ ეკონომიკაზე გადასვლა. საკუთრების ყველა ფორმების დამკვიდრება სხვისი შრომის ექსპლუატაციის გამორიცხვის პირობებზე

ში, მათთვის განვითარების თანაბარი პირობების შექმნა. სოციალისტურ განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკის აღორძინება, ახალი სამრეწველო ობიექტების შექმნა.

საგარეო პოლიტიკა: საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე საგარეო პოლიტიკის კარდინალური შეცვლა, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული, ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც არამც და არამც არ იქნება არც ერთი სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი და სატელიტი ქვეყანა.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: ფედერალური (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიული მოწყობა).

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპარლამენტო (საპარლამენტო მშრომელთა საბჭოების სახით).

პარტია არის კომუნისტურ პარტიათა კავშირის (სკკპ) დამოუკიდებელი წევრი.

პარტია დაარსდა – 1992 წ. თებერვალს, პირველი რეგისტრაცია – 1994 წ. სექტემბერს, ხელახალი რეგისტრაცია - 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: პ. გიორგაძე, შ. მახარაძე, გ. ონიანი.

პარტია არის საქართველოს კომუნისტური პარტიის სამართალმემკვიდრე.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 2 წელიწადში ერთხელ) – პლენუმი, კონფერენცია, ბიურო (ირჩევა 2 წლით 15 წევრი) - სამდივნო (ირჩევა 2 წლით 7 წევრი) – პარტორგანიზაცია, რაიკომი, ქალაქკომი, საოლქო კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტი - ცკ პირველი მდივანი პანტელეიმონ გიორგაძე (ლია კენჭისყრით ირჩევა 2 წლით, ბოლოს არჩიეს 1996 წ.).

წევრთა რაოდენობა: 87000, აქტიური - 65000.

50 რაიონული ორგანიზაცია (მათ შორის ჩამოყალიბების სტადიაში - 20), ყველა რაიონში რაიკომები და პირველადი ორგანიზაციები.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: საქართველოს ი.ბ. სტალინის სახელობის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი, დაარსდა 1994 წ., გაერთიანებულია 2000 წევრი, არის იურიდიული პირი. ლიდერი - თ. ფიფია. მისამართი: თბილისი, ზუდაბუძის ქ., 6, ტელ.: 38 49 05; 38 19 00.

ბეჭდვითი ორგანო: გაზეთები - "კომუნისტი", "ზარია ვოსტოკა", "ახალგაზრდა კომუნისტი". ტირაჟი: 5000, ფასი: 50 თეთრი.

1990 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "ერთიანი კომუნისტური პარტია და სოციალ-დემოკრატები". ბლოკმა მიიღო ხმების 4,9 %, ჰყავდა წარმომადგენელი პარლამენტში.

1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 10%.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "ერთიანი კომუნისტური პარტია და სოციალ-დემოკრატები", მიიღო ხმების 4,75%, პარლამენტში წარმომადგენელი არ ჰყავდა.

1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში პარტია არ მონაწილეობდა.



**პარტიის ლიდერი  
ანატოლიეონ  
გიორგაძე**

დაიბადა 1925 წ., სამტრედიაში, გენერალ-მაიორი. დამთავრა ორი სამხედრო აკადემია. მუშაობდა სამთავრობო სტრუქტურებში, იყო მრჩეველი სამხედრო საქმეებში, სასაზღვრო ჯარების სარდალი. იყო ცხინვალის სამშვიდობო ჯარების სარდალი (საქართველოს მხრიდან). იყო პრეზიდენტობის კანდიდატი საქართველოს ერთიანი კომპარტიიდან. იყო სკკპ წევრი. 1994 წლიდან არის საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცკ-ის პირველი მდივანი. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე, ვალენტინა გიორგაძე და 2 შვილი. მისამართი: თბილისი ფალიაშვილის ქ. 31 ტელ.: 23 37 72  
მოზილური: (877) 42 11 36.

ლობდა, რადგან არსებული სახელმწიფო სისტემის პირობებში ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვება პარტიის დისკრედიტაციას გამოიწვევდა. ვერ შესძლებდა თავისი პროგრამის იმინიუმის შესრულებასაც კი.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს უჭერდა ჯუმბერ პატიაშვილს.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, რადგან დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური კურსი ანტიეკონომიკურია, იცავს დასავლეთის კაპიტალის ინტერესებს, ამკვიდრებს სოციალურ უსამართლობას. საქართველო მიჰყავს სამხედრო ბლოკისაკენ, რომელიც ეწინააღმდეგება ადრე გამოცხადებულ საქართველოს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდამჭერთა ხელმოწერები, რწმუნებული - ნოდარ ბუჩუკური.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: განახლებული საბჭოთა სოციალისტური წყობილების აღდგენა, საქართველოს ინტერესების შესაბამისად საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა. კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, დისკრიმინაცია და წესრიგის მკაცრ დაცვას. კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მცდარი კურსიდან სოციალისტურ გეგმიურ ეკონომიკაზე გადასვლა. განახლებული საბჭოთა სოციალისტური წყობილების აღდგენის საფუძველზე საზოგადოებაში უსამართლო ქონებრივი და სოციალური დაყოფის აღმოფხვრა, შიმშილისა და სიღატაკისაგან ქვეყნის მოსახლეობის სხნა. ეროვნული კულტურის, ჯანდაცვის, განათლების, სოცურუნეველყოფის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის პრიორიტეტული და გარანტირებული დაფინანსება. პარტიის საბოლოო მიზანია აღორძინებული და აყვავებული ერთიანი და დამოუკიდებელი საქართველო, სადაც ყველა მშრომელი და პატიოსანი ადამიანი ჰარმონიულად იცხოვრებს მიუხედავად ეროვნებისა, რელიგიური მრწამსისა, ქონებრივი თუ განათლების ცენზისა, სქესისა და ასაკისა.

მისამართი: თბილისი, ბუდაპეშტის ქ., 6,

ტელ.: 38 49 05; 38 19 00.

საკონტაქტო პირი: ნოდარ ბუჩუკური - სეკპ-ის ცკ-ს მდივანი.

## მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს მშრომელთა საჭყო"

### პარტიის ლიდერი

**ბადრი სისვაძე** დაიბადა 1952 წ., საჩხერის რ-ნის სოფ. სისვაძეებში, საქონლემოცოდნეობა და ვაჭრობის ორგანიზაცია. 1979 წ. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1969-1971 წ.წ. - საჩხერის რ-ნის სოფ. კორბოულის კოლმეურნეობა, მუშა. 1971-1973 წ.წ. - თბილისის ინსტრუმენტალური ქარხანა, მუშა. 1975-1981 წ.წ. - თბილისის ს/კ "ელექტროავტომატი", მუშა. 1981-1999 წ.წ. - თბილისის ს/კ ჩარხსამშენებლო ქარხანა, წარმოების უფროსი. 1986-1991 წ.წ. - სკპ წევრი. 1999 წ. აირჩიეს "საქართველოს მშრომელთა საბჭოს" თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე, ნანა ცინცაბაძე და 2 შვილი.  
მისამართი: თბილისი, გურამიშვილის ქ., 14,  
ტელ.: 63 29 31

პოლიტიკური მიმართულება: მემარცხენე საპროგრამო პრიორიტეტები:  
ეკონომიკა: კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკიდან სოციალისტურ გეგმიურ ეკონომიკაზე გადასვლა. საკუთრების ყველა ფორმების დამყვანა. სოციალისტურ განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკის აღორძინება, ახალი სამრეწველო ობიექტების შექმნა.  
საგარეო პოლიტიკა: საგარეო პოლიტიკის კარდინალური შეცვლა, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, თავისუფალი, ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. არამც და არამც არ იქნება არც ერთი სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი და სატელიტი ქვეყანა.  
სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: ფედერალური (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიული მოწყობა)  
სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპარლამენტო (საპარლამენტო მშრომელთა საბჭოების სახით)  
პარტია დაარსდა: 1999 წ.  
დაარსების ინიციატორები: ბადრი სისვაძე, თამაზ

ინტერვიუ



ჯაფოშვილი, თენგიზ თევზაძე.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 3-4 წელიწადში ერთხელ) – საბჭო (ირჩევა 3-4 წლით - 102 წევრი) – საბჭოს პრეზიდიუმი, საბჭოს სესია (ირჩევა 3-4 წლით - 17 წევრი: ბადრი სისვაძე – თავმჯდომარე, თამაზ ჯაფოშვილი, თენგიზ თევზაძე, ტარიელ ჩაფინაძე, დავით ცერცვაძე, ბადრი მელაშვილი, ბესიკ ორჯონიძე, მარინა გრატაშვილი, ომარ სატიშვილი, დავით ჟორჟოლიანი, ტარიელ კვიციანი, არველოდი ტულუში, ვენედი ფერაძე, ვაჟა ბერიანიძე, იუზა კუტივაძე, სულიკო ლაცაბიძე, ლევან ჭინჭარაძე) – თავმჯდომარე (ყრილობა ღია კენჭისყრით ირჩევა 3-4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1999 წ.). წევრთა რაოდენობა: 5000, აქტიური – 1650.

აქვს რეგიონალური და 68 რაიონული ორგანიზაცია.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, რადგან იგი ამყარებს სოციალურ უსამართლობას.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდაჭერა ხელმოწერები, რწმუნებული – ნოდარ ბუჩუკური.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: ეთხვევა საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის პროგრამას.

მისამართი: თბილისი, ბუდაბუშტის ქ., 6,

ტელ.: 38 19 00; 38 19 05.

საკონტაქტო პირი: თამაზ ჯაფოშვილი, თენგიზ თევზაძე.

### 30. ქართველ ნაციონალისტთა პარტია

დევიზი: “ნიკოფსიიდან დარუბანდამდე”

პოლიტიკური მიმართულება: მესამე გზა (კონსერვატიული რევოლუცია)

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: კონსერვატიზმი, კერძო მფლობელობა ბუნებრივ რესურსებზე (მეგვიდროებით გადაცემის უფლებით), მიწა, ბუნებრივი რესურსები იმდენად შეიძლება ეკუთვნოდეს ამა თუ იმ პიროვნებას, ვის, რამდენადაც თავად ეკუთვნის მას. კერძო საკუთრება სხვა დანარჩენ ობიექტებზე, გარდა სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებისა. სახელმწიფოს მხრიდან პროტექციონისტული პოლიტიკა კერძო მესაკუთრეთა და მფლობელთა მიმართ.

საგარეო პოლიტიკა: რეგიონალური უსაფრთხოება. კავკასიური კულტურული ინტეგრაცია.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარიზმი კულტურული ავტონომიებით.


სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო

პარტია დაარსდა 1991 წ., პირველი რეგისტრაცია – 1992 წ., ხელახალი რეგისტრაცია – 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: კონსტანტინე ჭიჭინაძე, გაიოზ (გია) მამალაძე.

პარტია სამართალმეგვიდრეა “ქართული რენესანსის” კავშირისა. ასევე ქართული ემიგრანტული ნაციონალისტური მოძრაობის “ეთერი გიორგის” იდეური

**პარტიის ლიდერი**  
**გაიოზ (გია)**  
**მამალაძე**



დაიბადა 1964 წ. თბილისში, პოლიტიკოსი. გაიარა 5 კურსი, მაგრამ არ დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი, ასევე გაიარა 2 კურსი, მაგრამ არ დაამთავრა თსუ ხელოვნებათმცოდნეობის მეორედი ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1983-1984 წწ. - თბილისის ნიგნის ფაბრიკა, მუშა. 1989 წ. - საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 9 აპრილის გარემოებათა გამოცვლელი კომისიის სტუდენტ-ახალგაზრდობის ქვეკომისიის თავმჯდომარე. 1991-1992 წწ. - დიდუბის რაიონის საკრებულოს წევრი. 1991-1992 წწ. იყო “ქართული რენესანსის” კავშირის თავმჯდომარე, 1992 წლიდან “ქართული რენესანსის” კავშირის ნაციონალისტთა ერთობასთან შეერთების შემდეგ არის ქართველ ნაციონალისტთა ერთობის მეთაური. 1990 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი და პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მუღლე, ნატო გიორგაძე-მამალაძისა. მისამართი: თბილისი, დიდუბის მასივი, მე-2 კვ., 14-ე კორპ., ბ. 39

ნაციონალიზმი

მეგვიდრე. დღევანდელ ქართველ ნაციონალისტთა ერთობას საფუძვლად დაედო ქართული რენესანსის კავშირისა და ქართველ ნაციონალისტთა ერთობას შორის შექმნილი გაერთიანება "იბერიულ-კავკასიური მოძრაობა – ეროვნული ფრონტი".

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) – გამგეობა (ირჩევა 4 წლით – 7 წევრი: გაიოზ (გია) მამალაძე - მეთაური, კონსტანტინე ჭიჭინაძე - მოადგილე, ზურაბ ჩიჩუა, ბესარიონ ბოჭორიშვილი, კახაბერ ტყეშელაშვილი, ლევან გიორგაძე, ჯუმბერ თადეაშვილი) - მეთაური (ირჩევა 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.)

წევრთა რაოდენობა: 3000, აქტიური – 33.

7 რეგიონალური და 61 რაიონური ორგანიზაცია.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: ახალგაზრდა ნაციონალისტთა ერთობა, დაარსდა 1997 წ., გაერთიანებულია 360 წევრი, არ არის იურიდიული პირი, ლიდერი – დავით კვიციანი. მისამართი: დ/მ 2/14, 2/39, ტელ.: 96 39 98, E-mail: gaioz@hotmail.com, ინტერნეტის გვერდის მისამართი: [www.geocities.com/Capitolhill/Congress/3397](http://www.geocities.com/Capitolhill/Congress/3397).

ბექდვითი ორგანო: "ნაციონალისტი", დაარსდა 1993 წ., გამოდის არაპერიოდულად, ტირაჟი - 1000-2000, უფასო..

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "XXI საუკუნე – კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება – ერთიანი საქართველო", მიიღო ხმების 4,28% (გაუსყალბებლად მიიღებდა 18%-ს), პარლამენტში არ ჰყავდა წარმომადგენელი.

1991 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს უჭერდა ზვიად გამსახურდიას.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს არავის უჭერდა.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს ანტინაციონალური და ანტისახალხო პოლიტიკის გამო.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი – თამაზ თხელიძე, რწმუნებული – ზურაბ ჩიჩუა.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: 1. ეროვნული სოციალიზმი და ეროვნული ელიტარიზმი, 2. ეროვნული უსაფრთხოება - ეროვნული სოციალიზმისა და ეროვნული ელიტარიზმის მაკონცენტრირებული ძალა, 3. ეროვნული უსაფრთხოება – იბერიულ-კავკასიური ნაციონალური კონსოლიდაცია, 4. ეროვნული უსაფრთხოება – ჯანსაღი საზოგადოებრივი ნორმებისა და ცხოვრების წესის კულტივირება, 5. ეროვნული უსაფრთხოება – გეო-ეკონომიკური ფონდზე ზრუნვა, 6. ეროვნული უსაფრთხოების გარანტიები - სახელმწიფო უსაფრთხოების მექანიზმები, 7. სოციალური კეთილდღეობა – დემოსის მმართველობა, 8. სოციალური განვითარება – დამგეგმარებული ელიტა, 9. საშინაო პოლიტიკის სახალხოობა – საგარეო პოლიტიკის გლობალიზმი, 10. ადამი-ენა-თანამედროვე კულტურა, 11. კორპორატივიზმი – კერძო მესაკუთრეობის ხელშეწყობა-მილიტარიზმი.

მისამართი: დ/მ 2/14, 2/39,

ტელ.: 96 39 98,

E-mail: gaioz@hotmail.com,

ინტერნეტის გვერდის მისამართი: [www.geocities.com/Capitolhill/Congress/3397](http://www.geocities.com/Capitolhill/Congress/3397).

საკონტაქტო პირი: ზურაბ ჩიჩუა - კადრების უფროსი.

### 31. გლოქი "XXI საუკუნე - ქართული ნაციონალიზმი"

პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს გული - XXI"

საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება პარტია "სამშობლო"

### პოლიტიკური მიმართულება "საქართველოს გული - XXI"

პოლიტიკური მიმართულება: ქართული ნაციონალიზმი

საპროგრამო პრიორიტეტები:

ნაციონალი

ეკონომიკა: სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა.

საგარეო პოლიტიკა: ნეიტრალური სახელმწიფო.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო

პარტია დაარსდა 1995 წ., პირველი რეგისტრაცია – 1995 წ., ხელახალი რეგისტრაცია – 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: თამაზ კერძევაძე, თამაზ კაპანაძე, ირაკლი მირზიაშვილი, ნიკა მამულაშვილი, მიხეილ ჯობაძე, კობა თოფურია.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 2 წელიწადში ერთხელ) – მთავარი საბჭო (ირჩევა 2 წლით - 5 წევრი: თამაზ კერძევაძე – გენერალური მდივანი, თამაზ კაპანაძე, ირაკლი მირზიაშვილი) - გენერალური მდივანი (ფარული კენჭისყრით ირჩევენ 2 წლით, ბოლოს აირჩიეს 1999 წ.) - რეგიონალური საბჭო (ირჩევა 2 წლით – 5 წევრი). წევრთა რაოდენობა: 1600, აქტიური - 200.

4 რეგიონალური და 10 რაიონული ორგანიზაცია

ახალგაზრდული ორგანიზაცია: "საქართველოს გული - XXI" ახალგაზრდული ორგანიზაცია. დაარსდა 1996 წ. გაერთიანებულია 150 წევრი. არ არის იურიდიული პირი. ლიდერი: ზურაბ კერძევაძე. მისამართი: თბილისი, დელისის ქ., 33ა. ტელ.: 39 56 68.

E-mail: zu\_ge@hotmail.com, zu\_ge@yahoo.com

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "XXI საუკუნე კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება - კოალიცია ერთიანი საქართველო", მიიღო ხმათა 4,7%, პარლამენტში წარმომადგენელი არ ჰყავდა.

1995 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფო, მოსახლეობის ეკონომიური და სოციალური კეთილდღეობა, უცხო ქვეყნის ჯარების გაყვანა ქვეყნის ტერიტორიიდან.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს არავის უჭერდა.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს არასწორი პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის გამო.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდამჭერთა ხელმოწერები, რწმუნებული – ზურაბ კერძევაძე.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს ხელისუფლებაში უნდა იყვნენ ეროვნულ პოზიციებზე მტკიცედ მდგომი, პატიოსანი, ჭკვიანი, თავდადებული, საქმის მცოდნე ადამიანები. საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული, უნიტარული სახელმწიფო. საქართველოს ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს მოსახლეობის ეკონომიური და სოციალური კეთილდღეობის ამაღლება. პენსიონერთათვის, მარტოხელა დედებისათვის, სამხედრო და შრომითი ინვალიდთათვის და სხვა სოციალურად დაუცველი ადამიანებისათვის გარანტირებული საარსებო პირობების შექმნა. განათლების სისტემა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. ქვეყანაში დაუყოვნებლივ უნდა დამყარდეს მართლწესრიგი. ქვეყანა უნდა იმართებოდეს მხოლოდ კანონებით, რომელიც ყველასათვის ერთი იქნება. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვა გაეროს 1948 წ. დეკლარაციაზე დაყრდნობით. ხელისუფლების გადაუდებელი საზრუნავი უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დაცვა.

**პარტიის ლიდერი**

**თამაზ კერძევაძე** დაიბადა 1953 წ., ვანის რ-ნის სოფ. ქვედა გორაში, ექიმი. 1974 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეურნალო ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1997 წლიდან დღემდე - რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკურ საავადმყოფო, ნეიროქირურგი. 1999 წ. აირჩიეს "საქართველოს გული XXI"-ს გენერალურ მდივნად. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრდა როგორც მაჟორიტარი და პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე, მარინა კვიციანი და 2 შვილი. მისამართი: თბილისი, დელისის ქ., 33ა. ტელ.: 39 56 68 მობილური: (899) 51 30 18

მისამართი: თბილისი, დელისის ქ., 33ა. ტელ.: 39 56 68.

E-mail: zu\_ge@hotmail.com, zu\_ge@yahoo.com

საკონტაქტო პირი: თამაზ კერძევაძე - გენერალური მდივანი.

**საპარტიოპოლიტიკური პარტია “საქართველო”**

დევიზი: “საქართველოს სულიერი ამაღლება მოახდენს მის გაერთიანებას და ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილის გადაარჩენას”

პოლიტიკური მიმართულება: ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: ჩვენი პარტიის პროგრამა ითვალისწინებს განვლილი ყველა წყობილებიდან გა-



**პარტიის ლიდერი  
ზაურ ცხვარაძე**

დამიბადა 1944 წ., ვანში, ინჟინერ-მექანიკოსი, პოლიტიკოსი. დაამთავრა: 1967 წ. - სპი მექანიკური ფაკულტეტი, 1980 წ. - საავიაციო ცკ-ს უმაღლესი პარტიული სკოლა, უმაღლესი პარტიულ-პოლიტიკური განათლებით. სამუშაო გამოცდილება: 1959-1962 წწ. - ვანის საკონსერვო ქარხნა, მუშა. 1969-1975 წწ. - კოჭავშირის ვანის რაიკომის II მდივანი, ცეკავშირის სახარმოო კომბინატი, დირექტორი. 1975-1977 წწ. - თბილისის ინსტრუმენტალური ქარხანა, ინჟინერ-მექანიკოსი. 1977-1985 წწ. - “პიკინა”, დირექტორი. დღეს - შპს “საჩინო 7”, დირექტორი. იყო პარტია “სამშობლოს” საორგანიზაციო განყოფილების უფროსი, 1998 წ. აირჩიეს პარტიის თავმჯდომარედ. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე, ნაწა ლოტიძე და 1 შვილი.

მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, III მ/რ, I კვარტ., VII კორპ., ბ. 17  
ტელ.: 32 13 34

მომდინარე ყველაზე საუკეთესოს მშრომელი მასებისათვის და მთლიანად საქართველოსათვის, ქართულ-ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობით. ნაწილი კაპიტალიზმიდან, ნაწილი ფეოდალიზმიდან და ა. შ. საგარეო პოლიტიკა: ყოველი სადაო საკითხების მშვიდობიანი გზით მოლაპარაკებების საფუძველზე ურთიერთანხმობა. გამოირიცხება ყოველგვარი ძალადობა. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული-სამხარეო (უნიტარული უნდა იყოს აუცილებლად, ერთმართველური. 7 მხარე, ანუ 7 ქიმი ჩვენი ვარსკვლავის აფხაზეთი, აჭარა, იმერეთი, სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, ქართლი, კახეთი) სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო (პრეზიდენტი აუცილებლად, მაგრამ მის საპრისპიროდ უნდა იყოს მოქმედი პარლამენტი, რომელიც კონტროლს გაუწევს მის ყოველგვარ მოქმედებას და მიიღებს სათანადო კანონებს მოსახლეობის და სახელმწიფოს საკეთილდღეოდ)

პარტია დაარსდა 1989 წ., პირველი რეგისტრაცია – 1995 წ., ხელახალი რეგისტრაცია – 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: მიხეილ ლოლობერიძე, ბერდო გოიშვილი, კობა არაბული, ლევან ფრუიძე, თენგიზ ჩხეიძე და სხვ.

1995 წლამდე პარტიას ეწოდებოდა “მამულის ალორძინება”.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) – გამგეობა (ირჩევა 2 წლით - 19 წევრი: ომარ ცხვარაძე - თავმჯდომარე, თენგიზ ჩხეიძე - პირველი მოადგილე, გერმან ბეგაშვილი - სპიკერი) – თავმჯდომარე (ირჩევს უმრავლესობა, ბო-

ლოს აირჩიეს 1997 წ.)

წევრთა რაოდენობა: 1355, აქტიური – 50.

რეგიონალური (ჩამოყალიბების სტადიაში) და 10 რაიონური ორგანიზაცია.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: პარტია “სამშობლოს” ახალგაზრდული ორგანიზაცია. დაარსდა 1999 წ., გაერთიანებულია 70 წევრი, არ არის იურიდიული პირი, ლიდერი - ზურაბ სამხარაძე. მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, III მ/რ, I კვარტ., VII კორპ., ბ. 21.

1990 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმათა 1,2%, პარლამენტში არ ჰყავდა წარმომადგენელი.

1990 წ. საპროგრამო პრიორიტეტები: საქართველოს დამოუკიდებლობა.

ინფორმაცია

1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 3%, პარლამენტში ჰყავდა 1 წარმომადგენელი.

1992 წ. არჩევნებში საპროგრამო პრიორიტეტები: საქართველოს აბსოლუტური დამოუკიდებლობა, რუსეთის ჯარების გაყვანა საქართველოდან.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 1,2%, პარლამენტში არ ჰყავდა წარმომადგენელი.

1992 წ. საპროგრამო პრიორიტეტები: შევექმნათ ძლიერი სახელმწიფო ეკონომიურად.

1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "სოციალ-დემოკრატიული ლიგა".

1991 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს უჭერდა ზვიად გამსახურდიას.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს უჭერდა ედუარდ შევარდნაძეს.

პარტია დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს საგარეო პოლიტიკაში მთლიანად ეთანხმება, საშინაო პოლიტიკაში ეწინააღმდეგება იმის გამო, რომ საქართველოს მოსახლეობის სოციალური დონის ამაღლების საკითხში არცერთი პრობლემა არ იქნა მოგვარებული, პირიქით, თანდათან ეცემა მოსახლეობის ცხოვრების დონე.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი – ვლადიმერ ბალუაშვილი, რწმუნებული – ბლოკის რწმუნებული.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: პარტია "სამშობლოს" მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებულია ბლოკში "XXI საუკუნე", გააჩნია საკუთარი შეხედულებები საქართველოს სახელმწიფოს განვითარების საქმეში. კერძოდ: მიგვაჩნია რომ ათასწლეულის ბოლოს როგორც ეს ხდებოდა განვლილი ათასწლეულების დროს, ხდება სახელმწიფოების, ერების, მოსახლეობის ცდუნება და განწმენდა, რადგან დედამიწაზე ცხოვრობს ექვსი მილიარდი ადამიანი და თუ ეს გამრავლების პროცესი გაგრძელდა, მაშინ 25 წელში დედამიწაზე იქნება 20 მილიარდი ადამიანი, რასაც ვერ გამოკვებავს დედამიწაზე მოსული სურსათი. ამდენად ჩვეთვის ცნობილია (ბიბლიიდან), რომ დაახლოებით გადარჩება დედამიწაზე 1/3 მესამე ათასწლეულის დასაწყისისათვის, ამიტომ ჩვენი დევიზია საქართველოს მოსახლეობას გაეაცნოთ მოსალოდნელი ღვთიური თუ ბუნებრივი პროცესები, რომ მათ ირწმუნონ და ამაღლდეს მათი რწმენა, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანები გადარჩეს საქართველოში ანუ განწმენდის პროცესმა ჩაიაროს შედარებით უმტკივნეულოდ.

მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, III მ/რ, I კვარტ., VII კორპ., ბ. 21,

ტელ.: 32 13 34

საკონტაქტო პირი: ომარ ცხვარაძე.

### 35. ღვთისმშობლის პარტია (ღპ)

დევიზი: "ბედნიერება ყველა ადამიანს"

პოლიტიკური მიმართულება: ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:


ეკონომიკა: პარტია მხარს უჭერს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას კონვერგენციის გზით. საგარეო პოლიტიკა: ჩვენ ვხელმძღვანელობთ საგარეო პოლიტიკაში დიდი დ. აღმსვენებლის პოლიტიკით, რომელიც გამოიხატება ყველა ქვეყნის მიმართ ნეიტრალურ დამოკიდებულებაში, ე.ი. ჩვენ ვართ პროქართული ორიენტაციის. ყველასთან ვმეგობრობთ, რომლებიც საქართველოსთან მეგობრობენ და უყვართ.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: კონსტიტუციური მონარქია

პარტია დაარსდა 19.08. 1996 წ., პირველი რეგისტრაცია - 1996 წ. ოქტომბერი, ხელახალი რეგისტრაცია - 1998 წ. თებერვალი.

დაარსების ინიციატორები: როინ ლიპარტელიანი, ვახტანგ ბერიძე, ვაჟა მალაყელიძე, გი-



**პარტიის ლიდერი  
როინ  
ლიპარტელიანი**

დაიბადა 1951 წ., ლენტეხის რ-ნის სოფ. კახურაში, იურისტი, აგრონომი, ფურნალისტი, დიპლომატი, პატენტმცოდნე, აკადემიკოსი. დაამთავრა: 1975 წ. - აგარული უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი, 1976 წ. - საქართველოს პატენტმცოდნეობის ინსტიტუტის პატენტმცოდნეობის ფაკულტეტი. 1985 წ. - თსუ იურიდიული ფაკულტეტი, აგრეთვე: საზოგადოებრივ პროფესიითა ფაკულტეტი ფურნალისტიკის სპეციალობით და დიპლომატიური სასწავლებელი საერთაშორისო დიპლომატიის სპეციალობით. მინიჭებული აქვს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება, დაჯილდოებულია დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ოქროს ორდენით, 1994 წ. იტალიაში დააჯილდოვეს დიდი ოქროს მედლით როგორც ყველაზე მზარდი ახალგაზრდა პოლიტიკოსი. 1996 წ. 4 წლით არჩეული იყო დავით აღმაშენებლის პარტიის თავმჯდომარედ. 1988-1992 წ.წ. იყო სრულიად საქართველოს მინათოქმედთა პარტიის თავმჯდომარე, არის პარტიის დამაარსებელი. 1992-1996 წ.წ. იყო საქართველოს აგარული პარტიის თავმჯდომარე, არის პარტიის დამაარსებელი. 1990 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი და სრულიად საქართველოს მინათოქმედთა კავშირის პარტიული სიით, იყო პრეზიდენტობის კანდიდატი. ვერ გახდა პარლამენტის წევრი. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი და პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1992-1995 წ.წ. იყო ფრაქცია "დავით აღმაშენებლის" თავმჯდომარე და აგარული კომიტეტის თავმჯდომარე. 1995 წ.წ. არჩევნებში იყო პრეზიდენტობის კანდიდატი. მკავეს 3 შვილი.  
მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-4 მრ, 21 კორპ., ბინა 59.  
ტელ.: 39 68 99  
მობილური: (899) 51 94 30

ორგი ჭანვოტაძე, ნინო აბუაშვილი, დავით მენაღარიშვილი, ოთარ გამყრელიძე, ნანა ბალაშვილი, დავით გვიანიძე, თემურ გოგიტიძე.  
ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 4 წელიწადში ერთხელ) – დარბაზი (ორჩევა 4 წლით - 21 წევრი: როინ ლიპარტელიანი - თავმჯდომარე, ვახტანგ ბერიძე - მოადგილე, დავით მენაღარიშვილი - მოადგილე, ნანა ბალაშვილი, ნინო აბუაშვილი, ლია მალაზიშვილი) – თავმჯდომარე (ყრილობა ირჩევს 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1996 წ.).  
წევრთა რაოდენობა: 17000, აქტიური - 4000.  
12 რეგიონალური და 85 რაიონული ორგანიზაცია.  
ახალგაზრდული ორგანიზაცია: დ. აღმაშენებლის პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია. დაარსდა 23.11.1996 წ. გაერთიანებულია 1500 წევრი. არ არის იურიდიული პირი. ლიდერი: რაისა ლიპარტელიანი. მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ., 41, ოთახი 347. ტელ.: 39 68 99.  
ბეჭდვითი ორგანო: გაზეთი "დავით აღმაშენებელი" დაარსდა 21.12.1996 წ.; ჟურნალი "დავით აღმაშენებელი". ჯერ არ არის გამოცემული.  
1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "საქართველო - მერაბ კოსტავას საზოგადოება".  
პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს.  
ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდამჭერთა ხელმოწერები, რწმუნებული - როინ ლიპარტელიანი.  
მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ., 41, ტელ.: 33 53 26.  
საკონტაქტო პირები: ნანი ბალაშვილი, ვახტანგ ბერიძე - თავმჯდომარის მოადგილეები.

**36. საქართველოს დემოკრატიული ხანტი (დხ)**  
დევიზი: "ისწრაფე ავეთო სიკეთე"  
პოლიტიკური მიმართულება: ცენტრისტული საპროგრამო პრიორიტეტები:  
ეკონომიკა: ადგილობრივი ეკონომიკის აღორძინება უცხოური ინვესტიციების მოზიდვით. რეალური პრივატიზაციების ჩატარება. ეკონომიკური კანონების დაფუძნება. კერძო საკუთრების აღიარება. უცხოელთა და ადგილობრივი ინვესტიციების დაცვა. მრეწველობაში მცირე მრეწველობების გამოყოფა საქართველოსთვის პრიორიტეტებისათვის.  
საგარეო პოლიტიკა: ნეიტრალიტეტი. პრიორიტეტები მჭობელ ქვეყნებთან თანამშრომლური, მისწრაფება

ინტერვიუ

ევროკავშირისაკენ, ინტეგრაცია ევროპაში.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული (რეგიონალური ასიმეტრია, აჭარის, აფხაზეთისა და ოსეთის ავტონომიების სხვადასხვა ფორმით)

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო (პრემიერ მინისტრი საჭირო არ არის. პრეზიდენტის გუნდი იგივე მინისტრების გუნდია)

პარტია დაარსდა: 1967 წ., პირველი რეგისტრაცია – 1996 წ., ხელახალი რეგისტრაცია – 1997 წ.

დაარსების ინიციატორები: გვარების დასახელებისაგან თავი შეიკავეს.

ორგანიზაციული სტრუქტურა: კრება (მოიწვევა წელიწადში ერთხელ) – საბჭო (ირჩევა 2 წლით - 17 წევრი: ზ. მურვანიძე – თავმჯდომარე, თ. ნილოსანი, გ. რამიშვილი – მოადგილეები, ი. ნინუა - მდივანი) – თავმჯდომარე - ზ. მურვანიძე (ფარული კენჭისყრით ირჩევა 2 წლით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.) – გაფართოებული საბჭო (შედიან ადგილობრივი საბჭოებიც, 27 წევრი).

წევრთა რაოდენობა: 1000-ზე მეტი, აქტიური - 100-150.

10 რეგიონალური ორგანიზაცია და რაიონული ორგანიზაციები.

ბეჭდვითი ორგანო: "სიტყვა". დაარსდა 1997 წ., ჩამოყალიბების სტადიაშია, ტირაჟი - 499, ფასი - 10 თეთრი.

1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიასთან, მიიღო ხმების 1%, პარლამენტში ჰყავდა 1 წარმომადგენელი ბლოკიდან საკომპენსაციო სიით.

1992 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს კონსტიტუციის შექმნა, სწორი პრივატიზაციის განხორციელება.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "ეკონომიკური აღორძინება - ყვითლები", მიიღო ხმების 1%, პარლამენტში წარმომადგენელი არ ჰყავდა.

1995 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს კონსტიტუციის შექმნა, სწორი პრივატიზაციის განხორციელება.

1991 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს არავის უჭერდა.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია აცხადებდა ნეიტრალიტეტს.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, რადგან პოლიტიკური კურსი არ არსებობს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდამჭერთა ხელმოწერები.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: შესრულებადი კანონების შექმნა. პარტიას აქვს გამზადებული კანონპროექტები მენარმოების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური საკითხების, ჯარის, დედათა და ბავშვთა დაცვის, თავდაცვის შესახებ.

მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ., 6, ბინა 33.

ტელ.: 39 65 18; 37 54 20.

საკონტაქტო პირები: ზ. მურვანიძე, თ. ნილოსანი, გ. რამიშვილი, ი. ნინუა.

### 37. ბლოკი "კოპენისტაჰი - სტალინელი"

პარტია "სტალინელი" ინფორმაცია არ მოგვანოდეს საქართველოს კომუნისტური პარტია (სკპ)

### საპარამელოს კოპენისტური პარტია (სკპ)

დევიზი: 1. "თანამებამაჟუნო, შეერთდით!" 2. "უკან მომავლისაკენ!"

პოლიტიკური მიმართულება: მემარცხენე

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: ცენტრალიზებული ეკონომიკა და ცენტრალიზებული ეროვნული საფინანსო პო-



**პარტიის ლიდერი  
გიორგი ნიკაია**

დაიბადა 1953 წ. დუშეთის რ-ის სოფ. დოლისქედში, პოლიტეკონომისტი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1982-1986 წ.წ. — სპი პოლიტეკონომიის კათედრა, მასწავლებელი. 1986-1989 წ.წ. — ეკონომიკის მართვისა და დაგეგმვის კვლევითი ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ მუშაკი, სექტორის გამგე. 1998 წ. აირჩიეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ს პირველ მდივანად. 1990 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი და პოლიტიკური ორგანიზაცია "სტალინის" პარტიული სიით (არჩევნების წინა დღეს უკანონოდ მოიხსნა არჩევნებიდან). 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი და "საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტიის" პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი და საქართველოს კომპარტიის პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე, ასია ნიკლაური და 2 შვილი. მისამართი: თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქ., 16/26, ტელ.: 53 25 17

ლიტიკა. მიზნობრივი შეფერებით ცენტრალზეული ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება. საგარეო პოლიტიკა: მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, აგრეთვე სხვა ქვეყნებთან ურთიერთ სასარგებლო საფუძვლებზე.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული (საქართველოს ტერიტორიული მოწყობა უნდა განხორციელდეს საქართველოს 1921-1937-1978 და 1991 წლების კონსტიტუციების საფუძველზე).

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო პარტია დაარსდა 1992 წ., პირველი რეგისტრაცია: 1994 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: ივანე ნიკლაური, შალვა ბერიანიძე, ედიშერ ოქრუაშვილი, ზურაბ ქველიძე და სხვა 101 პიროვნება.

პარტია არის 1920 წელს დაარსებული საქართველოს კომუნისტური პარტიის სამართალმემკვიდრე. 1991 წ. საქ. კომუნისტური პარტიის ავრძალვის შემდეგ კომუნისტთა გარკვეულმა ჯგუფმა იატაკქვეშა მუშაობის შემდეგ შექმნა ი. ნიკლაურის ხელმძღვანელობით "მშრომელთა სოციალისტური პარტია" (1992 წ.), შემდგომ - "მშრომელთა კომუნისტური პარტია" (1995), "საქართველოს კომპარტია" (1994).

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) — სამდივნო (ირჩევა 2 წლით - 5 წევრი: ივანე ნიკლაური - ცკ-ს პირველი მდივანი, ზურაბ ქველიძე - ცკ-ს მდივანი, ჯემალ გლუნჩაძე - ცკ-ს მდივანი, მერაბ ზუბალაშვილი - ცკ-ს მდივანი) - ცკ-ს პირველი მდივანი (ყრილობა ირჩევს 2 წლით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.) - ცკ-ს პლენუმი (ირჩევა 2 წლით - 83 წევრი).

წევრთა რაოდენობა: 15000, აქტიური - 7000.

8 რეგიონალური და 72 რაიონული ორგანიზაცია.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: ალკკ (ახალგაზრდა ლენინელ კომუნისტთა კავშირი), დაარსდა 1995 წ., გაერთიანებულია 3000 წევრი, არის იურიდიული პირი. ლიდერი: ეკა ნასყიდაშვილი. მისამართი: თბილისი, მონტინის ქ., 2, ტელ.: 95 62 86.

ბექაძეთი ორგანო: "კომუნისტი - XXI", დაფუძნდა 1999 წ., გამოდის კვირაში ერთხელ, ტირაჟი - 3000, ფასი - 30 თეთრი.

1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, ჰყავდა 4 წარმომადგენელი პარლამენტში.

1992 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: სოციალისტური წყობის საფუძვლების შენარჩუნება. მოსახლეობის სოციალური დაცვა მომავალი კატაკლიზმებისაგან.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად მიიღო ხმების 3%, პარლამენტში წარმომადგენელი არ ჰყავდა.

1995 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: ცენტრალზეული სახელმწიფო მართვადი ეკონომიკა, მინა სახალხო, ანუ სახელმწიფო. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული, ეკონომიკურ-პოლიტიკური კავშირები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან.



1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში პარტია არ მონაწილეობდა, რადგან: 1. საქართველოს კონსტიტუციით არ იყო განსაზღვრული საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა 2. მოსახლეობის აღწერა არ მომხდარა ბოლო წლებში 3. არჩევნებში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობა არ იღებდა მონაწილეობას.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს უჭერდა ედუარდ შევარდნაძეს.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს არასწორი და მიუღებელი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკისა და აგრეთვე არაეროვნული საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამო.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდამჭერთა ხელმოწერები, რწმუნებული - ბადრი მეგრელიშვილი.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: 1. საქართველოს აღორძინებისათვის აუცილებელია სოციალისტური წყობის საფუძვლების აღდგენა - განვითარება. სოციალისტური დემოკრატიის, ანუ სახელმწიფო მმართველობის ე.ი. ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების განხორციელება, რომლის დროსაც უმაღლესი ხელისუფლება მშრომელ ხალხს ეკუთვნის. 2. ცენტრალიზებული ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებით ფაბრიკა-ქარხნების ამოქმედება, სოფლად კოოპერაციულ სანარმოთა შექმნა, რის საფუძველზეც ეტაპობრივად უზრუნველდება შექმნილი და საბოლოოდ აღმოფხვრა. ხელფასების, პენსიების და სხვა სოციალური დახმარების განხორციელება. 3. საქართველოს მშრომელთა მიერ წარმოებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვა-დამზადება შემდგომი რეალიზაციისათვის. ეს მშრომელებს საშუალებას მისცემს შემდგომი შრომის პროცესი დროულად უზრუნველყონ ფინანსურად და მატერიალურად. 4. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა პოლიტიკური გზებით.

მისამართი თბილისი, წერეთლის გამზ., 144,

ტელ.: 34 07 09.

საკონტაქტო პირი: ედიშერ ოქრუაშვილი - საერთო განყოფილების გამგე.

### 39. გლოქი “საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია”

*საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია (სეეპ)*

*საქართველოს მთიელთა პოლიტიკური ლიგა (სმპლ)*

### საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია (სეეპ)

დევიზი: “კადრები წყვეტენ ყველაფერს”

პოლიტიკური მიმართულება: მემარცხენე-ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: საბაზრო ეკონომიკის იდეოლოგიის ფორმირება.

საგარეო პოლიტიკა: საქართველოს ნეიტრალიტეტის მიღწევა.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: ფედერალური

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპარლამენტო

პარტია დაარსდა: 1988 წ., პირველი რეგისტრაცია – 1990 წ., ხელახალი რეგისტრაცია – 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: გიორგი ჭინჭარაული.

პარტია არის საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორობის პარტიის სამართალმემკვიდრე.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) – გამგეობა (ირჩევა 4 წლით - 9 წევრი: გიორგი ჭინჭარაული – თავმჯდომარე, სოლომონ გახოური, ზაქრო მახანაშვილი, დემურ ხურცილავა, ხათუნა ჯაჭვაძე, ირაკლი არაბული და სხვ.) – პრეზიდიუმი (ირჩევა 4 წლით - 3 წევრი) – თავმჯდომარე (გამგეობის სხდომაზე ირჩევენ



**პარტიის ლიდერი  
გიორგი  
ჭინჭარაული**

დაიბადა 1947 წ., თიანეთის რ-ნის სოფ. საჭურე, ეკონომისტი, პროფესორი. 1971 წ. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1993 წლიდან დღემდე - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი. 1988 წლიდან დღემდე არის საქართველოს მთიელთა საზოგადოების თავმჯდომარე. 1990 წლიდან დღემდე არის ეროვნული ერთიანობის პარტიის თავმჯდომარე. 1990 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა ბლოკის "საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა კავშირი" პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა ბლოკის "საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა კავშირი" პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. 1992-1995 წ. იყო ფრაქცია "ზორჯღალის" თავმჯდომარე, აგრეთვე იურიდიული და საფინანსო კომისიების წევრი. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაფორტიარი და პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ., 37, კ.ა/61, ტელ.: 29 46 51.

4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).  
წევრთა რაოდენობა: 10000, აქტიური - 500.  
64 რაიონული ორგანიზაცია.  
ახალგაზრდული ორგანიზაცია: საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია. დაარსდა 1990 წ., გაერთიანებულია 1000 წევრი, არ არის იურიდიული პირი. ლიდერი - ნათია ნინიშვილი. მისამართი: თბილისი, ბალანჩივაძის ქ., 5 კორპ.  
ბექდევითი ორგანო: გამეფი "ზორჯღალი". დაარსდა 1990 წ., ტირაჟი - 500.  
1990 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა კავშირი", პარლამენტში წარმომადგენელი არ ჰყავდა.  
1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა კავშირი", პარტიიდან ჰყავდა 1 წარმომადგენელი პარლამენტში (პარტიული სიით).  
1992 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცება, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა.  
1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 1%, პარლამენტში წარმომადგენელი არ ჰყავდა.  
1995 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: სამართლიანი კანონმდებლობის შექმნა.  
1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობდა ბლოკში "საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია".  
პარტია არ უჭერს მხარს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს ხელისუფლების კორუმპირებულობისა და არასწორი სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკის გამო.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი - რამიზ ბაქიროვი, რწმუნებული - ნათია ნინიშვილი.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: იმ პირობებში, როცა ქვეყანას არ გააჩნია არც ერთი სახელმწიფო ნიშანი ნორმალურ მდგომარეობაში, ჩვენი პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა: კორუმპირებული ხელისუფლების შეცვლა, სამართლიანი კანონმდებლობის მიღება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, გადასახადების აკრეფა, რომ საზოგადოების კეთილდღეობა ამაღლდეს.

მისამართი: თბილისი, ბალანჩივაძის ქ., კორპ. 5.

ტელ.: 93 65 57; 29 46 51.

### საპარტიო პოლიტიკური ლიბა (სპპლ)

დევიზი: "ეროვნული ერთიანობა"

პოლიტიკური მიმართულება: ცენტრისტული

პარტიის საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: ეროვნული მრეწველობის განვითარება საკუთარ აგრარულ სახელეულო ბაზაზე.

საგარეო პოლიტიკა: საქართველოს სახელმწიფო ნეიტრალიტეტის მიღწევა და თანასწორუფლებიანი ურთიერთობა.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: ფედერალური

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპარლამენტო პარტია დაარსდა 1988 წ., პირველი რეგისტრაცია - 1990 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: ს. გოგოჭური, პ. ფირანცივილი.

პარტია არის საქართველოს მთიელთა პოლიტიკური კავშირის სამართალმემკვიდრე.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 4 წლით - 11 წევრი: გელა ფიცხელაური - თავმჯდომარე, ვიქტორ ზვიადაური, ეთერ ნაზლაიძე, სულხან იაშვილი, ლეილა დაუშვილი, თამაზ ნიკლაური, ჯემალ ჯალიაშვილი, გიორგი ხახიაური, დარეჯან ქარსელაძე, ვაჟა აფციაური, ლაშა გუგუშაშვილი) - თავმჯდომარე (გამგეობა ირჩევს 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).

წევრთა რაოდენობა: 5000, აქტიური - 1500.

30 რაიონული ორგანიზაცია.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: საქართველოს მთიელთა ახალგაზრდული ლიგა, დაარსდა 1990 წ., გაერთიანებულია 600 წევრი, არ არის იურიდიული პირი. ლიდერი:

ლაშა გუგუშაშვილი. მისამართი: თბილისი, ბალანჩივაძის ქ., 5

1990 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ეროვნული ერთიანობის პარტიასთან ერთად. არჩევნებიდან მოიხსნა დაუსაბუთებლად.

1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში ეროვნული ერთიანობის პარტიასთან, მიიღო ხმების 2%. პარლამენტში ჰყავდა 1 წარმომადგენელი ბლოკიდან.

1992 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საბაზრო ეკონომიკის ფორმირება, სამართლიანი სახელმწიფოს შექმნა. მოსახლეობის სოციალური დაცვა.

1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში პარტია მონაწილეობდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად, არჩევნებიდან მოიხსნა დაუსაბუთებლად.

1991 წ. და 1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია არ უჭერდა მხარს არცერთ კანდიდატს.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეალობიდან გამომდინარე.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი - ალექსანდრე ჯიბლაძე, რწმუნებული - ნათია ნინიაშვილი.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: სამართლიანი სახელმწიფოს შექმნა. საბაზრო ეკონომიკის იდეოლოგიის დამკვიდრება. მოსახლეობის სოციალური დაცვის გაზრდა. ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორუფლებიანობის განსორციელება.

მისამართი: თბილისი, ბალანჩივაძის ქ., 5,

### პარტიის ლიდერი

**გელა ფიცხელაური** დაიბადა 1947 წ., ყაზბეგის რ-ნის სოფ. დარიალში, ეკონომისტი. 1976 წ. დაამთავრა სპი სამრეწველო სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტი, ხოლო 1999 წ. - თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1975-1981 წ.წ. - 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომი, ინჟინერი. 1981-1986 წ.წ. - 26 კომისრის რაიონის სარემონტო-სამშენებლოს სამმართველო, მთავარი ინჟინერი. 1986-1993 წ.წ. - თბილისის კაპიტალური მშენებლობის სამმართველო, უფროსი ინჟინერი. 1994-1998 წ.წ. - მთაწმინდის რ-ნის სოცდამზღვევის ფონდი, რწმუნებული. 1998 წლიდან დღემდე - მთაწმინდის რ-ნის საგადასახადო ინსპექცია, ინსპექტორი. 1998 წლიდან არის მთიელთა პოლიტიკური ლიგის თავმჯდომარე. ჰყავს მეუღლე, ლალი მუჩიაშვილი და 3 შვილი. მისამართი: თბილისი, ვაზისუბანი, მე-4 მ/რ, მე-2 კვ., 10 კორპ., ბინა 48. ტელ.: 79 97 06

### 40. გლოქი "მგვავალი მგვილა - თავისუფალი საქართველო"

საქართველოს "ჰელსინკის კავშირი - ეროვნული ალორძინება"

საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია (სქკპ)

საქართველოს სამეფო ლიგა (სსლ)

საქართველოს ქრისტიანულ-სოციალური კავშირი

სახალხო-დემოკრატიული კავშირი - ქრისტიან-დემოკრატები (სდკ-ქდ)

"სრულიად საქართველოს წმიდა ილია მართლის საზოგადოება"

("წმიდა ილია მართალი")

### საქართველოს "პელსინკის კავშირი - ეროვნული ალორძინება"



**პარტინს ლიდარი  
თენგიზ  
კიკაჩიანიშვილი**

დაიბადა 1940 წ., თბილისში, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1964 წ. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1987 წლიდან დღემდე - თსუ, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე. 1989-1991 წ.წ. იყო საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის წევრი. 1992-1995 წ.წ. იყო ეროვნულ-ლიბერალური პარტიის გამგეობის წევრი. 1993-1997 წ.წ. იყო "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" - ვიცე-საკვირი. 1997 წ. აირჩიეს საქართველოს "ჰელსინკის კავშირი - ეროვნული ალორძინებას" თავმჯდომარედ. 1990 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი და საქართველოს სახალხო ფრონტის პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მუღღლე, ჯილდა ამირანაშვილი და 1 შვილი. მისამართი: თბილისი, დოლიძის ქ., მე-17 კორპ., ბინა 31. ტელ.: 33 47 19.

დევიზი: "ადამიანის უღლებათა დაცვის გზით დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს ალორძინებისაკენ" პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე პარტიის საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: კერძო სავაჭროება კერძო მესავაჭრობის ინიციატივით და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკით.

საგარეო პოლიტიკა: დასავლეთზე ორიენტირებული "კავკასიური სახლი" უნიტარული სახელმწიფო.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო

პარტია 1976 წლიდან არის "საერთაშორისო ამნისტიის" (ცენტრი - ლონდონში) წევრი, 1990 წლიდან არის

"ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ასოციაციის" (მაინის ფრანკფურტი) ასოცირებული წევრი.

პარტია დაარსდა - 1976 წ., პირველი რეგისტრაცია - 1990 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 4 წლით - 5-7 წევრი: თენგიზ კიკაჩიანიშვილი - თავმჯდომარე, ცენტრალური გამგეობის წევრები: სუკრი ბაღდავაძე, ილარიონ მირონოვაძე, თორნიკე ამაშუკელი, ზურაბ მანჩხაშვილი) - თავმჯდომარე (ყრილობა ირჩევს 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).

წევრთა რაოდენობა: 3500, აქტიური - 1500.

12 რეგიონალური და 50 რაიონული ორგანიზაცია.

ბუქტეფითი ორგანო: "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო", დაარსდა 1997 წ., ფასი - 40 თეთრი.

პარტია მონაწილეობდა ბლოკში "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო", ბლოკმა მიიღო ხმების 54%. პარტიას ჰყავდა 14 წარმომადგენელი პარლამენტში: 9 - პარტიული სიით, 5 - მაჟორიტარი.

1990 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო", ბლოკმა მიიღო ხმების 54%. პარტიას ჰყავდა 14 წარმომადგენელი პარლამენტში: 9 - პარტიული სიით, 5 - მაჟორიტარი.

1992 წ. და 1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია არ მონაწილეობდა, გამოაცხადა ბოიკოტი, ეროვნული დაუმორჩილებლობა.

ინტერვიუ

1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში პარტია არ მონაწილეობდა არადემოკრატიული საარჩევნო კანონისა და მმართველობის უზურპაციული ფორმების გამო. 1991 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს უჭერდა ზვიად გამსახურდიას.

1995 წელის საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს არავის უჭერდა. პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდამჭერთა ხელმოწერები, რწმუნებული - ელიზა მესხიშვილი.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: 1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სამართლებრივი გადაწყვეტა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა 2. კორუფციის პრობლემა და მისი გადაწყვეტა სახელმწიფო დონეზე 3. ეროვნულ უმცირესობათა სამართლებრივ - პოლიტიკური გარანტიები 4. ადამიანის უფლებანი და ძირითადი გარანტიები 5. დასავლეთზე ორიენტირებული "კავკასიური სახლი" 6. უნიტარული სახელმწიფოს აღმშენებლობა 7. საქართველოს სრულფასოვანი დამოუკიდებლობის აღდგენა, კანონიერების აღზევება, დემოკრატიული, სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გატარება 8. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, კერძო საკუთრება მინაშე 9. ეროვნულ-ტრადიციული ეკონომიკის თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე მოწყობა და დემოკრატიული მმართველობა გამომდინარე კერძო, სათემო და ეროვნულ ურთიერთობათა სანყისებიდან. 10. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების რეალური გამიჯვნა, პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაცია, აზრთა და პოზიციათა პლურალიზმის რეალური დაშვება, ადმინისტრაციული აპარატის სრული დაქვემდებარება არჩევითი ხელი-სუფლებისადმი.

მისამართი: თბილისი, დოლიძის ქ., მე-17 კორპ., ბინა 31.

ტელ.: 33 47 19, ფაქსი: 33 47 19.

საკონტაქტო პირი: თენგიზ კიკაჩიშვილი - თავმჯდომარე.

### საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია (სქკპ)

დევიზი: "როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა." საპროგრამო პრიორიტეტები:

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე

ეკონომიკა: პარტია იზიარებს დასავლეთის მემარჯვენე მიმართულების პარტიათა ზოგად ეკონომიკურ პრინციპებს. სქკპ-ს გადაუდებლად და აუცილებლად მიაჩნია მოსახლეობის საშუალო ფენაზე ორიენტირებული ერთიანი ფისკალური პოლიტიკის გამოქვეყნება და განხორციელება.

საგარეო პოლიტიკა: საქართველო უნდა ჩამოყალიბდეს ღერძული ტიპის სახელმწიფოდ და მან უნდა შეასრულოს წარმმართველი როლი კავკასიის რეგიონში, რომელიც თანდათან უნდა გარდაიქმნას ევროკავშირის მსგავს გაერთიანებად (საერთო სავალუტო და თავდაცვის სისტემით). სქკპ-ს გადაუდებელ საკითხად მიაჩნია რუსეთის სამხედრო ზავების საქართველოდან გატანის პრინციპული გადაწყვეტა.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული (სქკპ-ს კონფედერალურ-ფედერალურ მოწყობაზე საუბარი გამართლებულად მიაჩნია არა საქართველოს ფარგლებში, არამედ კავკასიის რეგიონის, "კავკასიური სახლის" სუბიექტებს შორის).

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო (სქკპ-ს საუკეთესო მოდელია მიაჩნია საპრეზიდენტო-საპარლამენტო (ე.წ. "ფრანგული") მოდელი).

პარტია დაარსდა: 17.10. 1997 წ., პირველი რეგისტრაცია - 21.11. 1997 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 23.01. 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: შოთა მალაშხია, ბორის ბერულავა, თენგიზ კიკაჩიშვილი, ბორის მუსერიძე.

პარტია ჩამოყალიბდა ათამდე ორგანიზაციის გამაერთიანებელი მოძრაობის - "ეროვნული



სსსის მოძრაობა - წინააღმდეგობის ფრონტის” ბაზაზე, რომელიც 1992 წელს შეიქმნა და ერთი წლის მანძილზე წარმართავდა საქართველოში ჩატარებულ თითქმის ყველა მრავალრიცხოვან, სახალხო მშვიდობიან აქციას, რითაც აქტიურად გამოხატავდა პროტესტს იმ დროს გაბატონებული განუკითხაობისა და საქართველოს ერთიანობისათვის დამლუპველი პოლიტიკის მიმართ.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 3 წელიწადში ერთხელ) - კომიტეტი



**პარტიის ლიდერი  
გიორგი გახიძე**

დაიბადა 1962 წ., თბილისში, ექიმი-ნეიროპოზოლოგი. 1989 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1990-1999 წ.წ. თბილისის მე-2 საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმი-იმუნოლოგი. 1992-1997 წ.წ იყო “ეროვნული სსსის მოძრაობა - წინააღმდეგობის ფრონტის” მთავარი კომიტეტის წევრი. 1997 წლიდან არის პარტიის თავმჯდომარე. შვას მეუღლე, ფატი ანთაძე და 2 შვილი. მისამართი: ქ. თბილისი, ფილიას ქ., 4. ტელ.: 66 39 54

(ირჩევა 3 წლით - 7 წევრი: შოთა მალაშხია - პარტიის თავმჯდომარე, ბორის ბერულავა - ორგანიზაციული სექტორის ხელმძღვანელი, დოდო ნაფცვარიძე - საზოგადოებრივ-სოციალური სექტორი, გიორგი გორაძე - იურისტ-ექსპერტი, გიგა ქვარცხავა - ეკონომიკური სექტორი, ლადო სულაბერიძე - პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობის სექტორი, ავთანდილ ბესელია - პრეს-სამსახურის ხელმძღვანელი) - თავმჯდომარე (ყრილობა ირჩევს 3 წლით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.) - პარტიის კონფერენცია, საკოორდინაციო საბჭო (ირჩევა 3 წლით - 20-25 წევრი) - საფინანსო-საკონტროლო ჯგუფი (ირჩევა 3 წლით - 3 წევრი).

წევრთა რაოდენობა: 1700, აქტიური - 450.

7 რეგიონალური და 20 რაიონული ორგანიზაცია.

1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზების არჩევნებში პარტია არ მონაწილეობდა. ორნიციპულად მიაჩნდათ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზება არჩევნების ჩატარება და მასში მონაწილეობა, როცა კონსტიტუციაში ფაქტობრივად არაფერია ნათქვამი ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ, გაუმართლებელი და ფუჭი საქმიანობაა.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, რადგან პოლიტიკური კურსი იმდენად გამოუკვეთავი, უნიათო და ამორფულია, რომ სინამდვილეში მას არც შეიძლება ეწოდოს “პოლიტიკური კურსი”. დეკლარირებული ევროდასავლური ორიენტაცია, კორუფციასთან ბრძოლა და ა.შ. რეალურად რიტორიკას არ გასცილება.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდამჭერთა ხელმოწერები, რწმუნებული - ჯგუზურ ბლიაძე.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: 1. რეალური მექანიზმის შექმნა ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად (უპირველესად, სამართლებრივი ბაზის მომზადება). 2. კორუფციის კატასტროფული გავრცელების რეალური მიზნების ანალიზი და მათი აღმოფხვრის გზების, კონკრეტული ღონისძიებების დასახვა. 3. მოსახლეობის საშუალო ფენზე ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკის გამოქვეყნება. 4. საქართველოს პოლიტიკური სექტორის (უპირველესად, პარტიათა მმართველი სტრუქტურების) ლუსტრაციის მიღწევა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს პარლამენტის დაცვას უცხოეთის სპეცსამსახურებზე მომუშავე პორთაგან. 5. ხელსაყრელი საგარეო ვითარების გამოყენება საქართველოს ღერძულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის. 6. რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნა-არყოფნის საკითხის პრინციპულად დასმა.

მისამართი: თბილისი, ქობულეთის ქ., 36,

ტელ.: 22 20 94.

საკონტაქტო პირი: მირანდა ქორიძე - სექს-ს პრეს-მდივანი,

საქართველო

ავთო ბესელია - პრეს-სამსახურის ხელმძღვანელი.

**საქართველოს საეჭო ლიბა (სსლ)**

დევიზი: "ღმერთი, მეფე, მამული"  
პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე  
პარტიის საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: საკუთრების მრავალსახეობრივი ფორმების კვიდრება. ტრადიციული სამეურნეო დარგების აღორძინება.

საგარეო პოლიტიკა: ლიბა ქვეყნის საგარეო პოლიტიკას აყალიბებს ეროვნულ ინტერესებსა და სავაჭობრიო ღირებულებებზე და განიხილავს გეოპოლიტიკური თვალსაზრისით.

სახელმწიფო ტერიტორიული მონყობა: უნიტარული სახელმწიფო სისტემის მონყობა: კონსტიტუციური მონარქია

პარტია დაარსდა - 1995 წ., პირველი რეგისტრაცია - 07.11. 1997 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 20.02. 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: 1. საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა და მათ თანამდგომთა (თავად-აზნაურთა) საკრებულო 2. ალექსანდრე ბატონიშვილის საზოგადოება 3. ქართველთა კავშირი "ბოლნური ჯვარი".

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 3 წელნადმი ერთხელ) - საბჭო (ირჩევა 3 წლით - 13 წერი: დავით ფავლენიშვილი - მეურვე, დავით არაბიძე, ზვიად ბატიაშვილი, ნოდარ მოდებაძე, მორის მუსერიძე, ნუგზარ მღვდელაძე, თეიმურაზ ნეფარიძე, მარინე ტატიშვილი, ლალი ფავლენიშვილი, ვიქტორ ფხალაძე, ირაკლი ჩოლოყაშვილი, მია ერისთავი, რუსუდან ერისთავი) - მეურვე (კენჭისყრით ირჩევა 3 წლით, ბოლოს არჩიეს 1997 წ.).

წევრთა რაოდენობა: 1350, აქტიური - 250.

14 რაიონული ორგანიზაცია.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდაჭერთა ხელმწიწრები, რწმუნებული - მორის მუსერიძე.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: 1. მამდილად ეროვნული ხელისუფლების შექმნა 2. ნამდვილად დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო 3. ეკონომიკურად აღორძინებული საქართველო 4. სოციალურად უზრუნველყოფილი საქართველო 5. კულტურულად აღორძინებული საქართველო 6. სარწმუნობრივად ურყევი საქართველო 7. თავისუფალი კავკასიის სახლის თავისუფალი წევრი - საქართველო.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ., 21,

ტელ.: 95 14 98

საკონტაქტო პირი: თინათინ მეიფარიანი - პრეს-ცენტრის მდივანი.

**საქართველოს ქრისტიანულ-სოხიალური კავშირი**

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე-ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: 1. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა როგორც სახელმწიფოს მმართველობის მალალ ეშელონებში, ასევე მრეწველობაში და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში 2. საქართველო უნდა გახდეს მალალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა 3. თა-

სამართლებრივი გარანტიების დამ-



**პარტიის ლიდერი**  
**დავით**  
**ფავლენიშვილი**

დაიბადა 1943 წ. თბილისში, გეოლოგი. 1967 წ. დაამთავრა სპი გეოლოგიური (სამთო) ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1967-1989 წ.წ. საქართველოს გეოლოგიური სამმართველო, მთავარი გეოლოგი. 1998 წ. არჩიეს საქართველოს სამეფო ლიგის მეურვედ. ჰყავს მეუღლე, მერი კალატოზიშვილი და 2 შვილი. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ., 8, ბინა 64. ტელ.: 34 78 35



ვისუფალი საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება 4. მხარს დაუჭერთ ნავთობპროდუქტების წარმოებას, გადამამუშავებას და ტრანზიტს 5. განვითარებთ და რეკონსტრუქციას ჩაუტარებთ ბათუმის, ფოთისა და სოხუმის პორტებს. საგარეო პოლიტიკა: 1. საქართველოს ევროპის სახლში სრული ინტეგრაცია და უახლოეს დროში ევროკავშირში გაერთიანება 2. ვისურვებდით უფრო მჭიდრო კავშირს გერმანიასთან, საფრანგეთთან, აშშ-თან და სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან 3. ვიღვანებთ კავკასიის, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი რეგიონის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის.



**პატისუნი ლიმიძე**  
**პატივსაცემი წევრი**

დაიბადა 1949 წ., ხარაგაულის რ-ის სოფ. წივანში, ეკონომისტი. 1971 წ. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი. საშუალო გამოცდილება: 1982-1986 წ.წ. - ქ. რუსთავის ს/გ "ზოტი", საფინანსო განყოფილების გამგე. 1986-1987 წ.წ. - ქ. რუსთავის გამგეობა, საფინანსო განყოფილების გამგე. 1987-1991 წ.წ. - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საგადასახადო სამმართველოს უფროსი. 1991 წ. - ქ. რუსთავის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებელი. 1992-1998 წ.წ. იყო თავისუფლებისა და ერთიანობის მოძრაობა "ჭყონდიდელის" თავმჯდომარის მოადგილე. 1998 წ. აირჩიეს საქართველოს ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარედ. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, იყო ფრაქციების: "თანმობა" და "კომუნისტი" თავმჯდომარე. ჰყავს მეუღლე, ლალი გონგლიაშვილი და 1 შვილი. მისამართი: რუსთავე, მე-8 მ/რ, 12-31. ტელ.: 15 33 33 მობილური: (899) 56 27 49

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო პარტია დაარსდა: 2.09. 1998 წ., პირველი რეგისტრაცია - 25.09. 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: ავთანდილ ჩიტაძე, ლალი გონგლიაშვილი, ლალი მჭედლიშვილი, მიშა ჭოლოკავა, ანზორ ჯაყელი.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 2 წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 2 წლით - 11 წევრი: ლალი გონგლიაშვილი, ლალი მჭედლიშვილი, გუგული მჭედლიშვილი, ბიძინა მშენიერიძე, ლეილა ბუხრაშვილი, მიშა ჭოლოკავა, ლუდმილა კვეკვიციანი, ჯუმბერ ბლიაძე, მერაბ ქავთარაძე, ლია ბანელაშვილი, ხათუნა წონკოლაური) - თავმჯდომარე (ფარული კენჭისყრით ირჩევენ 2 წლით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.)

წევრთა რაოდენობა: 12300, აქტიური - 160. 8 რაიონული ორგანიზაცია.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: საქართველოს ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ახალგაზრდული ორგანიზაცია. დაარსდა 2.09. 1998 წ., გაერთიანებულია 21 წევრი. არ არის იურიდიული პირი. ლიდერი - ილო ბერუაშვილი.

1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში არ მონაწილეობდა საარჩევნო კანონის არასრულყოფილების გამო.

პარტია დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს მხარს უჭერს ნაწილობრივ, მთლიანად დაუჭერს მხარს თუ იგი ორიენტირებული იქნება დასავლეთზე.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდამჭერთა ხელმოწერები, რწმუნებუ-

ლი - ჯუმბერ ბლიაძე. 1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის ბრძოლა. საქართველოს ევროპის სახლში სრული ინტეგრაცია და უახლოეს დროში საქართველოს ევროკავშირში გაერთიანება. ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ქვეყანას გამოიყვანს ეკონომიკური კრიზისიდან. ქვეყანას უხელმძღვანელებთ ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკით. ყველა ღონეს ვიხმართ, რომ საშუალო ფენა დადგეს ფეხზე. საერთოდ მოსახლეობისათვის ისეთი პირობების შექმნას, რომ მათ დაჩაგრულად კი არ იგრძნონ თავი, არამედ მათ თავისი შრომით თავიც იორჩინონ და

ინტერვიუ



სურვილისამებრ შესძლონ დასვენებაც. ვიღვანებთ მომავალი თაობების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის. საშუალო სკოლაში უფასო სწავლების დაფუძნებისათვის, პარალელურად მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ამაღლებისათვის. პარტია ჩადგება ყველა მოქალაქის სამსახურში, მისი პოლიტიკა მიმართული იქნება მოსახლეობის ყველა ფენისაკენ. პარტია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ქრისტიანული მორალით და ქრისტიანული ღირებულებებით.

მისამართი: რუსთავი, მეგობრობის ქ., 12-1.

ტელ.: 15 33 33, მობილური: (899) 56 27 49.

საკონტაქტო პირი: ავთანდილ ჩიჩაძე - თავმჯდომარე.

### სახალხო-დემოკრატიული კავშირი - ქრისტიან-დემოკრატები (სდკ-ქდ)

დევიზი: "სამშობლო, რწმენა, თავისუფლება"

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე-ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: სოციალური წონასწორობა, რეალურად საშუალო ფენის ჩამოყალიბებისთვის ზრუნვა. კერძო საკუთრება, როგორც პიროვნების თავისუფლების საფუძველი. ქვეყნის საშინაო ბაზრის დაცვა. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პრიორიტეტების განსაზღვრა და სახელმწიფო პროტექციონიზმის პრიორიტეტული მიმართულებების გაძლიერება-აღორძინებისათვის.

საგარეო პოლიტიკა: ევროდასავლური კურსი. თანდათანობით სვლა ევროკავშირისაკენ. ინტეგრაციისა და პარმონიზაციის პროცესის დასაწყისი ევროდასავლეთთან ქვეყნის მიმართულების ყველა სფეროში. მშვიდობიანი კავკასია და საქართველოს ისტორიული ფუნქციის აღდგენა კავკასიაში. თანაბარუფლებიანი პარტნიორული ურთიერთობების განვითარება რუსეთთან.

სახელმწიფო ტერიტორიული მონყობა: ასიმეტრიული ფედერალიზმი

სახელმწიფო სისტემის მონყობა: საპრეზიდენტო (ძლიერი პრეზიდენტი, ძლიერი პარლამენტი, ძლიერი მართლმსაჯულება)

პარტია დაარსდა: 30.08. 1997 წ., პირველი რეგისტრაცია - 1997 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 20.02. 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: ნესტან კირთაძე, დიმიტრი შველიძე, ნუგზარ რეხვიაშვილი, ნოდარ გუგუციაძე.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა წელწინადში ერთხელ) - კომიტეტი (ირჩევა 1 წლით - 9 წევრი: ნესტან (ელისაბედ) კირთაძე - კავშირის თავმჯდომარე, დიმიტრი შველიძე - პოლიტიკური



პარტიის ლიდერი ნესტან კირთაძე

დაიბადა 1960 წ., ქუთაისში, პოლიტიკოსი, ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1980 წ. დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1990 წ. - თსუ ასპირანტურა. 1996 წ. - მასტრისტის საზოგადოებრივი ადმინისტრაციის ვერბული ინსტიტუტის სერტიფიკატის მფლობელი. სამუშაო გამოცდილება: 1981-1987 წ.წ. - ქუთაისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, კათედრის ასისტენტი. 1990-1998 წ.წ. - თსუ პოლიტიკური პარტიების ისტორიის კათედრის მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, 1998-1999 წ.წ. - დოცენტი, 1999 წლიდან დღემდე - თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორი. 1995-1996 წ.წ. იყო მოქალაქეთა კავშირის პოლიტიკური მდივანი. 1997 წლიდან არის სახალხო-დემოკრატიული კავშირი - ქრისტიან-დემოკრატების თავმჯდომარე. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1992-1993 წ.წ. იყო ფრაქცია "ედა"-ს წევრი და 1992-1995 წ.წ. - საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა მოქალაქეთა კავშირის პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1995-1996 წ.წ. იყო ფრაქცია "მოქალაქეს" წევრი, 1996-1999 წ.წ. - ფრაქცია "ამომრჩევლის" (სახელწოდება შემდეგ შეიცვალა "ლეიბორისტით") წევრი, 1995 წლიდან დღემდე - საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი. ჰყავს მეუღლე, ზურაბ რეხვიაშვილი და 1 შვილი. მისამართი: თბილისი, ზუბალაშვილების ქ., 30, ბინა 28. მობილური: (877) 43 24 91

წევრი I

მდივანი, ნუგზარ კობერიძე - თავმჯდომარის მოადგილე, ნუგზარ რეხვიაშვილი - ეროვნულ უმცირესობათა დეპარტამენტის თავმჯდომარე, ხათუნა კობერიძე - ანალიტიკური დეპარტამენტის თავმჯდომარე, ანა ერისთავი - საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარე და სხვ.) — თავმჯდომარე (ყრილობა ირჩევს 3 წლით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).

წევრთა რაოდენობა: 15000, აქტიური - სრულად.

რეგიონალური და რაიონული ორგანიზაციები - მთელს საქართველოში.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: სახალხო-დემოკრატიული ახალგაზრდული კავშირი. დაარსდა 1998 წ., გაერთიანებულია 5000 წევრი, არის იურიდიული პირი. მართავს პოლიტიკური საბჭო. მისამართი: თბილისი, ზუბალაშვილების ქ., 30, ბინა 28. ტელ.: 93 43 74.

ბექდვითი ორგანო: ყურნალი “ანწყო შობილი წარსულისაგან”. დაარსდა 1997 წ., გამოდის წელიწადში ერთხელ, ტირაჟი — 1000, ფასი - სახელმწიფოებრივი. გაზეთი “ულო”, დაარსდა 1997 წ., გამოდის თვეში ერთხელ, ტირაჟი - 5000, ფასი - სახელმწიფოებრივი.

პარტია მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს მკვეთრად გამობატული ევროდასავლური ორიენტაციის, უაღრესად სწორად განსაზღვრული საგარეო პოლიტიკის გამო. პარტია ეკამათება ხელისუფლებას მხოლოდ ხელისუფლების კორუფციის მაღალ ხარისხზე და არასწორ სოციალურ პოლიტიკაზე.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი - ნესტან კირთაძე, რწმუნებული - ხათუნა კობერიძე.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: ქვეყანაში დიდი ეროვნული შერიგების დასაწყისი და კონფორმაციულად დაპირისპირებული ბანაკების მოშლა. ამის გამო კავშირი დაუკავშირდა დამსობილი ეროვნული ხელისუფლების პოლიტიკურ ბლოკს “მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო”. ეს ერთობა შედგა არა ეკლექტიზმის ბაზაზე, არამედ ეროვნული იდეოლოგიისა და ცხოვრების ყველა სფეროს მიმართულებით წარმმართველი ერთობლივი პრინციპებისა და ფასეულობების სისტემაზე, რაც გამოიხატა საერთო პოლიტიკური დოკუმენტის - “ქეგლისდების” შექმნით. მთავარი პროგრამული მიმართულებები განისაზღვრა შემდეგი წარმმართველი პრინციპების ერთობლიობაში: 1. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება 2. სოციალური წონასწორობა 3. ეკონომიკური აღორძინება 4. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთიანობა 5. ქრისტიანული სულიერება და ტოლერანტობა 6. ევროდასავლური ორიენტაცია და უნივერსალური ევროპეიზმი. ყველა წარმმართველი პრინციპი ახსნილია მეცნიერულად და დასაბუთებულია პროგრამულად. მეტიც, პირველად ქართული პოლიტიკური აზროვნების უახლეს ისტორიაში ჩვენნივე ინიციატივით შეიქმნა “ეროვნული იდეოლოგიის ორიენტაციები”, რომელიც გამოიცა წიგნად.

მისამართი: თბილისი, ზუბალაშვილების ქ., 30, ბინა 28.

ტელ.: 93 43 74; 92 11 69.

საკონტაქტო პირი: ხათუნა კობერიძე - კავშირის ანალიტიკური დეპარტამენტის თავმჯდომარე.

## **“სრულიად საქართველოს წმიდა ილია ბარათლის საზოგადოება” (“წმიდა ილია ბარათლი”)**

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე

დევიზი: “მამული, ენა, სარწმუნოება”

პარტიის საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: თავისუფალი.

საგარეო პოლიტიკა: ლოკალური თავისუფალი კავკასიური კონფედერაცია.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო

პარტია დაარსდა 1988 წ. დეკემბერს, პირველი რეგისტრაცია - 1990 წ. სექტემბერს, ხე-

ლახალი რეგისტრაცია - 1998 წ. თებერვალს. დაარსების ინიციატორები: მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 4 წლით. წევრები: ვახტანგ ცაგარეიშვილი - თავმჯდომარე, ზურაბ ცხადაძე, კახა ჭანტურია, ამირან ფირცხალავა, ქეთევან აბდალაძე) - თავმჯდომარე (ირჩევა 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).

წევრთა რაოდენობა: 1400, აქტიური - 200.

17 რაიონული ორგანიზაცია.

1990 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "მრგვალი მაგიდა - თვისუფალი საქართველო", ბლოკმა მიიღო ხმების 54%, პარლამენტში პარტიას ჰყავდა 15 წარმომადგენელი პარტიული სიით.

1990 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს დამოუკიდებლობა, საქართველოს ტერიტორიიდან სსრკ ჯარების გაყვანა, დამოუკიდებელი პოლიტიკისა და ეკონომიკის შექმნა.

1992 წ. და 1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია არ მონაწილეობდა, გამოაცხადა ბოიკოტი.

1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში პარტია არ მონაწილეობდა, რადგან ამ არჩევნებს არც პოლიტიკური, არც არანაირი შინაარსი არ ჰქონდა.

1991 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს უჭერდა ზვიად გამსახურდიას.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს არავის უჭერდა.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, რადგან ხელისუფლება არის ანტიხალხური, ანტიეროვნული, ადამიანის უფლებები მხოლოდ სასპეკულაციოდ გამოიყენება, უმარტივესი სიცოცხლისა და შრომის უფლება არის ხელყოფილი, ანუ ადამიანი რომელიც ავად გახდება, მას გადაარჩენის არანაირი გარანტია არ გააჩნია მყურნალობის თვალსაზრისით, ვინც მუშაობს, მას არავითარი გარანტია არა აქვს, რომ ხელფასს მიიღებს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდამჭერთა ხელმოწერები, რწმუნებული - ბლოკის რწმუნებული - ჯუმბერ ბლიაძე.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნა და ფაქტობრივი რეალიზაცია. ელემენტარული ადამიანის უფლებების რეანიმაცია. სახელმწიფოს ძირითადი პარამეტრების ჩამოყალიბება და ქვეყნის გადაქცევა ლერძული ტიპის სახელმწიფოდ.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ., 50.

ტელ.: 92 03 18.

საკონტაქტო პირი: ვახტანგ ცაგარეიშვილი, ზურაბ ცხადაძე.

**პარტიის ლიდერი**

**ვახტანგ ცაგარეიშვილი** დაიბადა 1943 წ., ზესტაფონში, მათემატიკოსი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1970-1978 წ.წ. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტი, ლაბორანტი, შემდეგ - უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი. 1978-1994 წ.წ. თსუ, ზოგადი მათემატიკის კათედრის დოცენტი. 1988-1990 წ.წ. იყო ეროვნული სამართლიანობის კავშირის აღმსარებლობის კომისიის თავმჯდომარე. 1989-1990 წ.წ. - რესპუბლიკური ფედერალური პარტიის თავმჯდომარე. 1990-1997 წ.წ. იყო სრულიად საქართველოს "წმიდა ილია მართლის საზოგადოების" გამგეობის წევრი, 1997 წ. აირჩიეს გამგეობის თავმჯდომარედ. 1990 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი და "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი. 1991 წლიდან ფრაქცია "უმრავლესობის" წევრი. 1990 წლიდან - აღმსარებლობის ქვეკომისიის კომიტეტის თავმჯდომარე. ჰყავს 3 შვილი. მისამართი: თბილისი, იაშვილის ქ., 13. ტელ.: 92 03 18

**41. პოლიტიკური მოქარაზა "საპარამელოს გალი"**

დევნი: "ენა, მამული, სარწმუნოება", ეროვნული ეკონომიკის, მინათმოქმედების ქართული

საქართველო

**პარტიის ლიდერი**

**თიანე მდინარაძე** დაიბადა 1946 წ., თბილისში, ინჟინერტექნოლოგი, პროფესორი. 1971 წ. დაათავრა ოდესის ლომონოსოვის სახ. ტექნოლოგიური ინსტიტუტის ხორცისა და რძის მრეწველობის ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1971-1973 წ.წ. და 1976-1977 წ.წ. ხორცის და რძის მრეწველობის შრომის მცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის ცენტრი, უფროსი ინჟინერტექნოლოგი. 1973-1976 წ.წ. სპ. სამცხე-ჯავახეთის ინსტიტუტის ასპირანტი. 1977-1980 წ.წ. — რესპუბლიკური გაერთიანება "თბილისორცის" მთავარი ტექნოლოგი. 1981 წლიდან არის უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიური ცენტრის გამგე. 1995 წ. აირჩიეს პოლიტიკური მოძრაობა "საქართველოს ბედის" თავმჯდომარედ. 1990 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა "მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1990-1991 წ.წ. იყო აგრარული კომისიის წევრი. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა "მამულის აღორძინების საზოგადოების" პარტიული სიით, 1992 წ. იყო ფრაქცია "აღორძინების" ხელმძღვანელი, აგრარული კომისიის წევრი. ჰყავს მეუღლე, ჟუჟუა მდინარაძე და 2 შვილი. მისამართი: თბილისი, ალ. დოშვას ქ., 15. ტელ: 98 62 65; 38 54 43

ცხოვრების წესის აღდგენა — ეს არის "საქართველოს ბედი"

პოლიტიკური მიმართულება: მხოლოდ ეროვნული, ანუ ქართული ცხოვრების წესის აღდგენის მიმართულება

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნა, სადაც აღდგება ქართული ცხოვრების წესი, სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ეროვნული ეკონომიკის აღორძინება..

საგარეო პოლიტიკა: საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელი და მშვიდობის მედიატორი ყველა რელიგიის მიმდევრებისა და სახელმწიფოთა შორის.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: ქართული ცხოვრების წესით საქართველო დაყოფილი იყო ბუნებრივ სამეურნეო არეებად ან მხარეებად. ყოველი მხარე დამოუკიდებელი იყო თავის მოქმედებაში და საქართველოს კი აერთიანებდა ტრადიციული ეროვნული ეკონომიკა და მარადიული კონსტიტუცია — ენა ქართული.

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: აბსოლუტური მონარქია (ყოველი კონსტიტუცია შექმნილია იმიტომ, რომ ადამიანი დაციდეს უფლის მცნებებს).

პარტია დაარსდა 1995 წ., პირველი რეგისტრაცია - 1995 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: თ. მდინარაძე, ვ. ბოჭორიშვილი, მ. მაჭავარიანი, ე. ჯავახიძე.

პარტია არის "მამულის აღორძინების საზოგადოების" სამართალმემკვიდრე, რომელიც გაუქმდა პარტიის თავმჯდომარის, თემურ მდინარაძის მიერ პარლამენტის მიტოვების გამო.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 4 წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 4 წლით - 5 წევრი: თემურ მდინარაძე - თავმჯდომარე, ზაურ ბედიანი - თანათავმჯდომარე, დალი ტურაშვილი - პოლიტიკური მდივანი, ედუარდ ცირემუა, ინგა გოგიაშვილი) - თავმჯდომარე (ირჩევა გამგეობის მიერ 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.). წევრთა რაოდენობა: 1500, აქტიური - 300.

აქვს რეგიონალური და რაიონული ორგანიზაციები.

1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობდა "მამულის აღორძინების საზოგადოება". პარლამენტში ჰყავდა 1 წარმომადგენელი, რომელიც გავიდა საკომუნისტური სიით.

1992 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: იყო იგივე, რაც პარტიას აქვს დღეს.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში არ მონაწილეობდა, რადგან ვერ მოხერხდა ეროვნული ძალების გაერთიანება.

1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში არ მონაწილეობდა, რადგან ამ არჩევნებში ხელი შეუწყო ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართულ მოვლენებს.

1991 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს უჭერდა ზვიად გამსახურდიას.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია არავის უჭერდა მხარს.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს ანტიეროვნულ-პოლიტიკის გამო. დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა არის საქართველოს გაყიდვის და დაქუცმაცების პოლიტიკა.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდაჭერა ხელმოწერები, რწმუნებული – დალი ტურაშვილი.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნა. მხოლოდ და მხოლოდ ტრადიციული ქართული ცხოვრების წესი. სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ეროვნული ეკონომიკის აღორძინება. მიწა არ უნდა გაიყიდოს, მიწათმოქმედების ქართული ცხოვრების წესი უნდა აღსდგეს. საქართველო უნდა იყოს მშვიდობის მედიატორი ყველა რელიგიის მიმდევრებისა და სახელმწიფოთა შორის. ქართული ცხოვრების წესით ყველა ერთი თანასწორუფლებიანია ყველა საკითხში. ქართული ცხოვრების წესით საქართველო დაყოფილი იყო ბუნებრივ სამეურნეო არეებად ან მხარეებად. ყოველი მხარე დამოუკიდებელი იყო თავის მოქმედებაში და საქართველოს კი აერთიანებდა ტრადიციული ეროვნული ეკონომიკა და მარადიული კონსტიტუცია – ენა ქართული. აბსოლუტური მონარქია: ყოველი კონსტიტუცია შექმნილია იმიტომ, რომ ადამიანი დაცვიდეს უფლის მცნებებს.

მისამართი: თბილისი, ალ. დიუმას ქ., 15,

ტელ.: 98 62 65; 38 54 43

საკონტაქტო პირი: დალი ტურაშვილი – პოლიტიკური მდივანი.

## 42. საქართველოს ინტელექტუალთა ლიგა (სილ)

დევიზი: “ინტელექტუალური აზროვნება გადაარჩენს საქართველოს”

პოლიტიკური მიმართულება: მემარცხენე-ცენტრისტული

პარტიის საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: უნდა დაჩქარდეს პრივატიზაცია, ფულადსაყრდითო პოლიტიკის სრულყოფა, ფასების ლიბერალიზაცია, საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებთან ახლო თანამშრომლობა.

საგარეო პოლიტიკა: სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყნის საშინაო სტაბილობის მიღწევა, კრიმინალური ვითარების მოგვარება და საერთაშორისო ორგანიზაციების უფლებამოსილებათა გაფართოება.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: ფედერალური

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო

პარტია დაარსდა 1995 წ., პირველი რეგისტრაცია – 1995 წ. ივნისს, ხელახალი რეგისტრაცია – 1998 წ. თებერვალს.

დაარსების ინიციატორები: ირაკლი ლომთაძე, დემურ ბაშელეიშვილი, გიგო კანდელაკი, გურამ მანჯგალაძე, თორნიკე გოცირიძე, გიორგი ჯავახრიძე, არჩილ მალაფერიძე, კუკური თავართქილაძე.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) - საბჭო (ირჩევა 2 წლით - 15 წევრი: ირაკლი ლომთაძე – თავმჯდომარე, დემურ ბაშელეიშვილი - გენერალური მდივანი, წევრები: გიგო კანდელაკი, გურამ მანჯგალაძე, გიორგი ჯავახრიძე, კუკური თავართქილაძე) - თავმჯდომარე (ფარული კენჭისყრით ირჩევა 3 წლით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).



**პარტიის ლიდერი**  
**ირაკლი ლომთაძე**

დაიბადა 1948 წ., ამბროლაურის რ-ნის სოფ. ხვანჭკარაში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი. 1977 წ. დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი. 1998 წ. აირჩიეს საქართველოს ინტელექტუალთა ლიგის თავმჯდომარედ. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი და პარტიული სით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე, მარინა სარჯველაძე და 2 შვილი.

მისამართი: თბილისი, ვაჟისუბნის მე-4 მ/რ, მე-3 კორპ. ბინა 43.  
ტელ.: 75 86 86

წევრთა რაოდენობა: 3500, აქტიური - 3000.

2 რეგიონალური და 6 რაიონული ორგანიზაცია.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 2%. პარლამენტში ჰყავდა 1 წარმომადგენელი.

1995 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: ეროვნული და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. სულიერებისა და ზნეობის დაპყვიადრება.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს უჭერდა ედუარდ შევარდნაძეს.

პარტია მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი - ალექსანდრე ჯიქია, რწმუნებული - გიორგი ქორიძე.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: ეროვნული და ტერიტორიული მთლიანობის, სულიერებისა და ზნეობის აღდგენა, რელიგიური რწმენის განმტკიცება, სამშობლოს სიყვარული, ჭეშმარიტი მამულიშვილობა, ერის გამთლიანება, ქვეყანაში წესრიგის დამყარება და კანონის უზენაესობა, ბრძოლა კორუფციასთან, რეკეტთან, მავიოზურ კლანებთან. პარტია მხარს უჭერს პროგრესულ ეროვნულ ძალებს, რომლებსაც სურთ მშვიდობიანი გზით საქართველოს მთლიანობის აღდგენა. მხარს უჭერს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, გმობს ყოველგვარ ძალადობას.

მისამართი: თბილისი, ჯიქიას ქ., 3.

ტელ.: 32 14 73.

საკონტაქტო პირი: თემურ ვაჩაძე - პარტიის მდივანი.

### 43. საქართველოს ნაციონალისტური პარტია (სნპ)

დევიზი: "ერი და მამული"

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე დასავლური ორიენტაციის

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: სნპ მომხრეა საკუთრების ყველა ფორმის არსებობის. კერძო და სახელმწიფო საკუთრების თანაფარდობა შექმნის სოციალური სტაბილურობის გარანტიებს. წერილი და სამუშაო ბიზნესის განვითარება გააძლიერებს კერძო საკუთრების არსებობას, რაც გახდება გარანტი სახელმწიფოსათვის ესოდენ საჭირო - საშუალო ფენის შექმნას, ჩამოყალიბებას.

საგარეო პოლიტიკა: გაერთიანება ყველა ევროპულ სტრუქტურაში. დსთ-დან გამოსვლა და შესვლა "ნატო"-ში. რუსეთის გავლენის შემცირება. სნპ-ს პრინციპია: ვინც ფლობს საქართველოს, ფლობს კავკასიას, ვინც ფლობს კავკასიას, ის აკონტროლებს ახლო აღმოსავლეთსა და აზიას.

სახელმწიფო ტერიტორიული მონაცობა: უნიტარული (სადაც არც ერთ რეგიონს არ ექნება სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. საჭიროა ადმინისტრაციული ერთეულების გაერთიანება)

სახელმწიფო სისტემის მონაცობა: ამ ეტაპზე, ანუ გარდამავალ პერიოდში სნპ მომხრეა საპრეზიდენტო სისტემის, საბოლოო ფაზაში კი კონსტიტუციური მონარქიის.

პარტია დაარსდა: 1993 წ., პირველი რეგისტრაცია - 21.04. 1994 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 20.02. 1998 წ.



**პარტიის ლიდერი  
ზაზა ვაშვაშვილი**

დაიბადა 1972 წ., თბილისში, იურისტი. 1996 წ. დაამთავრა მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1996 წლიდან დღემდე - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ადვოკატთა კოლეგიის წევრი, სამგორის რაიონის ადვოკატურის ადვოკატი. 1998 წელს აირჩიეს საქართველოს ნაციონალისტური პარტიის თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე, თიკო გიორგაძე.

მისამართი: თბილისი, ვაზისუბანი, 2

მ/რ, 2 კორპ., ბინა 169,

ტელ.: 75 74 36,

მობილური: (899) 51 74 83

დაარსების ინიციატორები: ზაზა ვაშაყმაძე, გიორგი ჩლაიძე.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 4 წელიწადში ერთხელ) – სათათბირო დარბაზი (ირჩევა 3 წლით - 5 წევრი: ზაზა ვაშაყმაძე - თავმჯდომარე, დავით მელქაძე - თავმჯდომარის მოადგილე, სათათბირო დარბაზის თავმჯდომარე, ლევან ჯაში - პოლიტიკური მდივანი, დავით სეკანია - თავმჯდომარე, ანდრო გაჩეჩილაძე - საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის უფროსი) – თავმჯდომარე (ყრილობა ირჩევს 4 წლით, ბოლოს არჩევს 1998 წ.) – სარევიზიო კომისია (ირჩევა 4 წლით - 4 წევრი).

წევრთა რაოდენობა: 5000, აქტიური – 1000.

15 რაიონული ორგანიზაცია.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: სნპ-ს “ახალგაზრდა ნაციონალისტი”. დაარსდა 1997 წ., გაერთიანებულია 700-750 წევრი, არის იურიდიული პირი, ლიდერი – დავით სეკანია. მისამართი: თბილისი, ანაგის ქ., 7, მე-18 სართ. ტელ.: 95 14 85; 52 10 02.

1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ტრადიციონალისტთა კავშირთან ერთად.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს უჭერდა ავკო ბაქრაძეს.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, რადგან ის არ აცუთებს ან ვერ აცუთებს ქართულ საქმეს. მას არ სჭირდება ჭკვიანი, პატიოსანი და ეროვნული ხალხი მის სამსახურში.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი – გივი ცივაძე, რწმუნებული – ლევან ჯაში.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: ძლიერი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება. დაკარგული ტერიტორიებისათვის ბრძოლა და მისი დაბრუნება. მართლმადიდებლური სარწმუნოების გაძლიერება და ხელშეწყობა. ეროვნების რეკვიზიტის აღდგენა პირადობის მონაწილეობით. მრეწველობის და სოფლის მეურნეობის აღდგენა და განვითარება. საკუთრების ფორმების გაძლიერება. უფასო განათლების და უფასო ჯანდაცვის დანერგვა. ქართული კულტურის განვითარება და პოპულარიზება. მოსახლეობისათვის საარსებო მინიმუმის შექმნა ხელფასისა და პენსიების სახით. სპორტის განვითარება და ხელშეწყობა (განსაკუთრებით ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი და ძალისმიერი სპორტი). ტურიზმის განვითარება თავისი ინფრასტრუქტურით რაც განხორციელდება სანინდარი კაპიტალის საქართველოში შემოსვლის. ადგილობრივი წარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ძლიერი საჯარო, სახმელეთო და საზღვაო ძალების შექმნა და ჩამოყალიბება. სამხედრო-სავალდებულო სამსახურის ერთი წლით დაკანონება. პროფესიული არმიის ჩამოყალიბება კონტრაქტის სახით. რუსეთის გავლენის შემცირება, დსთ-დან გამოსვლა, ნატო-ში გაერთიანება. დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორება ქართველების სასარგებლოდ. ნაციონალური კანონების მიღება და მისი ამოქმედება მთელს ქვეყანაში. ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ. კანონის დიქტატურის დამყარება. გაბერილი ბიუროკრატიული აპარატის შემცირება. სოფელში გლეხობის დაკავება ადგილმზე.

მისამართი: თბილისი, ზაზაშვილის ქ., 1,

ტელ.: 95 14 85; 75 74 36.

საკონტაქტო პირი: ლევან ჯაში.

#### 45. გლოქი “აღორძინებული კომუნისტები და სახალხო პარტიები”

საქართველოს აღორძინებული კომუნისტური პარტია

საქართველოს დემოკრატიული კავშირი

#### საქართველოს აღორძინებული კომუნისტური პარტია

პოლიტიკური მიმართულება: მემარცხენე სოციალისტური

საპროგრამო პრიორიტეტები:



**პარტიის ლიდერი  
შაღვა ბერიანიძე**

დაიბადა 1924 წ., თბილისი, პედაგოგი. დაამთავრა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1948-1951 წ.წ. – კომპაგნიის თბილისის კომიტეტის მდივანი. 1950-1951 წ.წ. – საქართველოს კომპაგნიის თბილისის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. 1951-1961 წ.წ. – თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი. 1965-1970 წ.წ. – საქართველოს კომპარტიის გორის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. 1970-1980 წ.წ. – საქართველოს კომპარტიის ცკ; განყოფილების გამგე. 1997 წ. აირჩიეს საქართველოს აღორძინებული კომუნისტური პარტიის პირველ მდივანად. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, იყო ფრაქციების: "თანხმობა" და "კომუნისტი" თავმჯდომარე. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა საქართველოს კომუნისტური პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე, კლავდია ბერიანიძე და 2 შვილი.  
მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 75.  
ტელ.: 23 21 15

ეკონომიკა: საკუთრების მრავალფეროვნება. სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი სტრატეგიული მიმართულების დარგებში. მინაშე სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო საკუთრების.

საგარეო პოლიტიკა: აქტიური ნეიტრალიტეტი. სახელმწიფო ტერიტორიული მონყობა: ფედერალური, რაიონული დაყოფის პრინციპი.

სახელმწიფო სისტემის მონყობა: სამრეზიდენტო, ამავე დროს ძლიერი აღმასრულებელი ორგანო - მთავრობის კაბინეტი.

პარტია დაარსდა: 1920 წ., პირველი რეგისტრაცია - 1997 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 1998 წ.

პარტია არის 1920 წ. დაარსებული საქართველოს კომუნისტური პარტიის სამართალმემკვიდრე.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) – ცენტრალური კომიტეტი (ირჩევა 2 წლით - 105 წევრი: შაღვა ბერიანიძე - ცკ პირველი მდივანი, ზაქარია მენთეშაშვილი - ცკ მეორე მდივანი, ნანა ანდლულაძე - ცკ მდივანი, ნოე გელაშვილი - თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი, ავაკი ბრეგაძე - ცკ მდივანი, ივლიანე თოდუა - ცკ პარტკონტროლის თავმჯდომარე) - პირველი მდივანი (პლენუმის გადანაცვლებით ირჩევენ 2 წლით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.) - ცენტრალური კომიტეტის ბიურო (ირჩევა 2 წლით - 21 წევრი).

წევრთა რაოდენობა: 17500, აქტიური - 2100.

32 რაიონული ორგანიზაცია.

ბეჭდვითი ორგანო: "ცხოვრება". დაარსდა 1921 წ., ტირაჟი - 500.

პარტია დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს ნაწილობრივ უჭერს მხარს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი – ვახტანგ გოგუაძე,

რწმუნებული - ავაკი ბრეგაძე.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: პარტია არის 1920 წ. შექმნილი საქართველოს კომუნისტური პარტიის მემკვიდრე. იგი თავის წინასაარჩევნო პროგრამას საფუძვლად უდებს განახლებულ პროგრამასა და წესდებას. პარტიას განახლებული აქვს წარსულში არსებული შეცდომები პარტიის საქმიანობაში, მკაცრად აფასებს მას და დღეისადაც ზრუნავს მუშაობის განახლებასა და სრულყოფისათვის. პარტია აღიარებს სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას და მხარს უჭერს სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო საკუთრების დამკვიდრებას. მინა, ტყე, წყალი, წარმოების ძირითადი საშუალებები, სტრატეგიული ობიექტები სახალხო საკუთრებას უნდა შეადგენდეს. მხარს უჭერს რეგულირებად სოციალისტურ საბაზრო ეკონომიკას. პარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს ყველა მოქალაქის შრომითი მონყობა, ხელფასებით ცხოვრების პირობების შექმნა. პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ლტოლვილთა პრობლემების მოგვარება. პარტია დიდ ყურადღებას დაუთმობს კავკასიური პრობლემების გადანყევას, მუზობელ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას და თანამშრომლობას. პარტია მნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნევს ეროვნულ-პატრიოტული სახელმწიფო

ინტერვიუ



იდეოლოგიის ჩამოყალიბებას, ეროვნულობისა და ინტერნაციონალიზმის ორგანულ შესაბამებას, ერთა თანასწორუფლებიანობის, ურთიერთ პატივისცემისა და ურთიერთ დახმარების საფუძველზე. პარტიის უმთავრესი მიზანია დამოუკიდებელი, სოციალურად სამართლებრივი, დემოკრატიული პრინციპების ერთგული სოციალისტური საქართველოს შექნებლობა. მისამართი: თბილისი, თამარაშვილის ქ., 15.

ტელ.: 39 55 86, ფაქსი: 23 21 15.

საკონტაქტო პირი: ზაქარია მენთეშაშვილი – ცკ მეორე მდივანი.

## საპარტიო დემოკრატიული კავშირი

დევიზი: “აყვავილი ტურფა ქვეყანავ, იხარე ივერთ მხარეო”

პოლიტიკური მიმართულება: მემარცხენე-ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: კონცეფცია ეყრდნობა დაბალანსებულ საბაზრო ეკონომიკის ორსექტორიან მოდელს, რომელიც ითვალისწინებს დამსყებ მენარმეთათვის შეღავათების დაწესებას. საჭიროა კიდევ გამაცრდეს ფულად-საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკა, ქვეყანაში შეიქმნეს ალრიცხვისა და ანგარიშების თანამედროვე სისტემა, დამყარდეს საზოგადოებრივი კონტროლი საბიუჯეტო ასიგნებების ხარჯვაში და სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის საქმეები, რაც უძლიერსი იარაღია კორუფციის წინააღმდეგ.

საგარეო პოლიტიკა: კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენა მოსაზღვრე ქვეყნებთან, განსაკუთრებით პოსტსაბჭოურ სივრცეში შექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან. “დასავლეთსა” და “აღმოსავლეთს” შორის მიმდინარე მწვავე პოლიტიკურ ჭიდილს არ უნდა შეენიროს საქართველოს მომავალი.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული, სამხარეო

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპარლამენტო (მთავრობა, რომელსაც დამტკიცებს პარლამენტი თავის პრემიერ მინისტრითა და ვიცე-პრემიერებით. შესაძლებელია პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობაც, მაგრამ არა იმ დონის უფლებებით, რომლებიც მას დღეს აქვს მინიჭებული)

1993 წლიდან პარტია სტუმრის სტატუსით გაერთიანებულია აღმოსავლეთ ევროპის ინტერნაციონალში.

1997 წლიდან პარტია დამფუძნებელია საერთაშორისო გაერთიანებისა “სახალხო-პატრიოტული გაერთიანება”.

პარტია დაარსდა 02.09. 1991 წ., პირველი რეგისტრაცია - 16.01. 1992 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 24.03. 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: თენგიზ აბულაძე, ზურაბ ნერეთელი, ვასტანგ გოგუაძე, ვალერი კვარაცხელია, ავთანდილ მარგიანი, მამუკა გაჩეჩილაძე.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) – მთავარი კომიტეტი (ირჩევა 4 წლით - 17 წევრი: ავთანდილ მარგიანი – თავმჯდომარე, უმანგი ბედიასვილი - თავმჯდომარის მოადგილე) – თავმჯდომარე (ყრილობა ირჩევს 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.)

წევრთა რაოდენობა: 3500, აქტიური – 2800

6 რეგიონალური და 12 რაიონური ორგანიზაცია.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: საქართველოს ახალგაზრდობის დემოკრატიული კავშირი. დაარსდა 1992 წ., გაერთიანებულია 2100 წევრი. ლიდერი – მამუკა გაჩეჩილაძე. მისამართი: თბილისი, სურამის ქ., 9, ტელ.: 95 08 44, ფაქსი: 95 41 23

ბექვდითი ორგანო: “დემოკრატიული საქართველო”, დაარსდა 1992 წ., გამოდის თვეში ერთხელ, ტირაჟი - 2000-მდე, უფასო.

1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში “მშვიდობა”, ბლოკმა



**პარტიის ლიდერი  
აგვაშვიანი  
ლევანი**

დაიბადა 1945 წ., მესტიაში, იმერეთი. დაამთავრა სპი, ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი. არის 1997 წელს შექმნილი სახალხო-პატრიოტული გაერთიანების დამფუძნებელი, აგრეთვე 1993 წ. შექმნილი თურქეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოება "კარადენის" დამფუძნებელი. 1968-1971 წწ. - ლუდის ქარხანა, ბრიგადირი. 1971-1977 წწ. - კომბინატი "ელბრუსი", იმერეთი, შემდეგ მთავარი იმერეთი. 1978-1980 წწ. - ტრანსნავთობის ბაზის უფროსი. 1980-1989 წწ. - კომპარტიის გარდაბნის რაიონის განყოფილების გამგე, რაიონის მდივანი. 1989-1990 წწ. - კომუნისტური პარტიის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. 1990-1991 წწ. - საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი. 1991-1992 წწ. - საქართველოს დემოკრატიული კავშირის თანათავმჯდომარე, 1992 წლიდან - თავმჯდომარე. 1990 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა ოპოზიციურ მაჟორიტარი, გახდა პარლამენტის წევრი. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, იყო ფრაქცია "დემოკრატიული კავშირის" წევრი, 1992-1995 წწ. - საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერი. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე, მარინა დათუკიშვილი და 2 შვილი.

მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, II კვარტ., 15 კორპ., ბ. 9;  
ტელ.: 95 60 34, ფაქსი: 95 60 34

მიიღო ხმების 39%. პარლამენტში პარტიას ჰყავდა 23 წარმომადგენელი პარტიული სიით.

1992 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: ქვეყანაში სტაბილური, მართვის დემოკრატიული მექანიზმების სრულყოფა, სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტის, მყარი ფუნდამენტის და სამოქალაქო საზოგადოების შექმნა, ყოველივე ამისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადება. ეროვნული თანხმობის მიღწევა საზოგადოებაში.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "პროგრესი", ბლოკმა მიიღო ხმების 2,75%, პარლამენტში პარტიას ჰყავდა 3 წარმომადგენელი.

1995 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საკანონმდებლო-აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების რეფორმა, სახალხო დამცველის ინსტიტუტის შემოღება, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევა, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან შესაბამისი პოლიტიკის გატარება.

1991 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს არავის უჭერდა.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია მხარს უჭერდა ედუარდ შევარდნაძეს.

პარტია დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს მხარს უჭერს ნაწილობრივ. პრეზიდენტის რეფორმისტულ მიდგომებს პარტია ეთანხმება, მაგრამ მის სავადრო და ზოგიერთ საგარეო ურთიერთობათა საკითხებთან აქვს უთანხმოება.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პარტიის რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი — ამირან ცინცაძე, რწმუნებული — მაშუკა გაჩეჩიაძე.

1999 წ. წინასაარჩევნო პროგრამა: საქართველოს დემოკრატიული კავშირის წინასაარჩევნო პროგრამის საფუძველია კავშირის ემბლემაზე გამოსახული სიტყვები "დღეს საქართველოს სჭირდება: ეროვნული ხელვა, ილიას სიბრძნე, სტალინის სიმტკიცე". უპირველეს და გადაუდებელ სტრატეგიებად მიგვაჩნია: 1. ქვეყანაში ნამდვილი დემოკრატიის დამყარება, როდესაც სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობას იღებს მოსახლეობის ფართო ფენები, მათი შესაძლებლობებისა და სოციალური ორგანიზებულობის ფარგლებში; 2. ქვეყნის კულტურული აღმავლობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, ქართველოლოგიის პრიორიტეტული განვითარება, ქართველებისა და საქართველოში მცხოვრები აზორიგენი თუ შემდგომ დამკვიდრებული ხალხების, ენის, ისტორიის, რელიგიის და ეთნოკულტურულ თავისებურებათა შესწავლა, მათი ჩართვა მსოფლიოს ინტერესთა გარემოში და გამოყენება ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში; 3. მოსახლეობისათვის დღევანდლობის შესაბამისი განათლების მიცემის პირობების შექმნა, განათლება ყველასათვის, მათ შორის, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომი პირობების შექმნა; 4. მოსახლეობის მატერიალურ შემოსავალთა შორის არსებული დიფერენციაციის შეზღუდვა, არ დაუშვას ეგრეთ წოდებული დივერგენცია (ვინმეს გამდიდ-

ინტერვიუ

რება სხვის ხარჯზე, კერძოდ, ბიუჯეტის, რაც საქართველოში ზოგიერთი პოლიტიკოსისათვის უცხო არ არის, მხედველობაშია პარტიები, რომლებიც ბიუჯეტის ასიგნებებს საკუთარი ავტორიტეტის ასამაღლებლად იყენებს); 5. საჭიროა კიდევ უფრო გამკაცრდეს ფულად-საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკა. ეს სანინდარია იმისა, რომ ქვეყანაში შეიქმნას აღრიცხვის თანამედროვე სისტემა, რაც უძლიერესი იარაღია კორუფციის წინააღმდეგ; 6. ჩვენი კავშირის უმთავრესი ამოცანაა ქვეყანაში სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება, რომლის უმთავრესი ნიშანია თითოეულ ადამიანს შეექმნას ცხოვრების ისეთი პირობები, რომელიც მისცემს მას საშუალებას სრულად გამოიყენოს საკუთარი შესაძლებლობები, გაშალოს საკუთარი შემოქმედებითი აქტივობა და მიღებული შედეგები მიითვისოს საკუთარი შეხედულებებისამებრ.

მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის გამზ., 86/89-2,

ტელ.: 95 47 67; 95 60 34; 95 08 44; ფაქსი: 95 60 34; 95 41 23.

საკონტაქტო პირი: მამუკა გაჩეჩილაძე - პოლიტიკური მდივანი.



**პარტიის ლიდერი  
თაშავა  
ნადარეიშვილი**

დაიბადა 1954 წ., გაგრაში, ისტორიკოსი, საერთაშორისო ინფორმაციის აკადემიის აკადემიკოსი. 1981 წ. დაამთავრა აფხაზეთის უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი. 1990 წ. აირჩიეს საქართველოს პოლიტიკური პარტიის გაგრის ქალაქკომის მე-2 მდიანად. 1998 წ. აირჩიეს აფხაზეთის განათავსულების პარტიის თავმჯდომარედ. 1990 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი, გახდა პარლამენტის წევრი. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი, გახდა პარლამენტის წევრი. 1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში კენჭს იყრიდა ბლოკის "აფხაზეთი ჩვენი სახლია" პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. შპავს მეუღლე, ლევა ყურაშვილი და 2 შვილი.  
მისამართი: თბილისი, ნიკოლაძის ქ., 1.  
ტელ.: 93 52 72;  
მობილური: (877) 40 12 43;  
ფაქსი: 93 48 10

### **აფხაზეთის განთავსულების პარტია**

პოლიტიკური მიმართულება: ცენტრისტული  
საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: თავისუფალი, საბაზრო ეკონომიკა. კერძო საკუთრება. წვრილი და საშუალო ბიზნესისათვის ხელის შეწყობა, მაქსიმალური ხელშეწყობა მეურნეობის ბაზისური დარგების განვითარებას. ლიბერალური საგადასახადო სისტემა.

საგარეო პოლიტიკა: კეთილმეზობლური პარტნიორული ურთიერთობა ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან, ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებში, ნატო-ში გაწევრიანება.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: სამხარეო სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო პარტია დაარსდა: 29.12. 1998 წ., პირველი რეგისტრაცია – 05.02. 1999 წ.

დაარსების ინიციატორები: თამაზ ნადარეიშვილი, ლონდერ ცაავა, ჯანსუღ ეზუგბაია, გენო კალანდია, ჯანო ჯანელიძე, დავით გვაძაბია, კიმი ჯაჭვლიანი, მერაბ დგებუაძე.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვეცა 2 წელიწადში ერთხელ) – საბჭო (ირჩევა 2 წლით - 85 წევრი) – პრეზიდენტი (ირჩევა 2 წლით - 11 წევრი: თამაზ ნადარეიშვილი - თავმჯდომარე, ჯანსუღ ეზუგბაია – პოლიტიკური მდივანი, გენო კალანდია, ჯანო ჯანელიძე - მოადგილეები, კიმი ჯაჭვლიანი, ალუ გამახარია, ნუგზარ ბირვანია, იური ბუჭვანია, მამუკა მაისურაძე, ანზორ დემბაძე, დავით გვაძაბია) – თავ-

მჯდომარე (ყრილობა ირჩევს 2 წლით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).

წევრთა რაოდენობა: 52000, აქტიური - 10000-12000.

7 რეგიონალური და 34 რაიონული ორგანიზაცია.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: აფხაზეთის განთავსულების პარტიის ახალგაზრდული კავშირი. დაარსდა 15.02. 1999 წ., გაერთიანებულია 2800 წევრი. არ არის იურიდიული პირი. ლიდერი: მამუკა მაისურაძე.

ბეტვითი ორგანო: "ოქროს სანძისი". დაარსდა 28.02. 1999 წ. გამოდის თვეში ერთხელ, ტირაჟი - 500, უფასო.

მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ., 29.

ტელ.: 92 28 34.

საკონტაქტო პირი: ჯანსუღ ეზუგბაია – პოლიტიკური მდივანი.

### **დამოკავშირებული პარტია (და)**

პოლიტიკური მიმართულება: ცენტრისტული  
საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, ლიბერალური საგადასახადო სისტემა, მრეწ-

საქართველო

ველოზის განვითარება.

საგარეო პოლიტიკა: კეთილმეზობლური ურთიერთობა ყველა მეზობელ ქვეყანასთან, ინტეგრაცია ევროპის სტრუქტურებში, ეროვნული უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შექმნა.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: სამხარეო

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო (პარტია მხარს უჭერს ორპალატიან პარლამენტს. მის ერთ პალატას 6 წლით აირჩევენ სამხარეო სუბიექტები, ხოლო მეორეს – 2 წლით აირჩევენ სრულიად საქართველოს მოსახლეობა ტერიტორიულ საარჩევნო ოლქებში)

პარტია დაარსდა: 1991 წ., პირველი რეგისტრაცია – 1992 წ., ხელახალი რეგისტრაცია – 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: მიხეილ ქურდიანი, ქართლოს ლარიბაშვილი, გელა ქვლივიძე, ბადრი დათუაშვილი, თემურ კვიციანი, ლევან ღვინჯილია, ვაჟა ომარაშვილი.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) – კომიტეტი (ირჩევა 4 წლით) – თავმჯდომარე – გელა ქვლივიძე (ირჩევენ 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).

წევრთა რაოდენობა: 5830, აქტიური - 720.

32 რეგიონალური და 54 რაიონული ორგანიზაცია. ბუჭდვითი ორგანო: გაზეთი "დემოკრატი". დაარსდა 1992 წ., გამოდის კვირაში ერთხელ, ტირაჟი – 1000. ამჟამად გამოშვება შეჩერებულია.

1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, პარლამენტში ჰყავდა 10 წარმომადგენელი.

1992 წ. საპროგრამო პრიორიტეტები: დემოკრატიული რეფორმების გატარება და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება-განვითარება, ადამიანის უფლებების დაცვა, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 1,98%, პარლამენტში ჰყავდა 1 წარმომადგენელი.

1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "საქართველოს სოციალისტური პარტია".

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს უჭერდა ედუარდ შევარდნაძეს.

პარტია მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი, რწმუნებული – გია წეროძე.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ., 29.

ტელ.: 22 54 85; 22 30 06.

საკონტაქტო პირი: გია წეროძე – ეროვნული კომიტეტის წევრი.



**პარტიის ლიდერი  
გელა ქვლივიძე**

დაიბადა 1940 წ., თბილისში, ინჟინერ-მშენებელი. 1963 წ. სპი სამშენებლო ფაკულტეტი. 1999 წ. დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. არის თბილისის საკრებულოს წევრი. 1991-1993 წ.წ. - დემოკრატიული პარტიის თანათავმჯდომარე. 1993 წ. აირჩიეს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარედ. 1990 წ. საპარლამენტო არჩევნებში იყრიდა კენჭს. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტიის სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1992-1995 წ.წ. იყო ფრაქცია "დემოკრატის" წევრი, 1993-1995 წ.წ. - მშენებლობის საკითხთა ქვეკომისიის თავმჯდომარე. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტიის სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მუულღე, ნანა ავციანური და 1 შვილი.  
მისამართი: თბილისი, ირ. აბაშიძის ქ. 24.  
ტელ.: 23 28 26;  
მობილური: (899) 56 29 31;  
ფაქსი: 23 30 06

## პროგრამული დოკუმენტი "ყვითელი"

ინფორმაცია მოპოვებული ვერ იქნა

### პროუნალ-დემოკრატიული კავშირი (პდკ)

დევიზი: "კეთილდღეობა საქართველოს ყველა ოჯახს"  
პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე

**პარტიის ლიდერი**  
**თიეშუზა ჯარიშაშვილი**  
დაიბადა 1975 წ., თბილისში, იურისტი.  
1997 წ. დაამთავრა თბილისის ჭუმანი-  
ტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის სა-  
მართალმცოდნეობის ფაკულტეტი. 1998  
წ. აირჩიეს ეროვნულ-დემოკრატიული  
კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ.  
ჰყავს მეუღლე, ნატალია თოდრია  
და 1 შვილი.  
მისამართი: თბილისი, გლდანის მსხვი,  
მე-2 მ/რ, 27-ე კორპ., ბინა 54.  
ტელ.: 62 92 00


საპროგრამო პრიორიტეტები:  
ეკონომიკა: თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა.  
საგარეო პოლიტიკა: დასავლეთთან ურთიერთობის  
გაღრმავება.  
სახელმწიფო ტერიტორიული მონყობა: სამხარეო  
სახელმწიფო სისტემის მონყობა: საპრეზიდენტო  
პარტია დაარსდა: 1998 წ., პირველი რეგისტრაცია –  
07.04. 1998 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 17.04.  
1999 წ.  
დაარსების ინიციატორები: ავთანდილ თედორაძე, კა-  
ხაბერ კოდუა, თიეშუზა ჯერშიაშვილი, მიხეილ  
გორგაძე.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 2  
წელიწადში ერთხელ) – კომიტეტი (ირჩევა 2 წლით - 15 წევრი: ავთანდილ თედორაძე -  
თავმჯდომარე (გადადგა), კახაბერ კოდუა - გენერალური მდივანი, თიეშუზა ჯერშიაშ-  
ვილი - თავმჯდომარის მოადგილე, მიხეილ გორგაძე - საზოგადოებრივ ურთიერთობათა  
მდივანი) – თავმჯდომარე (ყრილობა ირჩევს 2 წლით) - პრეზიდიუმი (ირჩევა 2 წლით).  
წევრთა რაოდენობა: 1500, აქტიური - 750.  
პარტია არ უჭერს მხარს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს მცდარი საში-  
ნაო და საგარეო პოლიტიკის გამო.  
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ., 2ა.  
ტელ.: 98 31 87; ფაქსი: 98 31 88.  
საკონტაქტო პირი: თიეშუზა ჯერშიაშვილი - თავმჯდომარის მოადგილე.

### "თანხმობისა და სამართლიანობის კავშირი" ("თსკ")

დევიზი: "თანხმობა გადაარჩენს საქართველოს"  
პოლიტიკური მიმართულება: ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:  
ეკონომიკა: დარგების რეაბილიტაცია, ეკონომიკაში აგრარული სფეროს ფაქტორის გათვა-  
ლისწინება. ინვესტიციების დარგობრივი დატვირთვა კერძო მენარმეთათვის მეტი თავი-  
სუფლების მინიჭება, რათა შიდა კაპიტალმა მთავარი  
როლი ითამაშოს ეკონომიკურ ძლიერებაში. ქარხნების  
ეტაპობრივი ამოქმედება.



**პარტიის ლიდერი**  
**ალექსი**  
**ლავიშვილი**  
დაიბადა 1967 წ., თბილისში, იურისტი.  
1992 წ. დაამთავრა იურიდიული  
ფაკულტეტი. 1999 წ. აირჩიეს  
"თანხმობისა და სამართლიანობის  
კავშირის" თავმჯდომარედ.  
მისამართი: თბილისი, დლოიძის ქ., 42.  
ტელ.: 33 24 05.

საგარეო პოლიტიკა: ევროსაბჭოში გაერთიანების შემ-  
დეგ კონტაქტების გაღრმავება. მოსახლეობისათვის  
იმის ახსნა, თუ რა პოზიტიური ძვრები შეიძლება მო-  
იტანოს უფრო მეტმა პოლიტიკურმა კონტაქტებმა სა-  
ხელმწიფოებთან, რომელთაც მსგავსი განვითარების  
გზა გაიარეს.  
სახელმწიფო ტერიტორიული მონყობა: უნიტარული  
სახელმწიფო სისტემის მონყობა: საპრეზიდენტო  
პარტია დაარსდა: 14.07. 1995 წ., პირველი რეგისტრაც-  
ცია – 25.07. 1999 წ.

საქართველო

დაარსების ინიციატორები: 80 ათასიანი ის ელექტორატი, ვისაც შეეხო კანონი საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის შესახებ, კერძოდ მოძრაობის ლიდერი ალექსი ადგიშვილი. ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 4 წელიწადში ერთხელ) – საბჭო (ირჩევა 4 წლით - 5 წევრი: ალექსი ადგიშვილი – კავშირის თავმჯდომარე, დოდო ხეჩოშვილი - მდივანი, ვარლამ გასვიანი – აპარატის უფროსი, ტრისტან ქართველიშვილი – რაიონული სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, ტატიანა ნოვიკოვა – სარევიზიო კომისიის წევრი, ირინა იმნაძე – წარმომადგენელი იმერეთის რეგიონში) – თავმჯდომარე (ლია კენჭისყრით ირჩევა 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1999 წ.) – სარევიზიო კომისია (ირჩევა 4 წლით - 6 წევრი).

წევრთა რაოდენობა: 7000, აქტიური - 400.

3 რეგიონალური ორგანიზაცია, მათ შორის 1 – ჩამოყალიბების სტადიაში.

პარტია მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს.

ტელ.: 33 24 05.

საკონტაქტო პირი: ვარლამ გასვიანი – აპარატის უფროსი.

### **იზაიკულ-კავკასიური მოძრაობა ჭყონდიელის ეროვნული “ლასკარი” (ჭყონდიელის ლასკარი)**

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე-ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: საბაზრო

საგარეო პოლიტიკა: სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, კავკასიური სახლი.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: სამხარეო, უნიტარული სახელმწიფოს ფარგლებში.

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო

პარტია დაარსდა: 1992 წ., პირველი რეგისტრაცია – 1998 წ., ხელახალი რეგისტრაცია – 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: ს. საჯავია, დ. მარლანია, ჯ. ბერუაშვილი, ც. ბაბლუანი.

პარტია არის პოლიტიკური ორგანიზაცია “ჭყონდიელის” სამართალმემკვიდრე.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 4 წელიწადში ერთხელ) – ლასკარი (ირჩევა 4 წლით - 9 წევრი: სერგი საჯავია - თავმჯდომარე, ცისანა ბაბლუანი, ჯონდი მარლანია, ციური რაზმაძე, ჯემალ ბერუაშვილი.) – თავმჯდომარე (ყრილობა ირჩევს 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).

წევრთა რაოდენობა: 1281, აქტიური – ყველა.

4 რეგიონალური და 20 რაიონული ორგანიზაცია.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, რადგან არსებული ხელისუფლება არის არაკანონიერი სახელმწიფო სტრუქტურა.

1992-1999 წწ. პარტია არ მონაწილეობს არჩევნებში, რადგან არსებული ხელისუფლება წარმოადგენს არაკანონიერ სახელმწიფო სტრუქტურას.

მისამართი: თბილისი, გ. ჩიტაიას ქ., 39.

ტელ: 95 62 31.

საკონტაქტო პირი: სერგი საჯავია - თავმჯდომარე.

|  |
|--|
| <p><b>პარტიის ლიდერი</b><br/><b>სერგი საჯავია</b></p>  |
| <p>დაიბადა 1946 წ. სოხუმში, ფილოლოგი. სამუშაო გამოცდილება: 1971-1993 წ.წ. – სოხუმის რადიოგადაცემათა რედაქტორი და აგრეთვე სკოლის დირექტორი, პედაგოგი. 1992-1995 წ.წ. იბრძოდა სოხუმში. 1999 წლიდან არის გაზეთის “კოლხური კოჭი” რედაქტორი. 1990-1991 წ.წ. - მერაბ კოსტავას ფონდის აფხაზეთის რეგიონის თავმჯდომარე. იყო პოლიტიკური მოძრაობა “ჭყონდიელის” ვიცე-პრეზიდენტი. 1997 წ. აირჩიეს იბერიულ-კავკასიური მოძრაობა ჭყონდიელის ეროვნული “ლასკარის” თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.</p> |





დაარსების ინიციატორები: მ. ნანეიშვილი, ი. გეგენა-ვა, გ. დოლიძე, ვ. გოცირიძე.  
ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) – გამგეობა, საბჭო (ირჩევა 4 წლით - 23 წევრი) – თავმჯდომარე – მიხეილ ნანეიშვილი (ყრილობა კენჭისყრით ირჩევს 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).

წევრთა რაოდენობა: 1357, აქტიური - 400.

¶ რაიონული ორგანიზაცია.

1990 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში “თავისუფლება”, მიიღო ხმების 3,5%, პარლამენტში არ ჰყავდა წარმომადგენელი.

1990 წ. საპროგრამო პრიორიტეტები: საქართველოს დამოუკიდებლობა. ლიბერალურ დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში “ერთობა”, მიიღო ხმების 15%, ჰყავდა 14 წარმომადგენელი ბლოკიდან.

1992 წ. საპროგრამო პრიორიტეტები: ერთობა, მშვიდობა.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა დამოუკიდებლად, პარლამენტში არ ჰყავდა წარმომადგენელი.

1995 წ. საპროგრამო პრიორიტეტები: ინტეგრაცია და საგლეხთა. დსთ-დან გამოსვლა.

1991 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს უჭერდა ირაკლი შენგელაის.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს უჭერდა ედუარდ შევარდნაძეს.


პარტია მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, საგარეო პოლიტიკის კურსს, საქართველოსთან დაკავშირებული საერთაშორისო პროექტების გამო.

მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ., 41.

ტელ.: 93 28 32.

სავონტაქტო პირი: ილია გეგენავა – მდივანი.

**პარტიის ლიდერი  
მიხეილ  
ნანეიშვილი**



დაიბადა 1934 წ., თბილისში, ფილოსოფოსი. დაამთავრა: 1961 წ. თსუ ფილოსოფიის ფაკულტეტი. სწავლობდა სახელმწიფო კონსერვატორიაში ფორტეპიანოს სპეციალობით. სამუშაო გამოცდილება: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი, პარლამენტი. 1990 წ. აირჩიეს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარედ. 1990 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1992-1993 წ.წ. იყო ფრაქცია “ლიბერალების” თავმჯდომარე, 1992-1995 წ.წ. - სავონსტიტუციო ჯგუფის წევრი. 1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი და პარტიის სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე, მზია კეკელიძე და 1 შვილი.  
მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ., 41.  
ტელ.: 93 28 32

**მექალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება  
“საქართველოს მენარქეთა კავშირი” (“სმკ”)**

დევიზი: “ძლიერი ეკონომიკა – აღორძინებული საქართველო”

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე-ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: ბიზნესის განვითარება და თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა.


საგარეო პოლიტიკა: ყველა ქვეყანასთან და უპირატესად მეზობელ ქვეყნებთან, ნორმალური ურთიერთობების დამყარება, საზღვრების დაცვით..

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: ფედერალური

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო

პარტია დაარსდა: 1993 წ., პირველი რეგისტრაცია – 12.03. 1993 წ., ხელახალი რე-

წინააღმდეგარსი



**პარტიის ლიდერი  
ბონდო ზარნაძე**

დაიბადა 1946 წ., გურჯაანში, ეკონომისტ-ფინანსისტი, დოცენტი. დაამთავრა: 1969 წ. – სპი სამშენებლო ფაკულტეტი, მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურა. სამუშაო გამოცდილება: 1990 წლიდან დღემდე – საქართველოს მენარმეთა კავშირის თავმჯდომარე. 1999 წ. აირჩიეს "საქართველოს მენარმეთა კავშირის" თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე, მედეა მათიშვილი და 2 შვილი. მისამართი: თბილისი, ჩოლოყაშვილის ქ., მე-2 კვ., მე-3 კორპ., ბინა 18. ტელ.: 96 49 81; მობილური: (899) 50 60 61

გისტრაცია – 9.07. 1999 წ.  
დაარსების ინიციატორები: ფიზიკური პირები  
გაერთიანება არის საქართველოს მენარმეთა პარტიის სამართალმემკვიდრე.  
ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) – გამგეობა (ირჩევა 4 წლით - 3 წევრი: დომენტი მოურავიძე, ზაურ ზარნაძე, ზაზა მიქაძე) – კომიტეტი (4 წლით - 5 წევრი: ბონდო ზარნაძე - თავმჯდომარე, თენგიზ პაპუაშვილი, ირაკლი მიქაძე, როლანდ უგრეხელიძე, თომა მაისურაძე) – თავმჯდომარე (ყრილობა ირჩევს 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1999 წ.).  
წევრთა რაოდენობა: 1600, აქტიური - 130.  
3 რეგიონალური ორგანიზაცია  
ახალგაზრდული ორგანიზაცია: საქართველოს მენარმეთა ახალგაზრდული კავშირი. დაარსდა 1999 წ. გაერთიანებულია 32 წევრი. არ არის იურიდიული პირი. ლიდერი – ლევან ლორია. მისამართი: თბილისი, წინამძღვრიშვილის 123, ტელ.: 96 36 50, ფაქსი: 95 92 57.

უჭერდა ედუარდ შევარდნაძეს.

პარტია მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს პოლიტიკური სტაბილურობისა და მომავალი მშვიდობიანობის გარანტიის გამო.  
მისამართი: თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ., 123.

ტელ.: 96 36 50; ფაქსი: 95 92 57.

საკონტაქტო პირები: ბონდო ზარნაძე – თავმჯდომარე, თენგიზ პაპუაშვილი და ირაკლი მიქაძე – თავმჯდომარის მოადგილეები.

**მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება  
რეკავალი ვაგიდა თაყისუფალი საქართველო**

*ინფორმაცია მოპოვებული ვერ იქნა*

**მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება  
საქართველოს უმუშევართა დამოუკიდებლობის ერთობა**

*ინფორმაცია მოპოვებული ვერ იქნა*

**მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება  
სრულიად საქართველოს მოქარობა "ერის უფლება და ღირსება"**

*ინფორმაცია მოპოვებული ვერ იქნა*

**პარტია "ანალი საზოგადოება – საქართველოს არჩევანი"**

*ინფორმაცია მოპოვებული ვერ იქნა*

**პარტია "გაერთიანებული საქართველო"**

*ინფორმაცია მოპოვებული ვერ იქნა*

ინფორმაცია

### პარტია "ლევა საქართველო"

ინფორმაცია მოპოვებული ვერ იქნა

#### პენსიონატის უფლებათა დაცვის კავშირი

პოლიტიკური მიმართულება: მემარცხენე-ცენტრისტული  
საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. სტრატეგიული მნიშვნელობის სანარმოებსა და ობიექტებზე სახელმწიფო პრიორიტეტი, აგრეთვე მადნეულის მოპოვებასა და გადამამუშავებაზეც.

საგარეო პოლიტიკა: ურთიერთ მეგობრული ყველა ქვეყანასთან.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: ფედერალური (შემდეგში უნიტარული)

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო (ამ პარლამენტის არჩევისა და მისი ვადის გასვლის შემდეგ ძლიერი საპარლამენტო და შესუსტებული საპრეზიდენტო ქვეყანა)

პარტია დაარსდა 1997 წ., პირველი რეგისტრაცია - 1997 წ., ხელახალი რეგისტრაცია - 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: ირაკლი ნაცვლიშვილი, ლევან გვენეტაძე, მერაბ ჭაჭიაშვილი, რევაზ ქარჩხაძე, გურამ შენგელაია, რაჟდენ ჩინჩალაძე და ზურაბ ასიტაშვილი.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოინვევა 4 წლინაღმდეგ ერთხელ) - კომიტეტი (აირჩევა 4 წლით) - თავმჯდომარე (ყრილობა კენჭისყრით ირჩევს 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).

წევრთა რაოდენობა: 12500, აქტიური - 800-850.

5 რეგიონალური და 20 რაიონული ორგანიზაცია  
პარტია მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, რადგან მისმა 4 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით მითუმეტეს, ამ ბოლო წელს, გამოაჩინა მისი დადებითი ელემენტები.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი — დავით გაბელაია.

მისამართი: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ., მე-7 კვ., მე-10 კორპ., ოთახი 54.

ტელ.: 30 74 96.

საკონტაქტო პირი: ირაკლი ნაცვლიშვილი.

**პარტიის ლიდერი**  
**ირაკლი ნაცვლიშვილი**

დაიბადა 1949 წ., თბილისში, ინჟინერი, ფილოსოფოსი. 1980 წ. დაამთავრა საკავშირო კავშირგაბმულობის ინსტიტუტის რადიო მაუნ-ყვებლობისა და რადიო კავშირგაბმულობის ფაკულტეტი. 1986 წ. დაამთავრა თბილისის უმაღლესი პარტიული სკოლის ფილოსოფიის ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1967-1980 წ.წ. - ტელერადიო კომიტეტი, ხმის რეჟისორი. 1980-1982 წ.წ. - ქ-ნა "ელვა", ინჟინერ-გამწყობი. 1982-1984 წ.წ. - ქ-ნა "გემშენი", ინჟინერ-ტექნოლოგი. 1984-1987 წ.წ. - ქ-ნა "კრანი", უფროსი კონსტრუქტორი. 1987-1991 წ.წ. - სპორტული კომპლექსი "ვარკეთილი", დირექტორის მოადგილე. 1976 წ. იყო საკავშირო ჩემპიონი რაგბში. მონაწილეობდა სხვადასხვა ზრძოლებში, იყო 5-ე ბატალიონის მეთაურის მოადგილე, თავდაცვის სამინისტროს ტანკსაწინააღმდეგო ბატარეის მეთაური. 1997 წ. აირჩიეს პენსიონერთა უფლებათა დაცვის კავშირის თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე, ნინო ნაცვლიშვილი და 2 შვილი.

მისამართი: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ., მე-7 კვ., მე-10 კორპ., ბინა 54.  
ტელ.: 30 74 96



#### პოლიტიკური გაერთიანება "ახალი საქართველო"

პოლიტიკური მიმართულება: ცენტრისტული

ეკონომიკა: სოციალურად ორიენტირებული, რეგულირებადი თავისუფალი საბაზრო სისტემის ჩამოყალიბება. სტრატეგიული დარგები: სოფლის მეურნეობა, ენერჯეტიკა, საგზაო მშენებლობა. ჩვენი მიზანია საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომ ქართული ეკონომიკის ინვეს-

ნაციონალიზმი

**პარტიის ლიდერი**

**ილია**

**ხუციშვილი**

დაიბადა 1950 წ., თბილისში, მშენებელი ინჟინერი. 1972 წ. დაამთავრა სპი სამ-შენებლო ფაკულტეტი. იყო სკკპ წევრი. 1998 წ. აირჩიეს პოლიტიკური გაერთიანება "ახალი საქართველოს" თავმჯდომარედ. 1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი, გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.  
ტელ.: 23 01 69;  
მობილური: (877) 40 39 58

ტირება რეალური კაპიტალის მემკვიდრით მოხდეს. ამ საქმეში უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფო გარანტიების სისტემა. ამავე საკითხთან გადაჯჭვულია სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პრობლემები. მიგვაჩინა, რომ თანამედროვე ეტაპზე მიწის გარდა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის უფლებები უცხოელებზე არ უნდა შეიზღუდოს.

საგარეო პოლიტიკა: ინტეგრაციული პროცესების შემდგომი გაფართოება-გაღრმავება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საქართველოს ეროვნული ისტორიული გზის გამოკვეთასა და თვითმყოფადობის დაცვის პრობლემებს.

პარტია დაარსდა: 1995 წ., ხელახალი რეგისტრაცია – 19.12. 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: არჩილ ვაშაკიძე, ალექო ჭონქაძე.

პარტიის ძველი სახელწოდებაა პოლიტიკური ორგანიზაცია "ახალი საქართველო".

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) – გამგეობა – თავმჯდომარე – ილია ხუციშვილი (ყრილობა ირჩევს 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).  
წევრთა რაოდენობა: 35000.

აქვს რეგიონალური და რაიონული ორგანიზაციები.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: ლიდერი - იოსებ ჭონქაძე.

ბეჭდვითი ორგანო: "ახალი საქართველო XXI საუკუნე". დაარსდა 1999 წ., გამოდის ქუთაისში.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა დამოუკიდებლად, პარლამენტში არ ჰყავდა წარმომადგენელი.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი – ილია ხუციშვილი.

მისამართი: თბილისი, შარტავას ქ., 7, მე-5 სართ.

ტელ.: 38 87 64; 25 39 49.

საკონტაქტო პირი: ელგუჯა დრიაშვილი.

**პოლიტიკური გაერთიანება "ინტელექტუალთა მოქალაქე"**

*ინფორმაცია მოპოვებული ვერ იქნა*

**პოლიტიკური გაერთიანება "ლიბა-პროგრესი"**

*ინფორმაცია მოპოვებული ვერ იქნა*

**პოლიტიკური პარტია "კათილდღეობა"**

*ინფორმაცია მოპოვებული ვერ იქნა*

**პოლიტიკური პარტია**

**"მეგობრობის კავშირი, დამოუკიდებლობა და ავანპეობა"**

*ინფორმაცია მოპოვებული ვერ იქნა*

**პოლიტიკური პარტია "სტალინელი"**

*ინფორმაცია მოპოვებული ვერ იქნა*

**პოლიტიკური გაერთიანება “ქალთა დაცვის კავშირი” (ქკპ)**

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე-ცენტრისტული

დევიზი: “ძალა ერთობაშია”

პარტიის საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: სოციალური საბაზრო ეკონომიკა. ყველა მოქალაქის მზარდი კეთილდღეობა და მისი სამართლიანი მონაწილეობა სახალხო მეურნეობის შემოსავლებში. კერძო საკუთრების გაბატონება. ევექტიანი მესაკუთრების ძლიერი ფენის ჩამოყალიბება. კერძო მენარმეობის ყოველმხრივი სტიმულირება და განვითარება. აქტიური სამრეწველო პოლიტიკის განხორციელება. განვითარების თანაბარი პირობების შექმნა საკუთრების ყველა ფორმისათვის. თავისუფალი კონკურენცია, მომხმარებლის თავისუფალი არჩევანი, სამუშაო ადგილის თავისუფალი არჩევანი. კონკურენცია რამდენადაც შესაძლებელია, რეგულირება რამდენადაც აუცილებელია.

საგარეო პოლიტიკა: საკუთარი ტერიტორიებისა და დამოუკიდებლობის დაცვა, დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებთან მჭიდრო მრავალმხრივი ურთიერთობა; თანასწორი, მეგობრული ურთიერთკავშირი მოსაზღვრე მეზობელ ქვეყნებთან; მჭიდრო, მშვიდობიანი და კეთილგანწყობილი ურთიერთობა კავკასიელ ხალხებთან; მეზობელი ქვეყნების აგრესიული პოლიტიკის (რუსეთის) ნეიტრალიზაცია.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული (საქართველოს უნიტარულ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ადგილობრივი ასიმეტრია მხოლოდ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახით).

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო (მიმდინარეობს სერიოზული მუშაობა საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების მაღალეფექტიანობის, გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლებისათვის, რადგან ქვეყნის განვითარების გადამწყვეტი ფაქტორია პოლიტიკური ხელმძღვანელობის ხარისხი. ვმუშაობთ კვალიფიციური პოლიტიკური ლიდერების ჩამოყალიბების სისტემის სრულყოფისათვის, მათ შორის პრეზიდენტობის ინსტიტუტის სრულყოფისათვის, პრეზიდენტობის კანდიდატების ფონდის საქმიანობის გაფართოებისთვის, კანდიდატებზე და პრეზიდენტობის ინსტიტუტზე საზოგადოებრივი აზრის მექანიზმის ჩამოყალიბებისათვის ჯანსაღი კონკურენტული ურთიერთობების საფუძველზე).

პარტია დაარსდა - 16.12. 1994 წ., პირველი რეგისტრაცია - 1995 წ. იანვარი, ხელახალი რეგისტრაცია - 20.02. 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: ნარგიზი გვალია, ლილი ქუფარაშვილი-მუჯირი, გალინა ჩიქოვანი, ელდარ გენაძე, ნანა ზუნაშვილი, მზია ნიქარიშვილი.

პარტია არის საქართველოს ქალთა კავშირის სამართალმემკვიდრე (სახელი შეიცვალა 1995 წ. პირველ ყრილობაზე, რადგან კავშირის წევრები მამაკაცებიც არიან).

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 3 წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 3 წლით) -



**პარტიის ლიდერი  
ნარგიზი გვალია**

დაიბადა ქუთაისში, ინჟინერ-ტექნოლოგი, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საინჟინრო ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორი. 1962 წ. დაამთავრა საქართველოს სპი ქიმიისა და კვების ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1962-1976 წ.წ. - რუსთავის ქიმიკომბინატი “აზოტი”, ცვლის უფროსი, ინჟინერ-ტექნოლოგი, სამეცნიერო ცენტრის უფროსი. 1976-1978 წ.წ. - რუსთავის პურკომბინატის დირექტორი. 1978-1985 წ.წ. - სამეცნიერო-საპროექტო ინსტიტუტი “ავტომატრენევი”, ლაბორატორიის უფროსი. 1985-1987 წ.წ. - საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1978-1990 წ.წ. - საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1993 წლიდან დღემდე არის საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტროს სამმართველოს უფროსი. 1994 წლიდან არის “ქალთა დაცვის კავშირის” თავმჯდომარე. 1995 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი და პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე, ზურაბ ნეერვალიშვილი და 2 შვილი მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 75ბ, ბინა 16. ტელ.: 23 42 48; 29 48 77; 38 00 98; მობილური: (899) 51 03 23.

ნარგიზი II

თავმჯდომარე (ნარგზი გვალია) - კავშირის ადგილობრივი ორგანოები (ირჩევა 3 წლით).  
წევრთა რაოდენობა 4000, აქტიური - 650.

¶ რაიონული ორგანიზაცია.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 0,97%.  
1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს უჭერდა ედუარდ შევარდნაძეს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდამჭერთა ხელმოწერები, რწმუნებული - არჩილ სულაძე.

მისამართი: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. 44.

ტელ.: 23 42 48; 39 79 35.

საკონტაქტო პირი: ნარგზი გვალია — თავმჯდომარე.

### პოლიტიკური გაერთიანება “წინ საქართველოვ, ღაიითის გზით”

დევიზი: “მხოლოდ უნიტარული საქართველო გადარჩება”

პოლიტიკური მიმართულება: ცენტრისტული

სამსოგროამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: კერძო საკუთრება, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, ხელშეწყობა მცირე ბიზნესის განვითარებას, ლიბერალური საბანკო და საგადასახადო პოლიტიკა.

საგარეო პოლიტიკა: თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. კავასიური სახლის იდეის განხორციელება.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო პარტია დაარსდა 28.05. 1999 წ.

დაარსების ინიციატორები: პაატა თექთუმანიშვილი, დავით ბიჭიაშვილი, ზვიად გალდავა, გიორგი ჯაიანი.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) — გამგეობა (ირჩევა 4 წლით - 9 წევრი: პაატა თექთუმანიშვილი - თავმჯდომარე, დავით ბიჭიაშვილი, ამბროსი ბიჭიაშვილი, კობა ნი-

კოლეშვილი, გიორგი ჯაიანი, ზვიად გალდავა, პაატა კალანდაძე) — თავმჯდომარე (ყრილობა ირჩევს 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1999 წ.).

წევრთა რაოდენობა: 1550, აქტიური - 500.

რეგიონალური და რაიონული ორგანიზაციები - ჩამოყალიბების სტადიაში.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, რადგან ის არ არის ქართული ორიენტაციის.

მისამართი: თბილისი, ალ. დიუმას ქ., 24.

ტელ.: 93 12 58.

საკონტაქტო პირი: პაატა თექთუმანიშვილი - თავმჯდომარე.

### პოლიტიკური პარტია “ქიჩიყი უპატრონო კეყანა”

*ინფორმაცია მოპოვებული ვერ იქნა*

### პოლიტიკური ორგანიზაცია “გაგული” (“გაგული”)

დევიზი: “მთავარი მანც მამული არის”

პოლიტიკური მიმართულება: ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: სახელმწიფო, კერძო და შერეული საკუთრება. ვეჯლისხმობთ ისეთი ეკონომიკური სტრუქტურების შემუშავებას, რომელიც დაეყრდნობა ეროვნულ სამეურნეო ტრადიციებსა და მონინავე, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას.

საგარეო პოლიტიკა: ურთიერთობის პრინციპად პარტია აღიარებს სახელმწიფო საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, სუვერენიტეტის პატივისცემას, თანასწორუფლებიანობას, ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას, უარყოფთ ტერიტორიული და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხელყოფას. საქართველო უნდა გახდეს სამშვიდობო დემოკრატიული ორგანიზაციების წევრი.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: დეცენტრალიზებული უნიტარიზმი (რესპუბლიკური ფორმით მოწყობა. მხარეებს უნდა მიეცეთ ეკონომიკური თავისუფლება)

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო

პარტია დაარსდა: 1993 წ., პირველი რეგისტრაცია – 1994 წ., ხელახალი რეგისტრაცია – 1998 წ.

დაარსების ინიციატორები: თეიმურაზ ბობოხიძე, კახაბერ ოქრომჭედლიძე, ზაურ პეტრიაშვილი, ქეთევან ჭაბაშვილი, რამაზ გვარაძე, სპარტაკ ბობოხიძე, გოგი ნარუსლიშვილი, კახაბერ ჩხატარაშვილი.

ორგანიზაციული სტრუქტურა: კონგრესი (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) – ცენტრალური გამგეობა (ირჩევა 4 წლით – 5 წევრი: თეიმურაზ ბობოხიძე – თავმჯდომარე, რამაზ გვარაძე – მოადგილე, გოგი ნარუსლიშვილი – საზოგადოებრივი ურთიერთობები, ქეთევან ჭაბაშვილი, კახაბერ ოქრომჭედლიძე) – თავმჯდომარე (კონგრესი ფარული კენჭისყრით ირჩევს 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.) – რაიონების გამგეობები (ირჩევა 4 წლით – 5 წევრი).

წევრთა რაოდენობა: 5376, აქტიური – 1760.

აქვს რეგიონალური (ჩამოყალიბების სტადიაში) და რაიონული ორგანიზაციები (თითქმის ყველა რაიონში).

ახალგაზრდული ორგანიზაცია: პოლიტიკური ორგანიზაცია “მამულის” ახალგაზრდული სექცია. დაარსდა 1995 წ.. გაერთიანებულია 1397 წევრი. არ არის იურიდიული პირი. ლიდერი: ნანა ქადარია. მისამართი: თბილისი, თვალჭრელიძის ქ., 6, ტელ.: 63 75 15; 71 83 83.

1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმების 0,27%, პარლამენტში წარმომადგენელი არ ჰყავდა.

1995 წ. საპროგრამო პრიორიტეტები: საპრეზიდენტო მმართველობა. დეცენტრალიზებული უნიტარიზმი. სახელმწიფო, კერძო და შერეული საკუთრება. მინის 50% უნდა გადავიდეს კერძო საკუთრებაში. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენული, დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა.

1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს უჭერდა ედუარდ შევარდნაძეს.

**პარტიის ლიდერი**  
**თეიმურაზ**  
**გოგინიძე**



დაიბადა 1968 წ., თბილისში, ეკონომისტი. 1994 წ. დაამთავრა თსუ კომერციული ფაკულტეტი. 1990-1998 წ.წ. – ქრისტიანული განათლების, თავისუფლებისა და სამართლიანობის ალორძინების საზოგადოება “მამულის” თავმჯდომარე. 1992-1993 წ.წ. – საქ. სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტიის თანათვამჯდომარე. 1993 წლიდან არის პოლიტიკური ორგანიზაცია “მამულის” თავმჯდომარე. 1997-1998 წ.წ. – კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობი ორგანიზაციის თავმჯდომარე. 1998 წ. – მეტეხის საკრებულოს დეპუტატი, ანტიკორუფციული ორგანიზაციის თავმჯდომარე. 1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი და საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტიის სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. 1995 წ. საპარლამენტო არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი და პოლიტიკური ორგანიზაცია “მამულის” პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე, ნინო ბობოხიძე. მისამართი: თბილისი, დუმბაძის გამზ., 4ა მ/რ, მე-8 კორპ., ბინა 97. ტელ.: 63 30 63, მობილური: (899) 51 69 91

პარტია დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს მხარს უჭერს ნაწილობრივ - ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენაში.

მისამართი: თბილისი, წრომის ქ., 19.

ტელ.: 96 29 34; 63 30 63, 71 83 83.

საკონტაქტო პირი: რამაზ გვარაძე — თავმჯდომარის მოადგილე.

### პოლიტიკური ორგანიზაცია – ქართველთა საზოგადოება

დევიზი: “საქართველოვ, თუ სადმე გაქვს წყლული, მეც იმ წყლულზე დაგდებოდე მალამოდ”  
საპროგრამო პრიორიტეტები:

ეკონომიკა: სამამულო საქონელწარმოების განვითარება. ენერგეტიკა. სოფლის მეურნეობა. ეროვნული ფულის კურსის სიმტკიცე. სრული დასაქმება.

საგარეო პოლიტიკა: ნეიტრალური. ყველა სახელმწიფოსთან თანასწორუფლებიანი და პარტნიორული ურთიერთობა. სამხარო საქმეებში ჩაურევლობა ამა თუ იმ ქვეყნის შიგნით ადამიანთა უფლებების დარღვევის შემთხვევაშიც კი.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო (საპრეზიდენტო მმართველობასთან ერთად გარკვეული უფლებები უნდა მიეცეს საქართველოს პატრიარქს)

პარტია დაარსდა: 1996 წ., პირველი რეგისტრაცია – 16.05. 1996 წ., ხელახალი რეგისტრაცია – 28.02. 1998 წ.



**პარტიის ლიდერი**  
**ივოლდა ჭილაძე**

დაიბადა 1951 წ., ბაღდათის რაიონში, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი. 1974 წ. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება: 1978-1985 წ.წ. — თსუ აღრიცხვისა და ანალიზის კათედრა, ასისტენტი. 1986 წლიდან დღემდე — თსუ აღრიცხვისა და ანალიზის კათედრა, დოცენტი. 1987-1989 წ.წ. იყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი. 1989-1990 წ.წ. — სახალხო ფრონტის გამგეობის წევრი. 1991-1993 წ.წ. — საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის წევრი. 1990-1991 წ.წ. — ქეთევან წამებულის საზოგადოების (არაოფიციალური ორგანიზაციის) თავმჯდომარის მოადგილე. 1999 წ. აირჩიეს ქეთევან წამებულის საზოგადოების თავმჯდომარედ. 1992 და 1995 წ.წ. საპარლამენტო არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც მაჟორიტარი, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. 1999 წ. არჩევნებში კენჭს იყრის პარტიული სიით. ჰყავს მეუღლე, ზურაბ თორია და 3 შვილი. მისამართი: თბილისი, ვარკეთილი-3, მე-4 მ/რ, 414 კორპ., ბინა 196. ტელ.: 79 41 29

დაარსების ინიციატორები: იზოლდა ჭილაძე, დალი ნაქაძე, ლალი მელაძე, ლია ტაველურაშვილი, იზოლდა შარიქაძე.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 3 წელიწადში ერთხელ) — გამგეობა (ირჩევა 3 წლით - 12 წევრი: ნაქაძე დალი, იზოლდა შარიქაძე, მზია თეთრაძე, თინა ყაჭიშვილი, ნათელა ლაცაბიძე, თინა ქაძანაია, ცისანა ახალაძე, კლარა კობახიძე, მანანა გიგინეიშვილი, ლალი ბიჭაშვილი, იულონ ტოლიაშვილი, მზია ყურაშვილი) - თავმჯდომარე (ღია კენჭისყრით ყრილობა ირჩევს 3 წლით, ბოლოს აირჩიეს 1999 წ.)

წევრთა რაოდენობა: 2000, აქტიური - 100.

15 რაიონული ორგანიზაცია, რეგიონალური ორგანიზაციების არსებობას საზოგადოება საჭიროდ არ მიიჩნევს.

ახალგაზრდული ორგანიზაცია: არ არის იურიდიული პირი. ლიდერი — ლელა თიგვიშვილი.

1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას არ იღებდა სუსტი შიგაპარტიული სტრუქტურის გამო.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, რადგან მართლმადიდებელ რელიგიას კონსტიტუციით ჯერ კიდევ არა აქვს სამართლებრივი სტატუსი და ხელისუფლებას ჩამოყალიბებული არა აქვს ჭეშმარიტი ეროვნული იდეოლოგია. იგი ადგას კოსმოპოლიტური სახელმწიფოს შექმნის გზას.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: პარლამენტის წევრი — ჯონი თაყნიაშვილი

საქართველო



ლი, რწმუნებული - ლია ტაველურაშვილი.

მისამართი: თბილისი, ავოფიანის შესახვევი, 4.

ტელ.: 98 64 26.

საკონტაქტო პირი: ლია ტაველურაშვილი – ორგანიზაციის ბუღალტერი.

### საქართველოს აპარტული პარტია

დევიზი: "ზოროტსა სძლია კეთილმანი, არსება მისი გრძელია"

პოლიტიკური მიმართულება: ცენტრისტული

საპროგრამო პრიორიტეტები:

